


# აღმოსანიღო ეპიგრაფიკი



წამიწა

წინა

მონიჭიჯი „წამიწა“ ღა რა გუჯი წამა წამის ჳესებ  
(ასჯიჩიჯი წეჩიჯი)



# ექსლს ლოცვა

უფალო იესო ქრისტე, კეო ღვთისაო, შემიწყალენ მე ცოლვილი.

## ბროპარი მოსთა წმინდის ნინოსი



ლოცვისა ღვთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებათა წარმართებო, ქართველთა განმანათლებლო და სულისა წმინდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის!

ვინ იყო წმინდა ნინო! მისი ცხოვრება და ღვაწლი?

მოციქულთა სწორ წმინდა ნინოს მამას ზაბულონი ერქვა. იგი თავის ოჯახით კაბადოკიაში ცხოვრობდა და იმ ქვეყანაში დიდი მამულები ჰქონდა. ახალგაზრდობაში ზაბულონი რომში გაემგზავრა და იქ რომის იმპერატორის სამსახურში შევიდა. შევიდა და ძლიერ ისახელა თავი. ღოცა სამშობლოში დაბრუნდა მან ცოლად შეირთო იერუსალიმის პატრიარქის და შუსანა, რომელთანაც შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც ნინო დაარქვა.

როდესაც ნინო 12 წლისა იყო, მამამისი ბერად აღიკვეცა, — დედაც მონაზვნად. ატარა ნინო ბიძამ, იერუსალიმის პატრიარქმა აღსაზრდელად მიაბარა ერთ ღვთისმოსავ მოხუც დედაკაცს, რომელიც იერუსალიმს ქრისტეს საფლავს ემსახურებოდა, ამ ღვთისმოყვარე დედაკაცისაგანმან მიიღო სწავლა და ისიც გაიგო მისგან, რომ იესო ქრისტეს ნაქსოვი პერანგი (კვართი) საქართველოში იყო წამოღებული.

წმინდა ნინო ძლიერ წუხდარომ იმ ქვეყანაში, სადაც ქრისტეს კვართი იყო, ისეთი ხალხი ცხოვრობდა, რომელსაც იესო ქრისტე არ სწამდა, ამიტომ მოინდომა ქრისტეს კვართის პოვნა და ქართველების გაქრისტიანებაც.

ამ მიზნით ის ჯერ რომში წავიდა და მერე საქართველოში წამოვიდა. ზაზე მან დიდი შიში და წვალება გამოსცადა, მაგრამ ერთხელ ძილში გამოეცხადა მას ღვთისმშობელი, გაამხნევა და მისცა ხელში ვაზის რქისაგან გამზადებული ჯვარი, როცა წმინდა ნინოს გამოეღვიძა, მან მართლაც ეს ჯვარი თავის ხელში ნახა, ძლიერ გაუხარდა და თავისი თმით შეკრა. ხლა კი დარწმუნდა, რომ ღმერთი მისი შემწე იყო, ადგა, წამოვიდა გამხნევებული და მოადგა მაშინდელ ჩვენს დედაქალაქ მცხეთას თავისი ჯვართით.

მაშინდელი ქართველები წარმართები იყვნენ და არმაზის კერპს სცემდნენ თავყვანს.

ევედ მაშინ ჩვენში მირიანი იყო. ჭმინდა ნინოს მოსვლის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, რაც არმაზში კერპთაყვანისმცემელთა დიდი დღესასწაული მოაწვევს, როცა დიდძალი ხალხი შეიკრიბა ზეიმზე

და თვით მეფეც მობრძანდა დიდი ამალით, წმინდა ნინოს ღოცვის ძალით საწმინელი ჭექა-ქუხილი ატყდა, კერპები სულ ერთიანად მიწაზე დასცა და ერთიანად შემუსვრა. შემინებული ხალხიც დაიშალა.

მცხეთაში ნინომ ჩამოსვლისთანავე გაიცნო სათნო ქალი შრომანა, რომელიც მეფე მირიანის მეუღლის ნანას პირისფარეში გოგო (მოახლე) იყო. ან სთხოვა ნინოს ჩემს სახლში დადექი მდგმურადო, მაგრამ ნინო არ დათანხმდა და იგი შეეხიზნა მირიან მეფის მეუღლის მეზღის ცოლს ანასტასიას. ეს დედაკაცი უშვილო იყო და ნინოს ეხვეწებოდა მისთვის მიეცა შვილი. ამავე დროს ნინომ თავისი ვაზის ჯვრით მოარჩინა მძიმე ავადმყოფი, ამას გარდა სამი წლის განმავლობასი წმინდა ნინომ თავისი ქველმოქმედებითა და ქადაგებით ბევრი ხალხი მოაქცია.

როცა ამ ამბავმა მირიან მეფის ყურამდე მიადწია, მეფემ აუკრძალა წმინდა ნინოს ქრისტიანობის ქადაგება, მაშინ წმინდა ნინომ აირჩია ერთი ადგილი, იქ სადაც ახლა სამთავროს მონასტერყ არის, გააკეთა იქ კარავი, შიგნით დაავო ნაბადი, დასვენა იქ თავისი ვაზის ჯვარი და გულმხურვალედ ევედრებოდა ღმერთს. აქ მოდიოდა ბლომად გაჭირვებული ხალხი და ნინოც შეელოდა ყველას და თანაც უქადაგებდა იესო ქრისტეს სჯულს. როცა ნინომ დაინახა ხალხის პატივისცემა და სიყვარული, გმხნევა და უფრო უშიშრად დაიწყო ქადაგება. ეს რომ გაიგო მირიან მეფემ, გაჯავრდა და უფრო აქტიურად დაუწყო დევნა წმ. ნინოს. მაგრამ ამ დროს ავად გახდა მირიან მეფის მეუღლე ნანა, მაგრამ თავის ექიმებმა ვერაფერი ვერ უშველეს და ამიტომ იძულებულები გახდნენ წმ. ნინო მოეწვიათ. ჭმინდა ნინომ განკურნა დედოფალი ნანა, თანაც გამოუცხადა დედოფალს და მეფე მირიანს „მე კი არა, დედოფალი ნანა განკურნა ქრისტეს სასწაულმოქმედმა ჯვარმაო“. მის შემდეგ დედოფალ ნანას კიდევ უფრო შეუყვარდა წმ. ინო. ეს ამბავი არ ესიამოვნა მირიან მეფეს და დიდებულთა რჩევით გადაწყვიტეს ნინოც მოეკლათ, დედოფალიც და სხვებიც, ვინც იესო ქრისტე იწამა.

ასეთ მდგომარეობასი რომ იყო, მეფემ მოინდომა თავის გასართობად სანადიროდ წასვლა, თან იახლა თავისი ამალა და გავიდა მცხეთიდან. ეს ნადირობა გახდა მიზეზად მის ქრისტიანობაზე მოქცევისა, ნადირობის დროს დიდი უბედურება შეემთხვა, თხოთის ტყეში რომ შევიდა, უეცრად დღე საწმინლად დაბნელდა და მეფე ძლიერ შემინდა. ამ სიბნელეში მხლებლებიც დაკარგა და არ იცოდა რა ექნა, ჩამოხდა ჩხენიდან და შეევედრა თავის კერპ არმაზს, მაგრამ კერპი აბა რას უშველიდა. ამ დროს მოაგონდა ნინოს ღმერთი ქრისტე, დაიხოქა და შეევედრა: ღმერთო ნინოსიო! ოღონდ გამინათლე ეს სიბნელე, მშვიდობით გამინათლე ეს სიბნელე, მშვიდობით დამაბრუნე და მაშინვე

ვიწამებ შენს სახელს, თაყვანსა ვცემ შენს ჯვარს და შენს მიერ მოვლინებულ ნინოსაო“... გაათავა თუ არა მეფემ ლოცვა, ქვეყანას ერთბაშად სინათლე მოეფინა, გახარებულმა მეფემ მოძებნა მსლებლები, გამოუცხადა რაც მოხდა. ანება თავი ნადირობას და მაშინვე დაბრუნდა მცხეთაში. მცხეთელები დიდის ამბით მიეგებნენ თავიანთ საყვარელ მეფეს და მოულოცეს რომ მშვიდობით დაბრუნდა. მეფემ მიმართა ცხენ და ცხენ წნ. ინოს კარავს, ჩამოხდა ცხენიდან, მუხლი მოიყარა და თაყვანი სცა ნინოს ვაზის ჯვარს, მერე გამოუცხადა წმ. ქალწულს, მინდა მეც მოვინათლო და ჩემი ხალხიც მოვინათლო. ხალხი გაკვირვებით უყურებდა ამ ამბავს.

## ნინოწმინდა



მილისიდან კახეთში მიმავალი გაცდები თუ არა ვარკეთილის კორპუსებს, ლოჭინის ხევს გაღმა ვაზიანიდან კახეტის მინდვრები იწყება. ამ ულამაზეს სივრცეს ხალხი უხსოვარი დროიდან სამგორს უწოდებს.

ამ ულამაზესი სამი გორისაგან შექმნილი ხელოვნური გორა როდის, ან ვის მიერ არის შექმნილი, ან ვის მოუვიდა აზრად მათი შექმნა ტრიალ მინდორზე არავინ იცის.

არც ის ვიცით, ვის სასახელოთ მოუვიდა აზრად ამ ტრიალ მინდორზე ერთმანეთის მიყოლებით აღმართა ეს ულამაზესი გორაკები.

თუ პირობითად ამ გორაკებს ეგვიპტის გიგანტურ პირამიდებს შევადარებთ, ჩვენს წინაპრებს წინარე ისტორიულ პერიოდში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში აუგიათ.

ამ სამი ხელოვნური გორაკიდან ერთი გორაკი გაითხარა არქეოლოგების მიერ 1951 წელს და როგორც არქეოლოგებმა დაადგინეს ამ გორაკს „კოხრა გორა“ ქვია და აგებული იქნა 4-5 ათასი წლის წინათ, როგორც ყორღანული სამარხი. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მაღალი სამეურნეო კულტურის მქონე ხალხის რომელიღაცის ქართული ტომის ბელადის ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ფრო მცირე ზომის ყორღანული ტიპის სამარხები აღმოჩენილია დავიტ გარეჯისა და სამგორის ვრცელ სივრცეზე სივრცეზე (იხ. ივ. არჯევანიძე, „თბილისიდან ალაზნის ველისაკენ“, თბილისი, 1958 წ. გვ. 87.).

„კოხრა გორის“ არქეოლოგიურ გათხრებში მეც მონაწილეობა მაქვს მირებული. მაშინ მე, როგორც სტუდენტ პრაქტიკას გავდიოდი არქეოლოგიაში და კარგად მახსოვს ამ გორაკის გათხრები. ალბათ ამ ხელოვნური გორაკის მშენებლებმა 4-5 ათასი წლის წინათ გორაკის გუმბათის შესანარჩუნებლად დატოვეს თავისებური სივრცე –

საკუთრივ სამარხის კამერა, სადაც აღმოჩნდა ოთხწახნაგოვანი შუბის პირი, სპილენძის ბრტყელი შუბისპირი, ქვის გახეხილი იარაღი და შავად მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის ნატყეხები.

იქვე აღმოჩენილი იქნა კარგად შენახული მუხის დიდი მორებისაგან აგებული შენობა-სამარხი. საყურადღებოა სენობის ერთი კუთხე, რომლის ძელები დაკავშირებულია ოსტატურად ამოჭრილი ბუდეებით. „ეს სრულიად უნიკალური შენაძენია ჩვენი ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო ტექნიკის ისტორიისათვის“ – ნათქვამია ზემო სამგორის მშენებლობის უფროსის პ. გაბუნიას მიერ ჟურნალ „დროშის“ ფურცლებზე.

„კოხრა გორის“ სამარხში დასვენებული იყო ოთხი ათას ხუთასი წლის წლების სამგორის ტერიტორიაზე მცხოვრები ჩვენი წინაპრების საკმაოდ განვითარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მქონე ხალხის ტომის ბელადის ნეშტი. „კოხრა გორის არქეოლოგიური ძეგლი ეგვიპტის პირამიდების ასაკისაა რაც იმის დადასტურებაა, რომ სართიჭალა და მისი მიმდებარე ნინოწმინდის მოსახლეობაც მაღალი კულტურის ხალხით იყო დასახლებული, რაც მტკიცდება არქეოლოგიური მონაცემებით.

თიანულ პერიოდში, აქ მაცხოვრებელი ქართული ტომები, რომლებიც ფლობდნენ დიდ სულიერ და მატერიალურ კულტურას, აშენებდნენ დიდ ქალაქებს, გაჰყავდათ ჰიდრომელიორაციული რთული ნაგებობები. ის ტერიტორია და მისი დიდი ნაწილი ხეხილის ბაღებით, ვენახებით იყო დაფარული, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში, კერძოდ, მესამე ათასწლეულში და მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრიდან საგრძნობლად შეიცვალა კლიმატი, რაზედაც დიდი გავლენა მოახდინა დამანგრეველმა ტექტონიკურმა მიწისძვრებმა, რამაც საგრძნობლად შეცვალა მთელი გარე-კახეთის, კერძოდ სამგორისა და გარეჯის კლიმატი. თანდათან მოისპო გარეჯა-სამგორის ფოთლოვანი ტყით შემოსილი ლანდშაფტი და მის მაგივრად ბინა დაიღო ხორშაკიანმა უწყლო და უნაყოფო გარემომ. სწორედ ეს გახდა მიზეზი მოსახლეობის თანდათანობით შემცირებისა და ამ მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის გაუკაცრიელებისა.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კოსმონავტებმა დავიტ-გარეჯის რეგიონში, კრასნოგორკის მახლობლად მინდორ „ნაომარი გორის“ მახლობლად აღმოაჩინეს ანტიკური დროის დიდი ნაქალაქარის ნაშთები, რომელიც განლაგებული იყო საკმაოდ დიდ ფართობზე და მისი კოორდინატები გადმოსცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სატანადო დაწესებულებებს, აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის კახეთის ფილიალის არქეოლოგიურმა ჯგუფმა პროფესორ კიაზო ფიცხელაურის ხელმძღვანელობით დეტალურად შეისწავლა მითითებულ ადგილმდე ბარეობა გერმანელი არქეოლოგების დახმარებით და ნაწილობ-

რივ გერმანიის ქალაქ ტიუნინგენის უნივერსიტეტის არქეოლოგების თანამონაწილეობით ცაატარეს მცირე არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც დადგინდება, რომ საქმე გვექონდა ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი მე-2, ათასწლეულის ქალაქის არსებობასთან, რომელიც რაღაც დიდი მიწისძვრის, თუ, სხვა რაღაც გეოლოგიური პროცესების შედეგად გაქრა და მიწაში ჩაიძირა, ხოლო გადარჩენილმა მოსახლეობამ უფრო უსაფრთხო ადგილი გამონახა და იქ გადასახლდა., როგორც არქეოლოგები ვარაუდობენ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე, როგორც ამ უცნობი ქალაქის ტერიტორიაზე, ისე სამგორ-გარეჯის მთელ ტერიტორიაზე რაიმე დიდი დასახლებული, ქალაქის ტიპის დასახლება აღარ ფიქსირდება პირველი ათასწლეულის შუა წლებამდე. ისმის კითხვა, სად წავიდნენ მაშინდელი გარე კახეთის მოსახლეობა? ჩვენ ამ საკითხის მეცნიერული გამორკვევისათვის არ გაგვაჩნია დამაჯერებლად და მადასტურებელი ფაქტები, არც დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალები და მხოლოდ მეცნიერულ ვარაუდებს ვყვრდნობით.

მე, ამ წიგნის ავტორი, ჯერ კიდევ პატარძეულის საშუალო სკოლის მოსწავლე დაინტერესებული ვიყავი საქართველოს ისტორიით და ბევრს ვმოგზაურობდი ჩვენს ტყეებში და მინდვრებში. წყალდიდობების დროს ადიდებული ხეებისა და ღელეების სანაპიროებში ადიდებული ხეების მიერ გამოირიყულ ნაშალებში ბევრ საგულისხმო არქეოლოგიურ ნივთებს, საბრძოლო და სამეურნეო იარაღების ნაშთებს, მძივებს და სხვა ნივთებს ვპოულობდი და სკოლაში ისტორიის მასწავლებელთან მიმქონდა. სკოლის პიონერთა ოთახში ერთგვარი პატარა „მუზეუმი“ მქონდა მოწყობილი და შეკრებილ „ექსპონატებს“ იქ ვაწყობდით. მ დიდ ეროვნულ-პატრიოტულ საქმეში მამაჩემიც მესმარებოდა, რომელი პატარძეულისა და ნინოწმინდის სატყეო უბანზე მეტყვევდ მუშაობდა.

1939 წელს მამაჩემმა იორგი ალექსის ძე ელერდაშვილმა სახლში საოცარი და საინტერესო ამბავი ჩამოგვიტანა. მე მაშინ პატარძეულის საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე ვიყავი და ჩემი უფროსი ძმის დათას გავლენით, რომელიც მე-9 კლასში სწავლობდა და ბევრს კითხულობდა კლასგარეშე ლიტერატურას და ჩემს ერთგვარ კონსულტანტსაც წარმოადგენდა არქეოლოგიაში, წინადადება მომცა მამაჩვენს გავეყოლოდით ტყეში ნასოფლარ „ძველპატარძეულში“ საპლანტაჟე გუთნით საახოვე მინდვრის გადახვნის დროს ქვაყუთის სამარხების ამოყრის დროს საფლავეებში დამარხული მიცვალებულების საფლავეებში ჩატანებული ინვენტარის შეგროვებისა და მთავრობის წარმომადგენლების საჩვენებლად ჩაბარებისათვის. მართლაც მეორე დღეს თბილისიდან ჩამოვიდნენ ნ. ჯანაშიას

სახელობის მუზეუმის წარმომადგენლები საპლანტაჟე გუთნის მიერ ამოყრილი ქვაყუთის სამაროვანთა ერთი ჯგუფის ქვაყუთის სამაროვანთა ნაწილი შეამოწმეს და აღმოჩენილი ექსპონატები თბილისში წაიღეს შესანახად.

„ძველპატარძეულში“ და პატარძეულში კახეთის საავტომობილო ტრასის მარჯვენა სანაპიროზე, მინდორ „ნარცხილში“ ასევე საპლანტაჟე გუთნით ღრმა ხვნის დროს აღმოჩენილი და გაზარცვული ერთ-ერთ სამაროვანში აღმოჩენილი ბრინჯაოს მახვილი მეზობლად, (ახლანდელი „გმირთა სავანეს“) მახლობლად მცხოვრებმა თბილისის არქეოლოგთა ერთ-ერთ ჯგუფს ჩააბარა. აღნიშნული ბრინჯაოს წვერწამახვილი მახვილი ეკუთვნოდა შუა ბრინჯაოს დროს საბრძოლო იარაღებს, რომლის მსგავსი არქეოლოგიური მასალა მრავლად არის აღმოჩენილი პატარძეულის, ნინოწმინდის, საგარეჯოს „ფერდოს უბნის“, გიორგიწმინდის აგარაკ „კოკონაურში“, მანავისა და თოხლიაურის მიდამოებში მიწის სამუშაოებისა და ღრმა ხვნის დროს და დიდ მსგავსებას წარმოადგენს მტკვარ-არაქსის კულტურის არქეოლოგიურ ძეგლებთან.

ზემოხსენებული შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა გვაფიქრბინებს, რომ ისე, როგორც წინარე პრეისტორიულ ხანაში სამგორ-გარეჯის მიმდებარე ტერიტორიებზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა გვაფიქრბინებს, რომ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 ათასწლეულამდე და მას შემდეგაც აღნიშნული საქართველოს ტერიტორია მჭიდროდ იყო დასახლებული მაღალი სამიწადმოქმედო კულტურის მქონე ხალხით—სოჯებით, კუხებით, ფხოველებითა და მათ შორის ნინოწმინდის სხვა მონათესავე ხალხებით.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გვეპოვება წერილობითი წყაროები, რის გამოც ჩვენი მასალები ძალიან მწირია და ჩვენ მხოლოდ მეცნიერულ ვარაუდებს ვყვრდნობით.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ ჩვენი რაიონის წარსულის კვლევის საქმეში ფასდაუდებელი როლი შეასრულეს გასული XX საუკუნის ბოლოს (70-80-იანი წლების) კოსმოსიდან გაკეთებულმა აეროგადაღებებმა, რის შედეგადაც ჩვენმა ისტორიკოსებმა ფასდაუდებელი ცნობები მიიღეს საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე უძველესი ქალაქების ნაშთების შესწავლის საქმეში, რამაც მაშინვე მიიქცია ქართველი საზოგადოების ყურადღება.

2005 წლის 9 სექტემბერს ქ. საგარეჯოში „მევენახის სახლში“ ჩატარებულმა სიმპოზიუმმა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის წამყვან მეცნიერთა შორის ესწრებოდნენ მრავალი ქვეყნის სხვა წამყვანი მეცნიერები.

ამ სიმპოზიუმს ესწრებოდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანიის ქალაქ ტიუნინგენის უნივერსიტეტის სახელგანთქმული „ტროას“ არქეოლოგიური ჯგუფი,



რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ლეგენდარულმა გერმანელმა არქეოლოგმა ჰენრიხ ფონ შლიფენმა. ამ სიმპოზიუმს ვესწრებოდი ორი ადგილობრივი ისტორიკოსი, მაშინდელი რაიონული გაზეთის „კახეთის კარიბჭის“ რედაქტორი ზურაბ აგულაშვილი და მე – ამ სტრიქონების ავტორი ისტორიკოსი და მწიგნობარი ალექსანდრე ელერდაშვილი და ქაღალდზე გადავიტანე ამ სიმპოზიუმის მოკლე შინაარსი. ამ სიმპოზიუმის ერთ-ერთი მონაწილის, ისტორიკოს არქეოლოგის, კახეთის ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილის ბატონ ვაჟა ვარაზაშვილთან, რომლის ინტერვიუც დაიბეჭდა საგარეჯოს რაიონული გაზეთის „კახეთის კარიბჭეს“ 2005 წლის №36-ში.

არქეოლოგ ვაჟა ვარაზაშვილის ინტერვიუში მოყვანილი ფაქტები თითქმის ემთხვევა ჩემი მოწაფეობისა და სტუდენტობის დროინდელ ვარაუდებს. ნინოწმინდაში პროფესორ მელიქსეთ ბეგის მიერ გარე-კახეთის არქეოლოგიური დაზვერვის დროს გამოთქმულ ფაქტებსაც.

გადაჭარბებული არ იქნება, რომ რაიონული გაზეთ „ივრის განთიადის“ მკითხველებს შევახსენო, რომ ჩემს პუბლიკაციაში ამავე დროს მრავალჯერა მაქვს გამოთქმული მოსაზრება სოჯთა ტომის ტერიტორიული ლოკალიზაციის განსაზღვრის დროს, მე მაშინაც და ახლაც მყარად მწამს, რომ სოჯთა ტომის განსახლების ადგილი უეჭველად ფიქსირდებოდა ახლანდელი კახეთის ტერიტორიაზე, სადაც პატარძეულის, ნინოწმინდის, ხაშმის, კაწარეთის მიდამოებში (იხილეთ ჩემი პუბლიკაციები – „სოჯთა ლოკალიზაციის საკითხი“ გაზ. ივრის განთიადი 1984 წ. №29).

სწორედ იგივე ვარაუდი დააფიქსირა თავის ინტერვიუში 2005 წელს არქეოლოგმა ვაჟა ვარაზაშვილმა (იხ. „ივრის განთიადი“ № 24. 2004 წ.).

როგორც არქეოლოგიური მონაცემებით, ისე ძველი ბერძნული, სომხური და ქართული წყაროები დაბეჯითებით იუწყებიან, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათწლეულები იუწყებიან, რომ მთელი გარეკახეთი და სრულიად ივრისპირეთი ისე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რომ ძნელი ყოფილა იმ დაბა-ქალაქების და ნასოფლარების ერთმანეთისაგან გამოყოფა-გამოცალკეება.

ლიტერატურული და ისტორიული წყაროების სიმცირის გამო, ჩვენ იძულებულნი ვართ დავეყრდნოთ მატიანე „ქართლის ცხოვრებას“, „მოქცევაი ქართლისაის“, ბერძენი მოგზაურის სტრობონის თხზულებას და ძველ სომხურ წყაროებს, რომლებიც იუწყებიან, რომ მთელი კუხეთის ტერიტორია წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობამდე აქ მცხოვრები ქართულენოვანი ტომების ჩათვლით წარმართი კერპთაყვანისმცემლები იყვნენ და მათი გაქრისტიანება დაკავშირებულია წმინდა ნინო კაბადოკიელის სამისიონერო მოღვა

წეობასთან ახალი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნის დასაწყისის წლებთან.

## ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი



ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი, როგორც პირველი დამოუკიდებელი ავტოკეფალური ქრისტიანული სახელმწიფო საქართველოში გახდა V საუკუნის შუა წლებში.

დღევანდელ გარე-კახეთში (საგარეჯოში) სოფელ ნინოწმინდაში მდებარეობს შესანიშნავი ქართული მატერიალური კულ-

ტურის ძეგლი – ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს V-XVIII საუკუნის ქართული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ძეგლს და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი და უპირველესი საეპისკოპოსო ეპარქიის – ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრის რეზიდენციას, რომლის დამაარსებელი იყო ქართლის (საქართველოს) ლეგენდარული მეფე-სარდალი ვახტანგ გორგასალი. ვახტანგ გორგასალი (457-502 წწ) საქართველოს ისტორიაში ითვლება ქრისტიანობის გამავრცელებელ პირველ მეფედ, რომელმაც საქართველო გადააქცია დამოუკიდებელ ქრისტიანულ სახელმწიფოდ, ანუ გასაგებად რომ ვთქვათ ავტოკეფალიად.

რას ნიშნავს ავტოკეფალია?

ავტოკეფალია ნაწარმოებია ბერძნული სიტყვა, რაც ეკლესიის დამოუკიდებლობას ნიშნავს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისთვის იბრძოდა გიორგი მთაწმინდელი. ავტოკეფალური ეკლესია ნიშნავს – დამოუკიდებლობას გარეშე ხელისუფლებისაგან. (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1950 წ. ტ. 1 გვ 6) საქართველოს ეკლესიამ, ვინემ დამოუკიდებლობას მიღწევდა ჩნდება კანტი-კუნტი ცნობები, ნინოწმინდაზე და ნინოწმინდელ ეპისკოპოსებზე. მთავარი ის არის, რომ მეფე ლეონის ხელშეწყობით აღდგენილ იქნა დანგრეული ნინოწმინდის დანგრეული ტეტრაკონქი, ამავე დროს აშენდა ნინოწმინდის ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობა ოთხიარუსიანი სამრეკლო, ხოლო ნინოწმინდელ ეპისკოპოსად აღდგენილ იქნა ზაქარია (1532 წლის საბუთით) მაყაშვილი. (ესეიგი ნინოწმინდის აღდგენილი ეპარქიის პირველი აღდგენილი ეპისკოპოსი იყო ზაქარია მაყაშვილი).

მეფე ლეონის შვილის გიორგის ერთი უთარილო სიგელიდან (№22) ჩანს, რომ ეპისკოპოს ზაქარიას შემდეგ ნინოწმინდის ეპისკოპოსად ჩანს სილოანი. მის შემდეგ საბუთი იუწყება „... ნინოწმინდას და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტელთა მამისა სილოანსა“... თ. ჟორდანიძე,



„ქრონიკები“ II, გვ. 396, ხოლო ქართლ-კახეთის მონასტრების საბუთები, გვ. 28 რიგით.

ამრიგად ზაქარია მაყაშვილის მომდევნო ნინოწმინდელად უნდა ვივარაუდოთ მეუფე სილოანი, მაგრამ მის შესახებ სხვა საბუთი არ გაგვანჩია. ჩვენთვის ცნობილი ნინოწმინდელებიდან შემდეგი უნდა იყოს – მიტროფანე ნინოწმინდელი, რომელიც პროფესორ ლ. მენაბდეს ცნობით ყოფილა ქართული ხელნაწერების გამავრცელებლების ინიციატორი. მისი დავალებით ვინმე გიორგის 1663 წელს გადაუწერია სამოციქულოს საკითხავები. (იხ. ლევან მენაბდე – ძველი ქართული მწერლობის კერები I თბილისი, 1962 წ. გვ. 333).

მომდევნო ნინოწმინდელი ეპისკოპოსი უნდა იყოს ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი (167... – 1671). რომლის ნინოწმინდელად მოსვლის თარიღი ვერ დავადგინე, რაც შეეხება კახეთის მეფე არჩილის გამეფების თარიღს, არჩილი II კახეთის მეფედ ჩანს 1671-1675 წლებში. შემდგომ ნინოწმინდელ ეპისკოპოსად მოდის არსენი (1690-1694 წწ) არსენ ნინოწმინდელ II-ს ხელი აქვს მოწერილი დავით-გარეჯის მონასტრების წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძის დანიშვნის დოკუმენტზე 1690 წელს.



ნეტავ კიდევ რამდენ საიდუმლოს ინახავენ ჩვენამდე მოღწეული წმინდა ნინოს სამონასტრო კომპლექსის ეს დანგრეული კედლები?

### ნინოწმინდელი ეპისკოპოსები



ნინოწმინდა, როგორც საეპისკოპოსო კათედრა დაარსებულ იქნა V საუკუნის შუა წლებიდან (ჯუანშერი, „ქართლის ცხოვრება“ I ტომი I).

„ქართლის ცხოვრება იუწყება: ვახტანგ გორგასალმა დასუა ერთი ნინოწმინდას, უჯარმის კარსა“ მაგრამ აქვე არ არის მითითებული იმ პირველი

ეპისკოპოსის ვინაობის შესახებ მინოწმინდელი ეპისკოპოსების შესახებ არც მომდევნო საუკუნეებში ვიცით ისტორიული საბუთების უკმარისობის გამო.

ნინოწმინდის აფსიდის ჩრდილოეთის მხარეს ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ 1928 წელს ამოიკითხა ქვაზე ამოკაწრული შემდეგი წარწერა ქარაგმებით: „ლო ნ ჯოარ ყბ მთპკოფოს შლე“, რაც ქარაგმების გახსნის შემდეგ უდრის: ღმერთო წმინდაო ჯუარო, იაყუბ (იაკობ) მთავარეპისკოპოსო შეიწყალე“ (იხ. „ბიულეტენ კავკასკოვო ისტორიკო-არხეოლოგიკოვო ინსტიტუ-

ტა“ ქ. თბილისი, №4. 1928წ. გვ.ნ. ამჟამად აღნიშნული წარწერა დაკარგულია. უცნობია ვინ იყო იოანეს შემდეგ მთავარეპისკოპოსი? თუ ეს აქ მოხსენიებული იაკობი ის პიროვნება იყო, ვისზედაც თავის სიკვდილისწინა ანდერძშიც მომაკვდავი წმინდა ნინო მეფე მირიანს თხოვს მთავარეპისკოპოსად განამწესონ მცხეთაში, მაშინ ეს იაკობი ვერ ჩაითვლება ნინოწმინდის მთავარ ეპისკოპოსად, ნინოწმინდის ტეტრაკონქის კედლის გარეთა პირის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს დამონტაჟებულ კვადრზე შესრულებულია ასოთმთავრული წარწერა, რომელიც ასე იშიფრება: „ქრისტე შეიწყალე სტეფანე არქიეპისკოპოსი“, თუ როდის წინამძღვრობდა ნინოწმინდის კათედრას ეს აღნიშნული პიროვნება აკადემიკოს ა. შანიძის აზრით იგი X-XI საუკუნეში ივარაუდება გიორგი მთაწმინდელის სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწე არსენ ნინოწმინდელი (X-XI სს).

საქართველოში შემდგომ საუკუნეებში დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მოსპო ქართული არქივები, ამიტომ უკვე XVI საუკუნემდე არ გაგვანჩია არავითარი ცნობები ნინოწმინდის კათედრალის შესახებ. რაც შეეხება XVI საუკუნეს, მაშინ გაჩნდა კანტიკუნტი ცნობები კახეთის მეფე ლეონის (1520-1574 წწ) დროს ნინოწმინდაზე უკვე

შემდგომ ნინოწმინდელ ეპისკოპოსად მოდის იოსებ ვაჩნაძე (1702-(?)-1743), ხოლო იოსებ ვაჩნაძის შემდგომ 1743-1745 წლებიდან ნინოწმინდელ ეპისკოპოსად საბა ტუსიშე-

ილი ჩანს, მისი ზეობის წლები ზუსტი არ არის, მაგრამ მისი ნინოწმინდელობა სავარაუდოდ 1743-1745 წლებში განისაზღვრება.

საბა ტუსიშვილი მეტად კოლორიტული და მრავალმხრივი მოღვაწე იყო და მისი ხანგრძლივი ნინოწმინდელობა მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული აღმოსავლეთ საქართველოს მთელი XVIII საუკუნის კულტურულ-სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ისმის კითხვა, – საბა ტუსიშვილის გარდაცვალების შემდეგ (შესაძლოა 1785 წელს) ქართლ-კახეთი უკვე გიორგიევსკის ტრაქტატით (1783წ.) უკვე დეფაქტოდ რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომია და რუსეთი აქტიურად ერევა საქართველოს სამინაო საქმეებში.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ერეკლე II-ის შვილი, ანტონ II-დ წოდებული (ერისკაცობაში თეიმურაზი რუსეთშია და 1786 წელს ცარსკოე სელოში იმპერატრიცა ეკატერინე მეორის თანდასწრებით ეკურთხა ნინოწმინდის ეპისკოპოსად. ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს დაჰყო რუსეთში და ამ პერიოდში ვინ ასრულებდა ნინოწმინდის ეპარქიაში ნინოწმინდის ეპისკოპოსის მოვალეობას...

მგონია ამ პერიოდში ვინემ გაირკვეოდა ნინოწმინდის სამიტროპოლიტოს მღვდელმთავრის ეპისკოპოსის ვინაობა, მოვალეობას. მგონი ნინოწმინდის სამიტროპოლიტოს ეპისკოპოსის მოვალეობის შემსრულებლად 1788(?) წელს იოანე ჯანდიერაშვილი ჩანს, რომლის ზეობის წლებად უნდა ჩაითვალოს 1782-1811 წლები, რომლის სიკვდილის შემდეგ რუსეთის სინოდმა ნინოწმინდის ეპარქია სულაც გაუქმა.

**ავტორის შენიშვნა:**

ნინოწმინდის ეპისკოპოსების სრული სია არ შემოგვინახა ჩვენმა არქივებმა, ვინაიდან ბარძე მტრეხაძე 16 ჯერ იავ-არქმენს ნინოწმინდის სამეპისკოპოსო ეპარქია და ცეცხლმა შთანთქმა ნინოწმინდის არქივები. ამიტომაც, რომ ვძებნით და ვერ ვპოულობთ დაკარგულ ეპისკოპოსების ბიოგრაფიულ მასალებს.

ალ ელერდაშვილი

**წინარე ქრისტიანულ ეპოქაში წარმართული საკულტო ტაძრები ნინოწმინდას გარე-კახეთში**



ხელმწიფოს, ანუ იბერიის სოცია-

ანტიკურ წინასაისტორიულ ხანაში ნინოწმინდა მთელ იურისპირეთში სამეურნეო-კულტურული თვალსაზრისით საკმაოდ დაწინაურებულ მხარეს წარმოადგენდა. მაშინდელი გარე-კახეთი ანუ კუხეთი ქართლის სა-



ლურად და პოლიტიკურად ფეოდალიზმის გზაზე შემდგარ სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა, რომელიც გვერდში ედგა ქართლის (იბერიის) დედაქალაქ მცხეთას და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ზურგს უმაგრებდა მას აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ მხარეებში ფეხის მოკიდებისა და გაბატონების საქმეში.

მაშინ ნინოწმინდა, რომელსაც (ბოდისი) ეწოდებოდა, და მოიცავდა ტერიტორიულად მჭიდროდ დასახლებულ და ეკონომიურად მომძლავრებულ ვრცელ ტერიტორიას, იგი მოიცავდა თანამედროვე ბერთუბან-პატარძელის, წყაროსთავის საგარეჯოს, გიორგიწმინდის, ანთოკ-მარიამჯვრის, ვრცელ ტერიტორიას, მანავამდე. ისე იყო გადაბმული ეს დაბა – სოფლები, რომ ვერ გაარჩევდა კაცი, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა ესა თუ ის დასახლება.

მაშინ ამ მჭიდროდ დასახლებულ მხარეს ბოდი (ბოდისი) ერქვა და ეტიმოლოგიურად მის ცენტრს სახელიც შესაფერისი ერქვა და ეს სახელწოდება იმით ამართლებდა თავის სახელს, რომ ჩრდილოეთიდან გარშემორტყმული იყო ციფ-გომბორის მთის წინეთის ფოთლოვანი ტყით და ერთგვარ ბუდეს წარმოადგენდა ადამიანებისა და ცხოველებისთვისაც. აღნიშნული დაბა-სოფლები ეკონომიურად მომძლავრებულნი იყვნენ და მათი ბაღ-ვენახები ნაწილობრივ ციფ-გომბორის მთებიდან გამომდინარე წყაროებით, ხოლო ნაწილი მდინარე იორიდან გამომდინარე სარწყავი არხებით რწყავდნენ მოსახლეობის ბაღ-ვენახებსა და ბოსტან-ბაღებს და მოსახლეობას აძლევდნენ უხვ ჭირნახულს.

ასევე მათ საკუთრებაში მყოფი საზამთრო და საზაფხულო საძოვრები მეცხოველეობის განვითარების საუკეთესო პირობებს ქმნიდა და ამ დაბა-სოფლების მოსახლეობას საუკეთესო პირობებს უქმნიდა, რაც მეზობელი მტერ-მოყვარეებისათვის ცილობის მიზიდულებას ქმნიდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ამ ვრცელ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის რელიგის თვალსაზრისით დაბა ბოდი დიდ კერპთაყვანისმცემელთა ცენტრს წარმოადგენდა, სადაც მდებარეობდა დიდი ტაძარი, რომელიც მთვარის სახელზე იყო აგებული და ყოველი წლის 14 იანვარს აქ იმართებოდა გრანდიოზული დღესასწაული, სადაც ხდებოდა ადამიანების მსხვერპლთ შეწირვა.

ამ დღესასწაულს საზეიმოდ ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი ქართველი კერპთაყვანისმცემელი, ისე მეზობელი ალბანეთის მცხოვრები კერპთაყვანი სმცემელი რანის პროვინციის მცხოვრები კერპთაყვანისმცემლები.

თუ რას წარმოადგენდა მაშინდელი დაბა ბოდის და მისი მიმდებარე ტერიტორიის კერპთაყვანისმცემელი მოსახლეობა, ამის საუკეთესო წყაროს წარმოადგენს მაშინდელი ბერძენი მოგზაურის სტრაბონის ისტორიული თხზულება „გეოგრაფია“, რომლის



მეთერთმეტე წიგნის IV თავის მე-7 მუხლის სტრიქონებში ვკითხულობთ: „აღბანელები, (მათ შორის იბერიელები, ე. ი. ქართველები ალ. ელერდაშვილი), აღმერთებენ ჰელიოსს (მზეს), ზევსს და სელენეს (მთვარეს), განსაკუთრებით სელენეს, რომლის ტაძარი მდებარეობს იბერიის მახლობლად, ამ ტაძრის ქურუმის მოვალეობას ასრულებს მეფის შემდეგ ყველაზე პატივცემული კაცი. იგი არის დიდი და მჭიდროდ დასახლებული წმინდა მამულის მფლობელი და იგივე განაგებს ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი ქადაგად არიან დაცემულნი და წინასწარმეტყველებენ. მონათაგან ყველაზე გახელბულ ქადაგს, რომელიც მარტო დაეხეტება ტყე-ღრეში, ქურუმების ბრძანებით იჭერენ, ჰკრავენ წმინდა ჯაჭვით და წლის განმავლობაში ზვარაკად ასუქებენ. შემდეგ მას ქალღმერთისათვის სამსხვერპლოდ გამზადებულს სცხებენ მირონს და სხვა საღმთოებთან ერთად მსხვერპლად სწირავენ.“ ბერძენი მოგზაური სტრობონი საინტერესოდ აღწერს და გადმოგვცემს მსხვერპლთშეწირვის ცერემონიალს, რითაც ადასტურებს, რომ ამ მხარეში ადამიანის მსხვერპლთშეწირვა ერთეული შემთხვევა კი არ ყოფილა, იგი იმდროინდელ საზოგადოებრივ ყოფაში ძვალსა და რბილში ყოფილა გამქდარი. ახლა ზოგი რამ ბერძენი მოგზაურის სტრობონის შესახებ. ღოგორც ზემოთ მოგახსენეთ ბერძენმა სწავლულმა იბერიაში (ქართლში) და კავკასიის აღბანეთში იმოგზაურა ჩვენი და წინა წელთაღრიცხვის 60-70-იანი წლებში იბერიის (ქართლის) სამეფოში პირველ საუკუნეში და ვინებ აღბანეთის პროვინციალ რანში ჩავიდოდა, მცხეთიდან წამოსულმა გამოიარა ზედაზნის სამანები და მდინარე იორის სანაპიროებით დაუყვა (კუხეთის), გარე-კახეთის ივრის სანაპიროებს და როგორც თვითონ აღწერს, გადალახა უწყლო და ხრიოკი მთაგორიანი რელიეფი და ისე შევიდა აღბანეთის, (ახლანდელი ზერბაიჯანის) ტერიტორიაზე. ჩვენი ვარაუდით სტრობონის სავარაუდო მარშრუტი უნდა გაეგლო ახლანდელი საგარეჯოს რაიონის და არა სიღნაღის რაიონის, (მაშინდელი კამბეჩოვანის) ტერიტორია, როგორც ამას ამტკიცებს პროფესორი ივანე ლოლაშვილი თავის წიგნში „მრავალ-კარედში“ (იხ. ი. ლოლაშვილი, გვ. 201).

მართალია ბერძენი მოგზაური სტრობონი თავის „გეოგრაფიაში“ ზუსტ ტოპონიმებს არ ასახელებს თავის ნაწარმოებში, მაგრამ მისი სამოგზაურო მარშრუტი მცხეთიდან ზედაზნის მთების გავლით თანამედროვე ნაქალაქარ უჯარმისკენ უნდა წარმართულიყო, ხოლო მდინარე იორის სანაპიროებით ახლანდელი საგარეჯოს დასახლებულ პუნქტებს გაივლიდა სართიჭალის მიმართულებით გარეჯის ტერიტორიის გავლით და არა ელ-დარ-შირაქის გზით აღბანეთისაკენ, რაც შეუძლებელი იქნებოდა სამარშრუტო გზის მანძილის გახანგრძლივებისათვის.

სტრობონის მოგზაურობის მარშრუტი ისეთ მჭიდრო მოსახლეობით სავსე რეგიონზე გადიოდა რომ ის დიდი საკერპო, საწარმართო ტაძარი, რომლის ვრცელ აღწერას ადგილი აქვს მოგზაურის თხზულებაში იგულისხმება ის დიდი ტაძარი, რომელიც არსებობდა გარე-კახეთის, მაშინდელი სატაძრო საწარმართო ცენტრი, ბოდე და არა სოფელი ბოდბე, რომლის იდენტურობასაც ადასტურებენ ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსები.

თანამედროვე სოფელი ნინოწმინდა რომ წინარე ისტორიულ ხანაში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაში რომ არსებობდა წარმართული ხანის დიდი სატაძრო ცენტრი, ამას ადასტურებენ ძველი ქართული მატრიანეები და ისტორიულ-არქეოლოგიური წყაროები.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსები პლატონ იოსელიანი, სარგის კაკაბაძე და სხვები, ხოლო ის, რაც დაამტკიცა დიდმა ქართველმა ლეგენდარულმა განმანათლებელმა, მოციქულთა სწორმა და საქართველოში სახელმწიფო მართლმადიდებელმა ქრისტიანულმა გამავრცელებელმა წმინდა ნინო კაბადოკიელმა გააკეთა, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება.

ჩემი წიგნის „ნინოწმინდა“-ს მკითხველებს წარმოგვინა რომ ჰქონდეთ ბერძენი მოგზაურის სტრობონის წიგნის შინაარსზე, მოვიყვან რამდენიმე ამონარიდს მისი „გეოგრაფიიდან“, რომელიც ნაწილობრივ იბერიის: აღმოსავლეთის, კერძოდ კახ-ჰერტა იმ ნაწილს ეხება, სადაც მდებარეობდა „დიდი დაბა „ბოდე“ თავის ახლომდებარე დაბა სოფლებით, სადაც მაღალ დონეზე მდგარა სოფლის მეურნეობა, სართოდ მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, სადაც დაწყებული იყო კლასობრივი დიფერენცია და ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი მდიდარ-ღარიბთა ფენების წარმოშობა. ა როგორც შემატინე ლეონტი მროველია, გადმოგვცემს წმინდა ნინოს სიტყვებს: ერისა სიმრავლე არს ამას ბოდსა შინა-ო“ – (იხ. ქართლის ცხოვრება, 1955 წ. გვ. 121).

იბერნი და ჰერ-კახნი სოჯებნი და კუხები უხსოვარი დროიდანვე ეწეოდნენ მევენახეობას, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მათი ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი იყო, მაშინ ბოდი მჭიდროდ იყო დასახლებული ქართული ტომებით, ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ კუხეთში, იბერიის ამ განაპირა მხარეში რამდენიმე წარმართული საკულტო კერა არსებობდა, რომელიც ფიქსირებული იყო წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის პერიოდში.

**სნი იყო ქალაქი** უჯარმა, კაწარეთი, ნაგები, პატარძეული და ლაზარე (სართიჭალა).

ამ საკულტო – წარმართულ ცენტრებში არსებულა მზის, მთვარის, ლაზარს, კვიბელას (კოპალას), თეთრი გიორგის, ბოჩის და სხვათა საკერპო ცენტრები. იყო დრო, როდესაც ადამიანები



აღმერთებდნენ ბუნების ძალებს და მოვლენებს, ცეცხლსა და მზეს, ორივე ერთად კი ადამიანებს ცხოვრებას უადვილებდნენ, ხელს უწყობდნენ მათ სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებას. მიტომაც მზე და ცეცხლი ადამიანთა წარმოდგენაში ითვლებოდა წმინდა ძალად და როგორც ღმერთებს ისე სცემდნენ თაყვანს.

წინარე ისტორიულ ხანაში ბოლოდროინდელი წარმოდგენა ადამიანთა მსხვერპლთშეწირვის თანამდევ ცენტრს, კლასიკურ ადგილსამყოფელს. ჩვეულებრივი მონის შეწირვა, ისე ოჯახის პირში ბავშვის, ყრმის შეწირვაც იქ ხდებოდა. მიტომ ნინოწმინდის ფოლკლორმა დიდხანს შემოინახა ეს წესი და ჩვენამდეც კი მოაღწია. ე, ამ სტრიქონების დამწერმა – გასული XX საუკუნის 60-70-იან წლებში სოფელ ნინოწმინდაში (უძველეს ბოლოში ჩავიწერე წარმართული, ადამიანის მსხვერპლთშეწირვის ამსახველი ფოლკლორული ნიმუში, რომელსაც ამ წიგნის მკითხველს გავაცნობ. აი ესეც:

„წყალი დუღს და წყალი შრება,  
საკლავს პირი არ უშრება,  
დაკკლა შვილი, როგორ დაკკლა,  
არ დაკკლა და არ იქნება“.

ფოლკლორის ეს ნიმუში 1977 წელს ჩამაწერინა ნინოწმინდელმა რომან ტოპეშაშვილმა, ხოლო მეორე ნიმუში ქალბატონმა კესო კაპანაძემ 1984 წელს. ეს საზარელი, თავზარდამცემი ფოლკლორის ნიმუში სიტყვასიტყვით შევიტანე ჩემს მონოგრაფიაში – „ნინოწმინდა“.

ამ მავნე და საზარელი ტრადიციით თავზარდამცემი საზოგადოება შეძრწუნებული ქრისტიანობის შემოღებამდე იყო ამ მავნე და ყველასათვის საზარელი წეს-ჩვეულების გასაუქმებლად, მაგრამ კერპთაყვანისმცემელთა მესვეურთა შიშით ვერავინ ბედავდა ხმის ამოდებას. ამ მავნე ჩვეულების გაუქმება ისევ იესო ქრისტეს მოძღვრების მქადაგებლებმა მოუღეს ბოლო და გაუუქმეს ღმერთისადმი ადამიანთა შეწირვის წესი და ასევე პირველებმა დააფუძნეს ადამიანის ნაცვლად ღვთისადმი ცხოველების, ცხვრების და ძროხის, ხოლო ფრინველებიდან ქათმის მამლის შეწირვა.

აი, ეს პროცესი როგორ დაგმეს ქრისტიანებმა და როგორ აისახა ქრისტიანული მოძღვრების თხზულებებში. მოგვყავს სრული ტექსტი ქართული დედა ისტორია „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომიდან.

კერპთაყვანისცემლობაში ადამიანთა მსხვერპლთშეწირვა ახალი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში საქართველოს რევ არშაკუნთანმა. აი რას წერს „ქართლის ცხოვრება“ მე-19 მეფე რევ არშაკუნთანის შესახებ:

„ესე რევ მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა; რამეთუ სმენილი იყო მისდა

მცირედ, რამეთუ სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და აქ უნდა რამე სიყვარული ქრისტესი და ამან მეფობასა შინა მისსა არღარა უტევა ქართლსა შინა ყრმათა კვლა, რომელსა იგი უწინარეს და პირველ კერპთა მიმართ შესწირვიდწეს ყრმათა; ვიდრე იგი იყო მეფედ, არღარავინ კვლიდა ყრმათა. რამედ ცხვრისა და ძროხისა სწირვა განუწესა. ამისთვისაცა ეწოდა რევ მართალი („ქართლის ცხოვრება“, თბილისი 1955 წ. გვ 68).

მართალია ახალი წელთაღრიცხვით III საუკუნეში ოფიციალურად გაუქმდა ღვთისადმი ადამიანის მსხვერპლთშეწირვა, მაგრამ კერპთაყვანისცემისადმი ფანატიკურად განწყობილი კიდევ დიდხანს მისდევდნენ ამ მავნე თვისებას და ბოლო ნინოწმინდამ, როგორც ადამიანთა კერპთშეწირვის მთავარმა ტრადიციულმა ცენტრმა, როგორც რეციდივმა კიდევ დიდხანს იარსება და ქართულმა ფოლკლორმა მე-20 საუკუნემდე შეინარჩუნა მისი ხსოვნა.

## რბ ერქვა ნინოწმინდას ძველად, ქრისტიანობის შემოღებამდე! ბუდი თუ ბუდბე?



ართულ ისტორიოგრაფიაში დღეს დიდი აღრევადა გაუგებრობაა წმინდა ნინოს ცხოვრების, გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილის დადგენის განსასაზღვრის საკითხში. ეს გაუგებრობა იქამდე მივიდა, რომ მილიონობით საბიუჯეტო თანხები დაიხარჯა. სიღნაღის რაიონის სოფელ ბოლბეში აშენდა წმინდა ნინოს მემორიალური მუზეუმი და მთელი კომპლექსირათა მთელი მსოფლიოს ტურისტებსა და მეცნიერულ საზოგადოებას მიაწოდონ მცდარი მეცნიერული კონცეფცია, ქართველთა განმანათლებლის და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის შემომტან წმინდა ნინოს ცხოვრებისა უკანასკნელი დღეებისა და მისი ნეშტის ადგილსამყოფელის შესახებ. ჩვენი მიზანია მეცნიერული სიცხადე შევიტანოთ ამ საკითხში და დაინტერესებულ პირებს მივაწოდოთ მეცნიერულად დასაბუთებული სწორი მასალა წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის სწორი, მეცნიერული დასაბუთება.

წიგნი მონოგრაფიის „ნინოწმინდის“ დაწერისა და გამოქვეყნების მიზანიც სწორედ ესაა და ამიტომაც დაიწერა ეს წიგნი. მკითხველებს ვთხოვთ, წაიკითხონ და თავისი შეხედულებები მიაწოდონ წიგნის ავტორს.



# რბ ერქება სოფელ (დაბბ) ნინოწმინდას, წმინდა ნინოს გაჩდაცვალები და დაკრძალვის ბოლო დღეებში? ბოდი თუ ბოლბე?



ივმართოთ საქართველოს დედა ისტორიას – „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომს, გვერდი მე-9, გვერდს, სადაც მემატიაწე ლეონტი მროველი მოგვითხრობს წმინდა ნინოს სიცოცხლის ბოლო წუთების შესახებ, როცა წმინდა ნინო ესაუბრება თავისი ცხოვრების ისტორიას ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის რძალს გარეკახეთის დედოფალს – სალომე უჯარმელს და სუფე ქალს პეროჟავარ სივნიელს და უყვება მათ თავისი საინტერესო ცხოვრების ეპიზოდებს... ამ საინტერესო საუბრის

**ჩანაწერი ხდება ისტორიულ** დაბა ბოლში და არა ქიზიყის (კამბეჩოვანის) დაბა ბოლბეში, რომელიც დაახლოებით 100 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა მაშინდელი გარეკახეთის („კუხეთისაგან“). (იხ. დედა ისტორია „ქართლის ცხოვრება“, I ტომი გვერდი გვ. 9). მკითხველისთვის გარკვეული რომ იყოს, სად მდებარეობდა მაშინდელი „კუხეთის“ დიდი დაბა ბოდი, ცოტა ვრცლად შეგვირდები მაშინდელი ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთ დეტალზე.

როგორც თავად მკითხველი მიხვდება, საქმე ეხება წმინდა ნინოს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს, რომელიც ხდება IV საუკუნის პირველი ნახევრის დასაწყისს, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედო წმინდა ნინოს ცხოვრებისა და სამისიონერო მოღვაწეობის დიდ წიგნს \*).

(\* მითი წმინდა ნინოს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოლბეში მოღვაწეობისა და მისი დაკრძალვის მცდარ კონცეფციას, საფუძველი ჩაუყარა ისტორიკოს ვახუშტი ბაგრატიონის წიგნმა „საქართველოს ცხოვრება“ მე-IV ტომი, რომელიც XIII საუკუნის 40-იან წლებში დაიწერა. (ა. ელერდაშვილი).

მკითხველებს ისიც აბნევს, რომ ტოპონიმი ბოდი თექვსმეტი საუკუნეა საქართველოს გეოგრაფიიდან გაქრა და გარეკახეთის გეოგრაფიიდან ეს ტოპონიმი შეცვალა ახალმა ტოპონიმმა – ნინოწმინდამ. ას შემდეგ, რაც წმინდა ნინო გარდაიცვალა და თავისივე ანდერძის მიხედვით აქ ისტორიული ბოდის წმინდა მიწაზე დაიკრძალა, ხოლო მეფე მირიანის წინადადებით დაბა ბოდს სახელი შეეცვალა და ნინოწმინდა ეწოდა, ხოლო ბოლბე მაშინაც არსებობდა და ეს სახელი ბოლბე დღემდე შერჩა.

რაც შეეხება ბოდსა და ბოლბეს,

გეოგრაფიულ იდენტურობას, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვამტკიცოდ წმინდა ნინოს სახელი და სპეკულაციის საგნად ვაქციოთ.

# რბს ნიშნავს ტოპონიმი ბოდი, ბუდი?



იკეთებს და იყენებს კვერცხების დასადებ, ბარტყების გამოსახეკ და გამოსახრდელ ადგილად ბუდედ.

საინტერესოა, როდის შეარქვეს ფრინველის ბუდეს ასოცირებული სახელი სოფელს, როცა ამ დაბა სოფელს ნინოწმინდა ჰქვია.

ახლანდელი ნინოწმინდა უწინ, რამდენიმე ათასი წლის წინათ დასახლება უფრო ზემოთ, ფოთლოვანი ტყით იყო დასახლებილი და თავისი სიმყუდროებით სულიერი არსებობისათვის მართლაც ბუდეს წააგავდა. სოფელი სამი მხრიდან მართლაც შემოფარგლული იყო ფოთლოვანი ტყით და მთის წყაროებით ნამდვილ ზღაპრულ ილილიას ქმნიდა.

მართალია სოფელმა ცოტა ქვემოთ ჩამოინაცვლა უფრო ვაკობ ადგილზე, მაგრამ ძველი სახელწოდება დიდხანს შემოინახა.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ნინოწმინდას ბუდე, ბოდი, ბოდისი, ბოდავი სხვადასხვა კონსტექტში – ბოდი, ბუდი ერქვა ახალი წელთაღრიცხვის 334 წლამდე. ე.ი. ქართველთა გამაქრისტიანებელ წმინდა ნინოს გარდაცვალებამდე და კუხეთის დიდ დაბა ბოლში დაკრძალვამდე. მეფე მირიანმა ძლეუით დაკრძალა წმინდა ნინო და მისი სახელის უკვდავსაყოფად დაბა-სოფელს ძველი სახელი შეუცვალა და ბოდის ნაცვლად ნინოწმინდა უწოდა სოფელს.

რა თქმა უნდა სოფლის მცხოვრებნი ძველს სახელს ასე ადვილად ვერ დაივიწყებდნენ, მაგრამ გავიდა დრო და სოფლის მოსახლეობამ წმინდა ნინოს სახელი სამარადჟამოდ მიიღო. 150 წელიც გავიდა და მეფე მირიანის მიერ წმინდა ნინოს საფლავზე აღმართული პირველი ქრისტიანული ეკლესიაც მოძველდა, მოსახლეობაც გამრავლდა, იმ პატარა ეკლესიაში სალოცავად შესული ხალხიც ვეღარ ეტეოდა და დაისვა საკითხი წმინდა ნინოს, მისი სახელის უკვდავსაყოფად დიდი და ახალი ეკლესია აშენებინათ. ეს დიდი მამულიშვილური საქმე დიდმა ქართველმა მეფე სარდალმა ვახტანგ გორგასალმა აიღო ხელში და ბრწყინვალედ დაავგირგვინა დიდმა მეფემ ეს საქმე.

მართალია ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იყო გამოცხადებული მაგრამ მის განმტკიცებას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა, როგორც მატერიალურად, ისე იდეოლოგიურად. საქართველო ეკლესიურად და ეპარქიალურად ანტიოქიის ეკლესიას ემორჩილებოდა და სუსტი იყო. სპარსეთიც ყველანაირად ცდილობდა მის დასუსტებას და ცეცხლთაყვანისმცემლობის აღორძინებას. სპარსეთი ყველანაირად ცდილობდა თვით ქართველთა შორის, მის ზედა ფენაში შეექმნა თავისი დასაყრდენი. ვეყანა შიდიდ მოხელეთა შორის თანდათან ცეცხლთაყვანისმცემელთა რელიგიის მომხრე ორიენტაციის მქონე პირთა დაწინაურებას შეუდგა, რომელთა მაგალითსაც წარმოადგენდა ვარქსენარშუშასძეს ქართლის პიტიალმად დაწინაურება, რაც საუკეთესოდ აისახა იმდროინდელ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებაში“.

ვახტანგ გორგასალი ხედავდა რა სპარსელთა ვერაგობას, ქართლში, ყოველნაირი ღონისძიებებით ცდილობდა ქრისტიანობის აღორძინებას, როგორც ეკლესია-მონასტრების მშენებლობას, ისე ქრისტიანული მღვდელთმსახურების აღორძინებას, რის ერთადერთი მთავარი პირობა იყო დასავლური ქრისტიანული ორიენტაციის გაძლიერება და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. საქართველოს ეკლესიის ცალკე ავტოკეფალიად გამოყოფას.

ვახტანგ გორგასალმა დიდი ძალისხმევა მოახმარა აღმოსავლეთ საქართველოს კუხეთ-ნინოწმინდის პროვინციას, რომელიც ვახტანგის მეფობის მეორე ნახევარში წარმოადგენდა ქართლის სამეფოს მთავარ პოლიტიკურ ცენტრს. ქალაქი უჯარმა მეტოქეობასაც კი უწევდა ქართლის დედაქალაქ მცხეთას. ამ დროს მდინარე იორის შუა წელი ნინოწმინდა-სართიჭალა წარმოადგენდა მებრძოლი ტომებით – სოჯებით დასახლებულ მხარეს, რომელსაც იმ დროს სოჯეთსაც კი უწოდებდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს ეს პროვინციულ ეკონომიურად წარმოადგენდა იმდროინდელი ქართლის სამეფოს, (საქართველოს) მჭიდროდ დასახლებულ რეგიონს, რომელსაც „პურის ბედელსაც“ კი უწოდებდნენ ეს რეგიონი მაშინდელი ქართლის მეზობელ რეგიონებს ამარაგებდა პურით, ღვინით, მეცხოველეობის პროდუქტებით. მაშინდელი კუხეთის ვრცელი და მდიდარი სავარგულები წარმოადგენდნენ, როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო საძოვრებს, სადაც ბალახობდა მაშინდელი ქართლის, მთის ზონის თუშხევსურეთის და ხევ-მთიულეთის ცხვარძროხის ჯოგები და ცხვრის ფარები.

კუხეთის (გარე-კახეთის ) ეს რეგიონი ამავე დროს წარმოადგენდა მაშინდელი მსოფლიოს სახელმწიფოთა სპარსეთისა და რომის იმპერიების ტრიტორიული ცილობის სამხედრო-სტრატეგიული დაპირისპირების საერთაშორისო სივრცეს, ამიტომაც ვახტანგ გორგასალი დიდ ყურადღებას

აქცევდა ამ რეგიონს. ვახტანგ გორგასალი თავის მრავალრიცხოვანი ამალით სშირად გადიოდა მის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებზე და მთელი კვირა რჩებოდა საზღვრების გასაკონტროლებლად. ხლახ არსებობს ის ტოპონიმები, სადაც ხალხის ხსოვნამ შემოინახა, როგორც ვახტანგ გორგასლის „ნატახტარები“ ახლანდელი დავიტ-გარეჯის სამონასტრო კომპლექსებთან და ახლანდელი სათაფლეს (კრასნოგორკის მახლობლად მარალი მთა, მდინარე იორის მარჯვენა სანაპიროზე). ამიტომ იყო, რომ ვახტანგ გორგასალი ჯერ კიდევ V საუკუნის მეორე ნახევრიდან უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა კუხეთს (ახლანდელ გარე-კახეთს, საგარეჯოს რაიონს).

მაშინდელი ირანი (სპარსეთი) და რომის იმპერია, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რომის ის ნაწილი, რომელიც V საუკუნიდან ჩამოყალიბდა, როგორც ბიზანტიის იმპერია, საქართველო გადაიქცა ამ ორ მსოფლიოს დამპყრობ იმპერიებად, აღმოსავლეთ საქართველო გადაიქცა საომარ ლელოდ და კახეთში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა კუხეთის რეგიონს.

კუხეთში, განსაკუთრებით მდინარე იორის შუა წელზე დიდი იდეოლოგიური ბრძოლა გაიმართა იმ დროს ირანში გაბატონებულ მაზდეიანობას (ცეცხლთაყვანისმცემელ) რელიგიას და ქრისტიანობას შორის ირანი ცდილობდა მაზდეიანობის საშუალებით ქრისტიანობა მოესპო, ან უკიდურეს ყოვლისა თავისი აგენტურობის საშუალებით თვით რეგენატი ქართველები ქართველთა ზედაფენის მოსყიდვა-გადაბირების საშუალებით, რეგენატობითა და მოსყიდვით თავისი პოლიტიკა გაეტარებინა. ჩვენ ამის დამადასტურებელ ნივთმტკიცებად გავგაჩნია საუკეთესო ლიტერატურული წყარო – იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“, რომლის მთავარი გმირი, რენეგატი ვარსქენ პიტიაში ვახტანგ გორგასალმა შეიპყრო და მოაკვლევინა 484 წელს, ჩვენი, საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე, ხაშმის მახლობლად, მდინარე იორის მარცხენა სენაკად „ლაფიან ხევის“ სანაპიროზე ხაშმელები რომ „ყოვლადწმინდის ღვთისმშობლის“ ეკლესიას რომ ეძახიან.

V საუკუნეში კუხეთი და სრულიად ივრისპირეთი საქართველოს ისტორიისათვის მეტად საინტერესო გეოგრაფიულ-ისტორიულ მხარეს წარმოადგენდა.

მაშინდელი ქალაქი უჯარმა ათეული წლების მანძილზე წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის დიდი მოვლენების ეპიცენტრს, სადაც 502 წელს ხაშმის, სართიჭალის მიდამოში მოხდა დიდი ომი, მებრძოლთა ორივე მხარეს იბრძოდა დაახლოებით ნახევარ მილიონზე მეტი მებრძოლი და ამ ომში თანამედროვე ხაშმის, სართიჭალისა და მდინარე იორის სანაპიროები მოიფინა მებრძოლთა ორივე მხარის 200-300 ათასიმებრძოლის გვამებით და ამ ბრძოლაში სასიკვდილო

ჭრილობა მიიღო და რამდენიმე დღის შემდეგ ქ. უჯარმაში გარდაიცვალა საქართველოს დიდი მეფე-სარდალი – ვახტანგ გორგასალი. მისი ნეშტი განისვენებს სვეტიცხოვლის მეფეთა საძვალეში.

## საიდან იღებს სათაფეს ტოპონიმების ბოღებსა და ბოღებს იტიფების შესახებ



მანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიხედვით, აგრეთვე ქართველთა განმანათლებლის და საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად შემოტანის წმინდა ნინოს ნეშტის განსასვენებლის ადგილის მეცნიერულად გარკვევისათვის დღემდე არ არის დაზუსტებული მეცნიერული

სიმართლე, რაც დიდ გაუგებრობას იწვევს და მკითხველები ითხოვენ ზუსტ მეცნიერულ სიზუსტეს.

ამ საკითხის გარკვევისათვის ბევრი მკვლევარი, ისტორიკოსი ცდილობს მეცნიერული შუქი მოჰფინოს ამ მეტად საინტერესო და კარდინალურ საკითხს, რომლის ამოსახსნელად და პასუხის გასაცემად თითქმის 60 წელია იღვწის, საგარეჯოს რაიონის მკვიდრი, სწავლული ისტორიკოსი და მრავალი მეცნიერული გამოკვლევისა და გარე კახეთის კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი, მრავალი წიგნისა და მეცნიერული-იტერატურული ნარკვევის ავტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მწიგნობარი ალექსანდრე ელერდაშვილი, რომელსაც ათეული წლების მანძილზე, რაიონულ და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებული აქვს ასეულობით ნარკვევი, მაგრამ ფინანსურად ხელმოკლე მკვლევარ-მეცნიერი ვერ ახერხებს სახსრების გამონახვას სტამბური წესით დაბეჭდოს და მკითხველს მიაწოდოს წიგნი-მონოგრაფია „ნინოწმინდა“, სადაც მოთხრობილია საქართველოს ამ უძველესი-ხუთი ათას წელზე მეტი ხნოვანების სოფლის, დაბა-ქალაქის საინტერესო ისტორიის მქონე დასახლებული პუნქტის იგავმაუწყებელი ლეგენდარული ისტორია.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, წინარე ისტორიის მანძილზე არსებობდა ცივილიზაცია, რომელიც ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა შექმნეს, მაგრამ ბუნებრივმა თუ სოციალურ-ისტორიულმა ბედუკუდმართობამ ვერ მოსპო მათი კვალი. არქეოლოგებმა და კოსმოსიდან გადაღებებმა შესაძლებლობა შესაძლებლობა მოგვცა ზოგი რამ შეგვესწავლა, ზოგიც მომავალ მკვლევარების შესწავლისა და გამომზეურების

მიზანია, რომ უფრო გასაგები და თანამედროვე ადამიანებისათვის, რომ ინტერესმოკლებული არ იყოს მათი ცოდნა, ამიტომ, მომავალი წიგნი-მონოგრაფიის ავტორის მიზანია, ის რაც მისი ავტორის მიზანია ის, რაც მისი ავტორის ხანგრძლივი დროის უძილო ღამეების დიდი შრომით მოძიებული საარქივო მასალები, ხალხში ზეპირსიტყვიტ ნახულ-განცდილი მასალები წერილობით. ჩნობები, რაც შეიძლება უფრო მეტი ინტერესი აღძრას – თუ რანი ვიყავით, რანი და რანი უნდა ვიყოთ მომავალში.

წიგნის მომავალ ავტორს, თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უკვე შესწავლილი და გამოსაქვეყნებელი აქვს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დღემდე ფიქსირებული სოფლის, დაბის, ქალაქისა თუ ნაქალაქარის ისტორია, გარე-კახეთის ტერიტორიაზე ცნობადი ისტორიის მანძილზე ასეულობით სისხლისმღვრელი ბრძოლების ისტორია, სოციალური ამბოხების ფაქტები, შესწავლილი და გამოქვეყნებული აქვს ათასობით ტოპონიმის, ისტორიული ძეგლის, ეკლესია-მონასტრის, ციხის, თავდაცვითი ნაგებობის, საირიგაციო ნაგებობის ნაშთები, რომელთა ცოდნა უფრო დიდ პატრიოტულ სურვილს აღძრავს რაიონის მოსახლეობაში, უპირველეს ყოვლისა მოსწავლე-ახალგაზრდობაში, პერსპექტივას გაუღვიძებს მოსახლეობას სამომავლო ცხოვრებაში.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია საომარ ღელოს წარმოადგენდა, მეზობელი და უცხო აგრესიული სახელმწიფოებისათვის, დიდი სისხლი და ოფლია ჩაღვრილი ჩვენს მიწა-წყალში და ჩვენი წინაპრების სულებიც ღაღად დაფრინავენ ცაში და იქიდან გვამხნევენ, არ დავეცეთ სულით, ბედნიერად მოეუაროთ ჩვენს ბარაქიან მიწა-წყალს და ბაღნარ ედემად ვაქციოთ იგი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილმა იცის ჩვენი ქალაქის, საგარეჯოს მოსახლეობამ, რა ერქვა ჩვენს ქალაქს საგარეჯოს წინათ, ასევე უძველეს დასახლებას ნინოწმინდას და სხვა სოფლებსა თუ ნასოფლარებს, ამიტომ ჩვენს მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ისტორიული სოფლისა თუ უწინდელ ქალაქის ტიპის დასახლებას ნინოწმინდას რა ერქვა 16 საუკუნის წინათ, ვინემ ამ წმინდა მიწაზე თავის საუკუნო განსასვენებლად ადგილს დაიდებდა საქართველოში ქრისტიანობის გამავრცელებელი წმინდა ნინო. აი, ეს კარდინალური საკითხი დღემდე დაუდგენელია ქართულ ისტორიოგრაფიაში და ამ საკითხის გარკვევაში ერთმანეთს ეცილებიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელი ნინოწმინდა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელი ბოღბე. ამიტომ პირველი რიგის

გადასაწყვეტია რა ერქვა გარე-კახეთს დიდ სოფელს, დაბასა თუ ქალაქს ნინოწმინდას ამ 16 საუკუნის წინ, ვინემ ქრისტიანობის გამავრცელებელი და საქართველ-

ომში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად დამფუძნებელი წმინდა ნინო გარე-კახეთში, ანუ კუხეთში, როგორც მაში ამ რეგიონს ერქვა საქართველოში ქრისტიანობის გამავცელებელი წმინდა ნინო ამ ქალაქში გარდაიცვლებოდა და მისივე ანდერძით აქ, ამ წმინდა მიწაში დაიკრძალვებოდა.

მეცნიერულად დადასტურებულია, რომ 16 საუკუნის წინ ამ დაბა ქალაქს ბოდე (ბოდისი) ერქვა და აქ არსებობდა კერპთაყვანისმცემელთა დიდი ტაძარი და წმინდა ნინოს მიერ დამსხვრეული იყო კერპთაყვანისმცემელთა კერპები და მათ ადგილზე აშენდა საქართველოში (ქართლის სახელმწიფოში) ერთ-ერთი ქრისტიანული ეკლესია მეფე მირიანის ბრძანებით წმინდა ნინოს საფლავზე აშენდა ეს ეკლესია და მეფე მირიანის ბრძანებითვე დაბა-სოფლის ძველი სახელწოდება ბოდე (ბოდისი) გადაერქვა და წმინდა ნინოს სახელის უკვდავსაყოფად ნინოწმინდა ეწოდა. მაშ ასე ნინოწმინდას მეფე მირიანის ბრძანებით ძველი სახელი შეეცვალა და მას „ნინოწმინდა“ ეწოდა. (იხილეთ ამის დამადასტურებელი პირველი წყარო, დედა ისტორია „ქართლის ცხოვრება“ თბილისი, 1955 წელი. გვერდი 127.). ავტორი ლეონტი მროველი.

**ბოდე თუ ბოდბე?**



როგორც ადგილობრივი მკვიდრი (დაბადებული და გაზრდილი ვარ ნინოწმინდის მეზობელ სოფელ პატარძულში 1929 წელს. საშუალო განათლება მივიღე სოფელ პატარძულში, ხოლო 1949 წლიდან 1954 წლამდე უმაღლესი განათლება მივიღე ქალაქ თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში და მომენიჭა სწავლული ისტორიკოსის კვალიფიკაცია. იმავე წელს მუშაობა დავიწყე ჩემს მშობლიურ გარე-კახეთის, საგარეჯოს რაიონში. 1954 წელსვე დავინიშნე შემდეგ თანამდებობებზე. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ვმუშაობდი ჟურნალისტად, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად, ისტორიის მასწავლებლად, პარტიის რაიკომის ლექტორ-კონსულტანტად, რაიონის იდეოლოგიური განყოფილების გამგედ, განათლების განყოფილების გამგედ. რაიონული ბიბლიოთეკის ბიბლიოფილად, დავით-გარეჯის მუზეუმის უფროს მეცნიერ მუშაკად. ხანგრძლივ მეცნიერულ-კვლევით მუშაობაში, უამრავი წიგნისა და სამეცნიერო-კვლევაში უმწიკვლო დამსახურებისათვის 1979 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მომენიჭა კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ჩემი ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის გამო დაჯილდოებული ვარ, როგორც საკავშირო, ისე,

საქართველოს მთავრობის მრავალი მედლითა და საპატიო სიგელით.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უდიდესი ისტორიის მქონე გარე-კახეთის საფუძვლიანი შესწავლის საქმეს შევალიე ჩემი შეგნებული ცხოვრების თითქმის 70 წელი, მოვიძიე და საფუძვლიანად შევისწავლე სოფელ ნინოწმინდაზე არსებული უმდიდრესი საარქივო მასალა, ნინოწმინდაზე არსებული, როგორც წერილობითი, ისე ხალხში არსებული ფოლკლორული მასალა, ლეგენდები, თქმულებები, და სხვა მაგრამ დღემდე ვერ მივალწიე ნინოწმინდის დიდი ისტორიის მონოგრაფიად, წიგნად გამოცემა. ამ საქმის დაგვირგვინებაში ყოველთვის ხელს მიშლიდა ის მცდარი მეცნიერული კონცეფცია, რომ ვითომ წმინდა ნინო მოღვაწეობდა და დაკრძალულიც არის არა გარე-კახეთის ნინოწმინდაში, არამედ ქიზიყის, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბეში. ამას ისიც ემატებოდა, რომ გასულ წლებში, კერძოდ 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ დროს მიხეილ სააკაშვილის 9 წლიანი მმართველობის პერიოდში, სიღნაღის რაიონში მილიონობით სახელმწიფო სახსრების დახარჯვით კახეთი ტურისტულ ზონად გამოცხადდა და სიღნაღის რაიონის სოფელი ბოდბე გამოცხადდა წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის მთავარ არეალად და ბოდბეს კეთილმოწყობაზე მილიონობით სახელმწიფო სახსრები მოხმარდა იქ მუზეუმის მოწყობას, ვითომ წმინდა ნინოს სამოღვაწეო ადგილად ბოდბე გამოცხადდა, ხოლო გარე-კახეთის ნინოწმინდა ჩრდილში მოექცა და მთავარი ყურადღების მიქცევის არედან ამოვარდა. ახლა, როგორც საგარეჯოს რაიონის საზოგადოება, ისე მთელი ქართველი ხალხი მოითხოვს აღსდგეს სამართლიანობა და დაიწეროს მეცნიერულად დასაბუთებული წიგნი მონოგრაფია, სადაც ხალხი მიიღებს სწორ, ნამდვილად მეცნიერულ მასალას. ამიტომ პირველი რიგის ამოცანაა გაირკვეს ბოდბე-ბოდბის ერთმანეთისაგან განცალკევების საკითხი.

**ბოდე დამთავრებული ტოპონიმი და მას ხრახვითხრი გახშირე ხტხ ზქეს ბოდბესთან.**



დემდე მეცნიერულად გაურკვეველია ტოპონიმების ბოდესა და ბოდბეს იგივობის საკითხი, რაც საბოლოოდ დიდ აღრევას და გაუგებრობას იწვევს ქართულ ისტორიოგრაფიაში. დემდე ბევრი ისტორიკოსი შეეცდა როგორც ამ ტოპონიმების იგივეობის გარკვევაში, ისე მათ ცალკ-ცალკე გარკვევაში, ეს საკითხი გარკვევის მაგიერ უფრო

აირია მას შემდეგ, რაც მკვლევარი-ისტორიკოსი ივ. ლოლაშვილმა ჟურნალ მნათობში 1971 წლის №9-ში გამოაქვეყნა სრულიად დაუსაბუთებელი კონცეფცია ტოპონიმ „ბოდესა“ და „ბოდბის“ იგივეობის შესახებ, რასაც მე პირადად, რომელსაც ძირფესვიანად მქონდა ეს საკითხი შესწავლილი 1978 წელს შევხდი დღესასწაულ „გარეჯობაზე“ ამ კონცეფციის ავტორს ივანე ლოლაშვილს და საფუძვლიანი მსჯელობა გაემართეთ, სადაც ბ-ნი ივანე დაგარწმუნე თავისი კონცეფციის მცდარობაში.

ვინც საფუძვლიანად იცნობს გარე-კახეთისა და ქიზიყის ისტორიულ გეოგრაფიას, ყველა დამეთანხმება, რომ სულ სხვა და სხვა ტოპონიმებია ბოდე და ბოდბე. სწორედ ამ მცდარობამ მიაღებინა სრულიად მცდარი კონცეფცია დიდ ქართველ ისტორიკოსსა და XII საუკუნის დიდ მკვლევარს ვახუშტი ბაგრატიონს, რომელმაც თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართლის ცხოვრებაში“ მე-4 ტომში და ათქმევინა, რომ ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო მოღვაწეობდა არა გარე-კახეთში და იქ გარდაიცვალა IV საუკუნის დასაწყისში, არამედ გარე-კახეთის (ნინოწმინდის) ნაცვლად დიდმა ისტორიკოსმა ვახუშტი ბაგრატიონმა წმინდა ნინოს საამისიონერო მოღვაწეობისა და გარდაცვალება-დაკრძალვის ადგილად ქიზიყის სოფელი ბოდბე გამოაცხადა. აქვე მინდა მოკლედ შევეხო მკვლევარი-ისტორიკოს ივანე ლოლაშვილის ზოგიერთ მცდარ კონცეფციებს, რომელიც მან დაუშვა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში 1984 წელს გამოშვებულ წიგნში გამოკვლევა „მრავალკარედში“, სადაც გარე-კახეთის მრავალი მატერიალური კულტურის ძეგლი სიღნაღის რაიონის ძეგლებს მიაკუთვნა, ნინოწმინდაზე რომ არაფერი ვთქვათ.

სამწუხარო და სინანულის გამომწვევია მკვლევარი-ისტორიკოსის პროფესორ ივანე ლოლაშვილის ბედი, იგი მრავალი შრომის ავტორია. მართალია იგი საქართველოს ისტორიის გულდამწვარი ამავდარი იყო, მაგრამ საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი კვლევის საქმეს შეეწირა. მას დავით-გარეჯის გრანდიოზული კომპლექსების საფუძვლიანი შესწავლისათვის წამოყვანილი ყავდა თავისი სტუდენტები დავით-გარეჯის იონანე ნათლისმცემლის მონასტრის დასათვალიერებლად ერთ-ერთი „გარეჯობის“ დღესასწაულის დროს, მაგრამ მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა ამ დიდებული მონასტრის დათვალიერება. იგი როდესაც თავის სტუდენტებს უხსნიდა იონანე ნათლისმცემლის მონასტრის ერთ-ერთი გამოქვაბულის ისტორიას, ამ გამოქვაბულში ჩავარდა და იქვე გარდაიცვალა. გარე-კახეთში, სოფელ ნინოწმინდაში, რომელიც თავისი გრანდიოზულობითა და მიმზიდველობით აოცებს, როგორც მეცნიერებისა და ყველა ტურისტის წარმომადგენლებს.

დადგენილია, რომ ნინოწმინდის

ძეგლი-კომპლექსი და თვითონ ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრალის ძეგლ-კომპლექსი და თვით ნინოწმინდის კათედრალის დაარსების ხნოვანება თითქმის ორი საუკუნით უფრო უხნესია, ვიდრე ბოდბის კათედრალის ბაზილიკური ტიპის ტაძარი, ამიტომ მკითხველს პირველ რიგში დაებადება კითხვა – რა ერქვა (სოფელ (თუ ქალაქს), ვიდრე მას სახელს შეუცვლიდა წმინდა ნინოს გარდაცვალებისა და მისი ნეშტის ამ წმინდა მიწაში დაკრძალვის დროს, საიდან გაჩნდა პირველადი ტოპონიმის სახელწოდება ბოდე (ბოდისი). ამიტომ უპირიანი იქნება ამ ტოპონიმის სახელწოდების ეტიმოლოგიას, უფრო ვრცლად შევეხოთ, თუ რას ნიშნავდა ტოპონიმი ბოდე (ბოდისი) ვინემ მას ნინოწმინდა შეეცვლიდა. ამ საკითხს უფრო ვრცლად შევეხებით.

ახლა, როცა მკვლევარები ერთმანეთში ურევენ ტოპონიმებს ბოდესა და ბოდბეს, სულაც არ ფიქრობენ, რომ გრამატიკული ეტიმოლოგიით სულ სხვა და სხვა ტიპისანი და ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულნი არიან ეს ტოპონიმები.

## ბოდე, ბუდი ბოდავი, ბოდისი ნინოწმინდის უძველესი ტოპონიმები



ოდე, ბუდი ბოდავი, ბოდისი ნინოწმინდის უძველესი ტოპონიმებია, რომელიც გარე კახეთის ულამაზესი სოფლის (თუ დაბა ქალაქის) სახელი იყო, ვიდრე ამ სოფელში თუ დაბა ქალაქში წმინდა ნინოს დამარხავდნენ. მას შემდეგ თითქმის 16 საუკუნეზე მეტი

გავიდა და ხალხმა დიდი ხნის წინ დაივიწყა ამ ტოპონიმის ხსოვნა. ხოლოდ წერილობითმა წყაროებმა შემოინახეს მისი ხსოვნა. თუ როდიდან ატარებდა ამ ტოპონიმის სახელს ძველი ნინოწმინდა არავინ იცის. არც არავინ იცოდა ამ სახელს რა დანიშნულება ჰქონდა და რისთვის ატარებდა ამ სახელს ძველი ნინოწმინდა. მკითხველიც ამით არის დაინტერესებული რას ნიშნავს ტოპონიმი ბოდი, ბოდო და საიდან წარმოიშვა, რა დანიშნულება ჰქონდა ტოპონიმის ძირს, ბოდს, ბუდს. კვლევარი ვ. ითონიშვილი თავის „ხევის ტოპონიმიკა“-ში 1971 წ. გვ. 48 წერს, რომ სიტყვა ბოდო, ან ბოდი ეწოდება მაღალ მთას, ან ამ მთის ძირს, კლდეს რომელიც დაბლა ეშვება და თავს დასცქერის ტაფობს. თუ ჩვენ კარგად დაგაკვირდებით ნინოწმინდის ტყით შებურვილ ტყიან ტაფობს, შევამცნევთ, რომ ტყიანი ტაფობი გარემოცულია კლდოვანი რელიეფით და ამ კლდეებიდან დაბლა ეშვება კლდეები და ქმნის კლდოვან რელიეფს.

საქართველოს სამხედრო გზაზე დარიალის ხეობაში კლდეებიდან ჩამომავალ კლდოვან მასას ხევის მოხვევე მწყემსები ახლაც, ამ დაქანებულ რელიეფს ბოდოს



ერთმანეთში გადახლართული პირველყოფილი-თემური და მონათმფლობელური წყობილება და მათი ხელაშენი წარმართული რელიგია სრულიად ველარ პასუხობდა ქართლის მეფეთა და მმართველი კლასის მიზნებსა და ინტერესებს, შეფერხებული

იყო საზოგადოების წინსვლა, ამიტომ იმდროინდელი ქართლის პოლიტიკური მესვეურები ქრისტიანულ რელიგიას უყურებდნენ როგორც ხსნის გზას, გარე აგრესიის წინააღმდეგ ერის კონსოლიდაციისა და ახალი ფეოდალური კლასის პოზიციების განმტკიცების ერთ-ერთ საშუალებას. ქართლის გამგებელმა მირიან მეფემ, როგორც რეალურად მოაზროვნე, მოქნილი პოლიტიკის მქონე მოღვაწემ 337 წელს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებით შორსგამიზნული ამოცანა დაისახა, ქრისტიანობა მას უნდა გამოეყენებინა ხალხის მორჩილებაში მოყვანისათვის., სეპარატისტ ერისთავების დათრგუნვისა და საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის განმტკიცებაში აგრესორების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოებისათვის. გარდა ამისა, ახალი ფეოდალური კლასის ყურადღება მიპყრობილი იყო წარმართული ტაძრებისა და ქურუმთა ხელში თავმოყრილი მიწებისა და სიმდიდრის ხელში ჩაგდებისათვის. მირიან მეფის პოლიტიკური მიზნების განხორციელებაში უდიდესი როლი შეასრულა წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობამ, რომელმაც მეტად მოხერხებულად გამოიყენა ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლით გამწვავებული ვითარება და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახალი იდეოლოგიის გამარჯვებას.

როგორც ზემოთაც იყო მინიშნებული, ბოდის-ნინოწმინდის როლი ძალზე დიდი იყო იმ დროისათვის, ვინაიდან იგი გადაიქცა ახალი ქრისტიანული იდეოლოგიის ერთ-ერთ მთავარ და საწყის ცენტრად, როგორც კუხეთში, ისე მთელ კახეთში. როგორც ითქვა ამ პერიოდში უჯარმა ბოლაც ნინოწმინდასთან ერთად მირიან მეფის ძის უფლისწილ რევის წილხვედრს წარმოადგენდა და ამდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართლის სამეფოს პოლიტიკაში.

ბოდის-ნინოწმინდის როლის ზრდის ნათელ საყოფად წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობიდან შევეხებით რამდენიმე მომენტს.

როგორც „მოქცევაი ქართლისაის“ ტელიშური და შატბერული ნუსხები გვაუწყებენ კაწარეთის (კაწარეთი, ანუ აშუა მდებარეობს ხაშმის ჩრდილოეთ-ით 5 კილომეტრის მანძილზე) შემდეგ წმინდა

უწოდებენ, რომელიც თოვლის ზვარის სინონიმს წარმოადგენს.

ჩვენის აზრით, თუ მკვლევარ ვ. ითონიშვილის მოსაზრებასაც მოვიშველიებთ ადვილად ავხსნით სიტყვა ბოდოს შინაარსს და მივუსადაგებთ სოფელ ნინოწმინდის ჩრდილოეთის ფოთლოვანი ტყით შემოსილ კლდოვან რელიეფს, სადაც ძველათ თანამედროვე ნინოწმინდის წინაპრებს უცხოვრიათ და კლდოვანი ქარაფები ერთგვარ თავშესაფრად ჰქონიათ გამოყენებული.

ვ. ითონიშვილი ზემოთ დამოწმებული შრომის შესავალში მიუთითებს, რომ კობის ხიდს, რომ გასცდებით მოხევეები ახლაც ბოდოდ ხიდს ეძახიან, იმის გამო, რომ ასეთი ბოდა ხიდები და ბოდო დედეები ბევრია საქართველოში, რაღა შორს წავიდეთ თითონ ნინოწმინდის ამ ტყიან კლდოვან ადგილებში ალბათ ნინოწმინდელების წინაპრები ამ კლდოვან ქარაფებს თავშესაფრადაც იყენებდნენ და სწორედ ამის გამო ხშირად ბოდს მეორე სინონიმად ბუდესაც უწოდებდნენ და ბუდი სწორედ თავშესაფარს, ბუდეს ნიშნავდა.

აღრე ქრისტიანულ ხანაში ბოდისა და ბოდბის ტოპონიმების იგივეობის, ან ამ ტოპონიმების ერთმანეთში აღრევის პრობლემა არ ყოფილა და არც იქნებოდა, იმის გამო, რომ წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის პერიოდში ბოდისა და ბოდბის ფონეტიკური მსგავსებების პრობლემა არ იდგა და ვერც იდგებოდა, ვინაიდან მაშინ არავის მოსვლია აზრად წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობისა და წმინდა ნინოს ნეშტის განსასვენებელ ადგილს ვინმე შესცილებოდა. ეს საკითხი მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონის შრომების დაწერის დროს წარმოიშვა, მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნეში დაიწერა ვახუშტი ბაგრატიონის ზემოთ აღნიშნული შრომები, რასაც უფრო ვრცლად და დოკუმენტურად დავადასტურებთ უფრო ქვემოთ. ახლა კი ჩვენი მიზანია, ჩვენი მონოგრაფიის მკითხველს მოვუთხროდ ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრალის დაარსების შესახებ და მკითხველს მივაწოდოთ საინტერესო მასალები, რასაც ადგილი ჰქონდა ნინოწმინდაში V-IV საუკუნეების მანძილზე.

საქართველოს ისტორიაში V საუკუნე იყო ერთ-ერთი ნიშანსვეტი, ვინაიდან ვახტანგ გორგასლის ეპოქამ და ამ გენიალურმა მეფესარდალმა გადაარჩინა საქართველო მიწის პირისაგან აღგვას და გზა დაუდო ქვეყნის შემდგომი აღორძინების გზას.



ნინო ბოდავში, ანუ ბოდისში ჩადის და იქ ქრისტიანობას მიაღებინებს დედოფალ სოჯის, მის დიდებულებს და წვრილ ერსაც, შემდეგ იგი მიემართება კახეთისაკენ, მაგრამ გზაში დასნეულდება და კვლავ ბოდავში ბრუნდება, იგივეს ადასტურებს ისტორიკოსი ლეონტი მროველიც „ქართლის ცხოვრებაში:

„...ვითარცა მიეახლა კუხეთს, დაბასა ბოდისისასა დაყვნა მუნ დღენი რა რაოდენიმე, და მოვიდოდეს მისსა კახეთით, ჰკითხვიდეს და აღიარებდეს სწავასა მისსა, სიმრავლე ერისა, მაშინ დასნეულდა მუნ: და ვითარცა ცან რვე, ძემან მეფისამან და სალომე, ცოლმან მისმან, რომელნი ცხოვრობდეს უჯარმას, მოვიდეს ნინოსა და აცნობეს მეფესა და დედოფალსა, ხოლო მათ მოავლინეს ეპისკოპოსი იოანე წარმოყვანებად წმინდისა ნინოსა, ხოლო წმინდა ნინო არაერჩდა. მაშინ წარვიდა თვით მეფე და სიმრავლე ერისა. და შეკრბა მის ზედა სიმრავლე ერთა ძლიერთა, რამეთუ ხედვიდა ყოველი იგი ერი პირსა ნინოსა, ვითარცა პირსა ზეცისა ანგელოზისასა და მოსწყურდიან ფეხუსა სამოსისა მისისა, მიაღებდეს და ემთხვეოდეს სარწმუნოებით და იძულებით ევედრებოდეს ყოველნი დედოფალნი, გარემოს მსხდომნი, რომელთა გადმოსდიოდეს ცრემლნი თვალთაგან მათთა განშორებისათვის მოძღურისა მათისა და მოღვაწისა და სნეულთა მკურნალისა და ხელოვანისა“...

შემდეგ გადმოცემულია თუ როგორ ჩაიწერეს სალომე უჯარმელმა და პეროჟავარ სივნიელმა წმ. ნინოს მონათხრობი, რასაც ესწრებოდნენ მეფე-დედოფალიც.

წმ. ნინო არ გაჰყვით მეფე-დედოფალს მცხეთაში და სთხოვათ, რათა მისი ნეშტი მიებარებინათ ბოდის (ბოდავის) მიწისათვის. (ესე იგი დაეკრძალათ ბოდისში). მეფემ და დედოფალმა შეუსრულეს წმ. ნინოს სურვილი „...მაშინ იოანე ეპისკოპოსმან, – აგრძელებს მატეანე – შესწირა ჟამნი და აზიარა წმინდა ნინო ხორცსა სისხლსა ქრისტესასა და შევედრა სული თვისი მეუფესა, ქართლად მოსვლითგან მისით მეთოთხმეტესა წელსა, ქრისტეს ამადლებიდან სამას ოცდა თურამეტსა წელსა, დასაბამითგანთა წელთა ხუთიათას რვაას ოცდათურმეტსა.

მაშინ შეიძრნენ ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმა და ყოველი ქართლი, მიცვალებასა ნინოსა. ოვიდეს და დამარხეს ძღვეით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუთხესა, დაბასა ბოდისისასა, რამეთუ მუნ ითხოვა თვით დაფლვა მეფისაგან, შეხედვებითა ღმრთისათა“.

როგორც მატეანედან ჩანს მეფესა და დედოფალს არ უნდოდათ წმ. ნინოს ბოდისში (ბოდავში) დაკრძალვა, მათი მიზანი იყო მცხეთის მიწისათვის მიებარებინათ ქართლის განმანათლებელი, მაგრამ ვერც წინ აღუდგნენ წმ. ნინოს ანდერძს. მემატეანე ხსნის რა წმ. ნინოს სურვილს, დაკრძალული იყო ბოდისში განაგრძობს: ...

სიმდაბლისათვის ქმნა ესე წმინდამან, რამე თუ ადგილი იგი შეურაცხი იყო და მწუხარე იყო მეფე ყოველნი წარჩინებულნი მუნ დაფლვასა მისსა, არამედ მცნებისა და ანდერძისა მისისა აღსრულებისათვის დაფლეს მუნ“.

შემდეგ ლეონტი მროველი აღწერს მირიან მეფის ძის რვეის სიკვდილს და მირიანის მეორე შვილის ბაქარის გამეფებას, შემდეგ მეფე მირიანის სიკვდილს და მის ანდერძს ბაქარისადმი: „და მისვე წელიწადსა დასნეულდა მირიან მეფე, რომელიცა აღესრულა და მოიყვანა ძე მისი ბაქარ და ცოლი მისი ნანა და რქუა ნანას: „ჰა ესერა, მე წარვალ ვინაცა მოვედ და ვმადლობ მრავალმოწყალესა ღმერთსა, დაბადებულსა ცისა და ქვეყნისასა, რომელმან წარტყუნულ ეშმაკისგან მიხსნა მე პირისაგან ჯოჯოხეთისაგან და ღირსმყო მე მარჯუნით მისთანა. შენ, ნანა, უკეთუ გეცესლა მოცალეობა ცხოვრებისა ჩემისა შემდგომად განყავ სამეფო განძი ჩუენი ორად და მირე სამარხავსა ნინოსა, განმანათლებლისა ჩვენისა, ჯამთა შეცვალებისათვის, რათა არა შეირყოს უკუნისამდე იგი ადგილი, რამეთუ მეფეთა საჯდომი არს, არამედ მწირ არს“ (ესეიგი სამეფო ადგილი არის, მაგრამ ღარიბად გამოიყურებაო, ა. ე.) აგრეთვე ევედრა ეპისკოპოსთა, რათა აღიდონ დიდება მის ადგილსა, „რამეთუ ღირს არს პატივისცემისა“ ამგვარად ლეონტი მროველით მეფე მირიანი ანდერძს უტოვებს თავის შვილსა და თავის მეუღლეს ყურადღება მიაქციონ ნინოს სამარხს ბოდისს მის გამშვენიერებასა და აღმშენებლობას.

ახლა მოვუსმინოთ მეორე დოკუმენტს „მოქცევაი ქართლისაის“ ჭელიშურ ნუსხას, სადაც მეფე მირიანი ამბობს: „მაშინ მესამესადღესა ძლით სამე დავემარხეთ ყოვლადვე ღუაწლით შემოსილი გუამი მისი დიდითა პატივითა და დიდებითა ბოდს (ჭელიშურ ნუსხაში ბოდავს ბოდი ჰქვია ა.ე.) შინა და-ბასა კოხეთისასა და ვიგლოვე საფლავსა ზედა წმინდასა მისსა: ზ. (ე. ი. შვიდი დღე ა.ე.) დღეს სამეფოთა ცემითურთ და აღვაშენე მას ზედა ეკლესიაი ფრიად დიდი და შევამკე ყოვლითა სამკაულითა“.

ამგვარად თუ „მოქცევაი ქართლისაის“ ჭელიშურ ნუსხას ვერწმუნებით მეფე მირიანს თავისავე სიცოცხლეში აუშენებია ბოდისს ეკლესია და ალბათ იქ მღვდელმსახურებასაც განაწესებდა. ყოველ შემთხვევაში, სამივე დოკუმენტში მიუთითებს იმაზე, რომ მეფე მირიანს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ბოდისათვის, არამარტო როგორც ქართლის განმანათლებლის, წმ. ნინოს სამარხისათვის, არამედ კახეთში თავისი პოლიტიკური ზრახვების ერთ-ერთ საყრდენისათვისაც.

მეფე მირიანს, რომ განსაკუთრებული ყურადღება გაუმახვილებია ბოდისისათვის, როგორც ახალი რელიგიურ-იდეოლოგიური ცენტრის განმტკიცებისათვის, ნათელი ხდება ლეონტი მროველის „ქართლის

ცხოვრებიდანაც“ წმ. ნინომ თავისი ანდერძის დროს „...შევდრა მეფესა იაკობ მღვდელი,რათა შემდგომად იოვანესა იგი იყოს ეპისკოპოს“. იბადება კითხვა, მაინც რა დაიმსახურა ასეთი იაკობ მღვდელმა, რათა ამდღებულყო ეპისკოპოსის ტიტულამდე? საქმე ისაა, რომ წმ. ნინომ თავისი სამისიონერო მოღვაწეობის დასაწყისიდანვე თან წაიყვანა იაკობ მღვდელი, დიაკონი და ერთ-ერთი ერისმთავარი შეიარაღებული რაზმით, რათა ყოველგვარი უსიამოვნებისაგან დაეცვათ განმანათლებელი წმ. ნინო.

იაკობ მღვდელმა ხიფათით სავსე მოგზაურობის დროს თავისი სათნოებით, გულმოდგინებით და წმ. ნინოსადმი ერთგული სამსახურით დაიმსახურა წმ. ნინოს რეკომენდაცია მეფე მირიანის წინაშე, რათა იოანე I მთავარეპისკოპოსის შემდეგ მთავარეპისკოპოსად ეკურთხებინათ იაკობი.

ალბათ მეფე მირიანმა და მისმა მემკვიდრეებმა გაითვალისწინეს წმ. ნინოს რეკომენდაცია (მისი ანდერძი) და იაკობ მღვდელის დადებითი ღირსებები, მისი დიდი დამსახურება საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში და იოანე მთავარეპისკოპოსის (335-363 წ.წ.) გარდაცვალების შემდეგ მთავარეპისკოპოსად დამტკიცებულ იქნა იაკობი (363-375 წ.წ.)

ის, რომ ბოდავში მეფე მირიანისა და მისი მემკვიდრეების დროსვე აშენებულია ტაძარი ამას ადასტურებს როგორც „მოქცევაი ქართლისაის“ ჭელიშური ნუსხა, ისე ეპიგრაფიული ძეგლები, რომელიც ნინოწმინდის ტეტრაკონქის ხავსმოდებულმა კედლებმა შემოგვინახეს.

ისტორიკოსმა სერგის კაკაბაძემ ჯერ კიდევ 1928 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „ნინოწმინდის ძეგლი“, რომელიც გამოაქვეყნა „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის ბიულეტენში“, (რუსულ ენაზე). ახალი სიტყა თქვა ნინოწმინდის კათედრალის ისტორიის გარკვევის საქმეში. შ. კაკაბაძემ ამოიკითხა ტეტრაკონქის ჩრდილოეთის მხარეს ქვაზე ამოკაწრული ქარაგმის წარწერა, რომელიც შესრულებული ყოფილა რეფორმამდელი ქართული ალფაბიტით, (აღნიშნული ალფაბიტი ჩამოყალიბდა ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში არამეული ალფაბიტის საფუძველზე). სარგის კაკაბაძისეული წაკითხვით ქარაგმიანი წარწერა ასე იკითხებოდა „დმერთო, წმინდაო ჯუარო, იაკობ მთავარეპისკოპოსი შეიწყალე“.

ეყრდნობოდა რა ამ წარწერას სარგის კაკაბაძე ამტკიცებდა, რომ „ბოდისი“ არის სოფელ ნინოწმინდის უძველესი სახელწოდება, რომელიც მეფე მირიანის დროს IV საუკუნეშივე იღებს ამ სახელწოდებას ნინოს საპატივსაცემოდ მისი გარდაცვალების ადგილას აგებული ტაძრის მიხედვით“.

როგორც შემდეგ ს. კაკაბაძე ამტკიცებს, თვითონ სახელწოდება ნინოწმინდა მეფე მირიანს შეურქმევია დაბა ბოდისისათვის და ამ დროიდან მოყოლებულიძველი

ტოპონიმის სანაცვლოდ ფეხს იკიდებს ახალი სახელწოდება – ნინოწმინდა.

რა ბედი ეწვია მირიანის სიკვდილის შემდეგ ნინოწმინდის ეკლესიას თუ საეპისკოპოსო ტაძარს, ამის შესახებ ქართული მატრიანეები დუმან და ჩვენ იძულებულნი ვართ მივმართოთ მეცნიერულ ვარაუდებს.

ისტორიკოს პლატონ იოსელიანს მე-19 საუკუნის შუა წლებში, ალბათ, გააჩნდა რაღაც სარწმუნო წყარო, რის საფუძველზეც ამტკიცებდა, რომ ნინოწმინდის ტაძარი გადაკეთებულია ქრისტიანულ ეკლესიად კერპთაყვანისმცემელთა ტაძრიდან ჯერ კიდევ წმინდა ნინოს სიცოცხლეში“.

მირიანის გარდაცვალების შემდეგ ქრისტიანობა, როგორც ახალი საზოგადოებრივეკონომიური ფორმაციის დადსაყრდენი იდეოლოგია, კიდევ უფრო მტკიცდება, ამავე დროს იგი აწყდება მთელ რიგ წინააღმდეგობებს.

როგორც ითქვა, ქრისტიანობის მიღება ქვეყნის ფეოდალიზაციის დასაწყისის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა და ამდენად აღსავსე იყო შინაგანი წინააღმდეგობებითა და ბრძოლით. ეს გამოიხატა იმაში, რომ ახალ სარწმუნოებას ქართლის მთელი მოსახლეობა და ყველა საზოგადოებრივი ფენა ერთნაირად არ შეხვედრია. პირველ რიგში ქრისტიანობს მტრულად შეხვდა ძველი სარწმუნოების პრივილეგიური ფენა – ქურუმობა და ტაძრების სხვა მსახურები, აგრეთვე მამაპაპური წესით პირველყოფილ თემური წყობილებით მცხოვრები მთიელები, რომელთათვისაც ქრისტიანობას უეჭველია ფეოდალური ჩაგვრის რაღაც ელემენტები მოჰქონდა. ეს წინააღმდეგობანი კარგად არის ასახული, როგორც „მოქცევაი ქართლისაის“ში“, ისე მროველისეული ნინოს ცხოვრების რედაქციებში.

როგორც ცნობილია ნიზიბინის 298 წლის ზავით ქართლი და სომხეთი რომის იმპერიის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა, ქართველებისათვის რომაელთა ბატონობა შედარებით იოლ ფორმებში ხორციელდებოდა, ვიდრე სპარსელთა ბატონობა. ამ დროისათვის ქრისტიანობა უკვე ფეხს იკიდებდა რომის იმპერიაშიც და IV საუკუნიდან რომში სახელმწიფო რელიგიათაც კი ცხადდებოდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქრისტიანობის მიღება ხელს უწყობდა ქართლსა და რომის იმპერიას შორის კავშირის განმტკიცებას, რადგანაც ეს ნიშნავდა ირანულ ორიენტაციაზე უარის თქმას, ბრძოლას ირანული პოლიტიკური და კულტურული გავლენის წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, როდესაც ნიზიბინის ზავით საქართველო რომის იმპერიის ვასალად გამოცხადდა იმპერატორ კონსტანტინემ მძევლად წაიყვანა მეფე მირიანის ძე ბაქარი, მაგრამ რა წამს მირიანმა ქრისტიანობა მიიღო, და იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა, კონსტანტინემ მაშინვე სამშობლოში გამოაბრუნა მირიანის ძე

ბაქარი. როგორც ლეონტი მროველიც მოგვითხრობს, კონსტანტინე იმპერატორს მირიანისთვის მოუწერია: „ვინაიდან შენ იცან სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა არღარა მიხმს მე შენგან მიქვალი, არამედ ყმა არს ჩუენ შორის შუამდგომლად ქრისტე...“

და შუამდგომლობითა ღმრთისათა დამბადებლისათა ვიყვნეთ ჩუენ სიყვარულსა ზედა ძმებრივ“.

რომაელი ისტორიკოსის გელასი კესარიელის სიტყვით, იბერიის (ქართლის) გაქრისტიანების ამბავს იმპერატორი კონსტანტინე სიხარულით შეხვედრია და მირიან მეფის პირველსავე თხოვნით ხალხის მოსანათულავად მღვდლები გამოუგზავნია.

ამგვარად ქრისტიანობის მიღება პროგრესიული მოვლენა იყო ქართლის სამეფოში, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა ქვეყნის კონსოლიდაციას, ქართველი ხალხის ჩამოყალიბებას. ერთიან კულტს უნდა შეემჭიდროებინა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილი, განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება. თვით ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია იმეორებდა სახელმწიფო ორგანიზაციას. ისე, როგორც სამეფოს სათავეში იდგა მეფე, ქრისტიანული ეკლესიის სათავეშიც იდგა ერთი გამგებელი – მთავარეპისკოპოსი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ ეპისკოპოსები და მღვდლები. რაც შეეხება ბოდის ნინოწმინდას, ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულა.

## ნინოწმინდა საეკლესიო რეფორმების შემდეგ



აღრესად საყურადღებო ამბები ხდება ქართლში V საუკუნის მეორე ნახევრიდან. სამეფო ტახტზე ვახტანგ გორგასლის მოსვლამ ახალი ძალა შთაბერა ქართველ ხალხს სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვახტანგის მეფობა დაემთხვა საქართველოში მეტად მძიმე ხანას, ვახტანგმა გადაწყვიტა ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარება. პირველ რიგში გადაწყვიტა საეკლესიო რეორგანიზაციით ბოლო მოეღო ეკლესიის დანაგვიანებისათვის დაესხა იქ ერთგული მღვდელთმთავრები და ეკლესია გადაექცია სახელმწიფოს ძირითად იდეოლოგიურ საყრდენად მტერთან წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი წარმართვისათვის.

ვახტანგ გორგასალმა ეკლესიის რეორგანიზაცია იმით დაიწყო, რომ საქართველოში კათალიკოსობა დააწესა, თავიდან მოიშორა მიქაელ მთავარეპისკოპოსი და ზოგიერთი მისი მომხრე ეპისკოპოსი, და 12 ახალი ეპისკოპოსით განაახლა

მათი შემადგენლობა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ახლადხელდასმული ეპისკოპოსთაგან ხუთი კახეთ-კუხეთ-ჰერეთში იჯდა, (ნინოწმინდაში, ჭყერეშში, ჩელეთში, ხორნაბუჯში). ვახტანგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავისი დომენის – კახეთ-კუხეთ-ჰერეთის განმტკიცებას, რადგან სავსებით გასაგები მიზეზებით მას სურდა პირველ რიგში სრული ბატონ-პატრონი გამხდარიყო თავის საკუთარ მიწა-წყალზე. ამ დროინდელმა ნინოწმინდამ განსაკუთრებული დანიშნულება მიიღო, არამარტო როგორც ერთ-ერთმა რელიგიურმა ცენტრმა, არამედ, როგორც სამხედრო-სტრატეგიულმა და ადმინისტრაციულმა პუნქტმაც, რომელიც მდინარე იორის ვიწრო გასასვლელს კეტავდა და სუჯეთის მხარის ბატონ-პატრონსაც წარმოადგენდა. ი. შაიშ-მელაშვილს წიგნში „უჯარმისა და მარაბდის ბრძოლები“, განსაკუთრებული ადგილი მიუჩენია ნინოწმინდისათვის. მისი აზრით „უჯარმის კარის“ სახით ისტორიკოს ჯუანშერს წარმოდგენილი აქვს სოფელი ნინოწმინდა და მართლაც ამ სოფლის არეში არის ყველაზე ვიწრო ზოლი იორსა და ციფ-გომბორის სამხრეთ კალთებს შორის. თვით ამ ზოლის გადაძკვეთი ღრმა და მცოცავნიადგვიანი ნაპირების მქონე ხრამები კიდევ უფრო ზღუდავენ ლაშქრის მოძრაობას და სწორედ რომ უშუალოდ ნინოწმინდა-პატარძელის ფარგლებში ტოვებენ შედარებით ხელსაყრელ გასასვლელს. სოფელი ნინოწმინდა იმიტომაც უნდა ყოფილიყო მიჩნეული „უჯარმის კარად“, რომ აქედან მიემართებოდა უმოკლესი ბუნებ რივი გზა უჯარმისაკენ (თანამედროვე პატარძელის გადაკვეთით ხაშმის ზურგში ლაჯაბაურის გავლით ძველ ხაშმამდე). ამიტომ ეს „კარიც“, რომელიც უჯარმის „გარემოს“ შეადგენდა, მძლავრი ზღუდით უნდა ყოფილიყო შემომტკიცებული.

ვახტანგ გორგასალი ზრუნვასა და მატერიალურ შეწევნას არ აკლებდა ნინოწმინდას. როგორც ვიცით, საეპისკოპოსო კათედრალეები არსებობდა ქალაქებში, ან ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში, ამიტომ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მაშინდელი ნინოწმინდა სოფელი კი არ იყო, არამედ მჭიდროდ დასახლებული ქალაქის ტიპის დაბა, ამავე დროს იგი წარმოადგენდა საქართველოს გამაქრისტიანებელ წმ. ნინოს სამარხსაც, ბუნებრივია მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო უნდა გაზრდილიყო.

როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ ნინოწმინდამ, როგორც ახალმა ქრისტიანულმა იდეოლოგიისა და კულტურის ცენტრმა ჯერ კიდევ IV საუკუნის პირველ ნახევარში შეიძინა დიდი მნიშვნელობა. აქ პირველი ქრისტიანული ეკლესია აგებული იქნა მირიან მეფის სიცოცხლეშივე, მაგრამ პირველი ქრისტიანული სამლოცველოები მცირე ზომისანი იყო, ისინი მინიატურულ სამლოცველოებს წარმოადგენდნენ და დიდი

ზომის ეკლესიების მშენებლობა უფრო გვიან პერიოდში იწყება. ვახტანგ გორგასალი ნინოწმინდაში აგებს უფრო მოზრდილ ეკლესიას და სხვა დამხმარე ისეთ ნაგებობებს, რომელიც საეპისკოპოსო კათედრალის შესაფერისი იქნებოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენის აზრით ვახტანგ გორგასლამდეც არსებობდა ნინოწმინდაში საეპისკოპოსო ცენტრი და ჯუანშერთ მოხსენიებულ ვახტანგის მიერ დაარსებულ იმ 12 საეპისკოპოსოს შორის ნინოწმინდა არის მოხსენიებული. აქ ლაპარაკია მხოლოდ საეპისკოპოსოს განახლებაზე, ძველი ეპისკოპოსის შეცვლაზე და არა ახლად დასმაზე. ნინოწმინდის, როგორც ქრისტიანული ცენტრის როლი კიდევ უფრო გაიზარდა ვახტანგ გორგასლის დროს.

ვახტანგ გორგასლის მეფობის ბოლო წლებში, ან მისი მემკვიდრე დაჩის დროს სუჯეთში დაარსებულ იქნა კაწარეთის, ანუ კაწარეთ-სამების საეპისკოპოსო კათედრალი, ესეც იმ ადგილზე, სადაც წმინდა ნინომ IV საუკუნის პირველ მეოთხედში მონათლა „სოჯნი და კსოელნი“. კაწარეთიც მეფიდლომენში შედიოდა და უჯარმიდან სულ რაღაც 3-4 კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა. ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული კახეთში ჭერემის საეპისკოპოსოს დაარსება და აქ ქალაქის აშენება. აღნიშნულ ეპარქიებთან შედარებით ნინოწმინდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც იმდროინდელ კახეთთან დამაკავშირებელ საკომუნიკაციო ცენტრს.

უჯარმიდან კახეთისაკენ მომავალი გზა გადაკვეთდა მდ. იორს მდ. „ლაფიან ხევის“ შესართავთან, შემდეგ „ფიცრულით“ პატარძეულის გადაკვეთით ჩადიოდა ნინოწმინდაში, ნინოწმინდიდან კი მანავ-კაკაბეთ-ყანდაურაზე გავლით უკავშირდებოდა ჭერემ ქალაქს, აქედან კი ჭერემის ხევით ველისციხეს და მთელი ალაზნის ველს.

ორიოდ სიტყვით შევეხოთ ნინოწმინდის როლს ვახტანგ გორგასლის დროს:

ვახტანგ გორგასალმა უჯარმის აშენების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ნინოწმინდაზე. ლეონტი მროველი წერს: ერთი ეპისკოპოსი დასვაო „ნინოწმინდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალმა ალაშენა“. („ქართლის ცხოვრება“ გვ. 199). ისმის კითხვა – ვახტანგ გორგასალმა რატომ უჯარმაშიც არ დააარსა საეპისკოპოსო კათედრალი, უჯარმა ხომ მცხეთასთან ერთად წარმოადგენდა ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთ ცენტრს? მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ, აღნიშნავს ისტორიკოსი ლ. ჭილაშვილი – გორგასალს სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა. იგი ხომ უჯარმაში ფორპოსტს წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო კონტროლის გაწევა როგორც ივრის ხეობის, კარზე ნინოწმინდაში აარსებს“ ამით ვახტანგ გორგასალმა მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა გადაჭრა. ნინოწმინდას ვახტანგ გორგ-

ასალი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით საკმაოდ დიდი როლის შესარულებას აკისრებდა, რამდენადაც იგი შიდა კახეთისაკენ გამავალი ერთ-ერთი მთავარი გზის ჩამკეტ პუნქტს წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო კონტროლის გაწევა, როგორც ივრის ხეობის, ისე სამგორისა და საერთოდ ცივ-გომბორის მთისძირის რაიონებზე.

ნინოწმინდის გეოგრაფიული მდებარეობით გაწეული უპირატესობანი თავის დროზე ჯეროვნად იყო მიგნებული და შეფასებული. აღმოსავლეთიდან შემოჭრილი და დასავლეთისაკენ მიმავალი მტერი ვერ ასცდებოდა ნინოწმინდას, ვინაიდან იგი მდინარე ივრის ყველაზე ძნელად გასასვლელ ვიწრო ადგილს კეტავდა.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ნინოწმინდამ დიდი როლი ითამაშა 502 წლის დიდ ბრძოლაში სპარსელების წინააღმდეგ, როდესაც საქართველოს დასაპყრობად და ასაოხრებლად შემოესია ირანის შახი ხოსრო 740 ათასიანი ჯარით. ალბათ არაერთმა ნინოწმინდელმა შესწირა თავი სამშობლოს სპარსელ დამპყრობთა წინააღმდეგ პირისპირ ბრძოლაში უხვად გააპოხინეს მიწა თავიანთი სისხლით და ღირსეულად მოიხადეს მამულიშვილური ვალი, სამწუხაროდ, ისტორიულმა ფოლიანტებმა ვერ შემოგვინახეს მათი სახელები.

ხოსრო მეფის ურიცხვმა ლაშქარმა ბრძოლით გადმოლახა ნინოწმინდა, შემდეგ პატარძეული და ხაშმის სანახებში გაიშალა ლაფიან ხევის შესართავამდე. სწორედ აქ დაიწყო იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში ის დიდი ბრძოლა, რომელიც დარფაკასთან (უჯარმის ახლოს) მოიგო ლეგენდარულმა ვახტანგ გორგასალმა და აქვე მიიღო საბედისწერო ჭრილობა.

ამგვარად ნინოწმინდა ვახტანგ გორგასლის დროს გვევლინება არა მარტო რელიგიურ, არამედ სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრ-ადაც, სადაც იმ დროს არსებობდა აუცილებლად დიდი სტრატეგიული ციხე თავისი გარნიზონით. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ვახტანგ გორგასალმა ჯერ კიდევ 502 წლის ბრძოლამდე თავისი სამეფოს ეფექტიანი თავდაცვის მიზნით მთელ კახეთში მოაწყო თავდაცვითი ნაგებობების ხაზი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ხორნაბუჯი, ნეკრესი ჭერემი, ნინოწმინდა და თვით უჯარმა.

ისევე, როგორც ადრეფეოდალური ქართლის წინა პერიოდში, ვახტანგ გორგასლის დროსაც ქართლის სამეფო ადმინისტრაციულიადაც დაყოფილი იყო საერისთაოებად და ერისთავებს ეკუთვნოდათ, როგორც სმოქალაქო, ისე სამხედრო ხელისუფლებაც. მართალია ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდის ამსახველ ლიტერატურაში არსად არა არის დასახელებული ნინოწმინდის საერისთავო, იქ მხოლოდ კუხეთ-

ისა და ჰერეთის ერისთავები არიან მოხსენიებული, მაგრამ არ შეიძლება ნინოწმინდაში საეპისკოპოსოთა ერთად არ არსებულებით სამოქალაქო ხელისუფლების საადმინისტრაციო ცენტრიც. აქ ჩვენ შეგვიძლია ცოტა უკან დავბრუნდეთ და კვლავ მოვიხსენიოთ წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ამსახველი „მოქცევაი ქართლისაი“-ს ფურცლებზე მოხსენიებული დედოფალი სოჯი, ანუ სუჯი, რომელმაც ნებაყოფლობით თვითონაც მიიღო ქრისტიანობა და თავის ქვეშევრდომებიც მონათლა. ამის შესახებ აი რას წერს წმ. ნინო მეფე მირიანს „მოქცევაი ქართლისაის“ ჭკელიშური ნუსხის მიხედვით: „ხოლო მე ესე, რა მოვიწიე ქუეყანასა კუხეთისასა და დაბა ბოდისისა და აწ ხსენებულმცა არს დედოფალი ეგე სოჯი, რამეთუ აღიარა ეგე „შურითა საღამოითა“ დაღვწად კერპთა და მოქცევად ერისა საერისთაოსისა“. მგონი აქ საერისთაოსს შემთხვევით, ან შეცდომით არ მოიხსენიებდნენ. თვით დედოფალი სოჯიც ამ მხარის ადმინისტრაციულ ერთეულს, ანუ საერისთაოსს გამგებლად გვევლინება, რომელმაც ქრისტიანობის მიღების შემდეგ დიდძალი მამულები შესწირა მცხეთას.

როგორც ცნობილია, ქართული ეკლესიის რეორგანიზაციის შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა V საუკუნის 70-იან წლებში მოახდინა, ნინოწმინდის როლი კიდევ უფრო გაიზარდა, მომდევნო ხანაშიც ნინოწმინდა და ნინოწმინდის მღვდელთმთავარი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

„ეპისკოპალთაწიგნი“ ნინოწმინდელ ეპისკოპოსს მოიხსენიებს, როგორც დვინის 506 წლის საეკლესიო კრების ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს, რომელიც საეკლესიო კრებას ესწრებოდა იმდროინდელი საქართველოს იმ 22 ეპარქიის წარმომადგენლებთან ერთად, რომელთაც მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყვიტეს. როგორც ცნობილია, დვინის საეკლესიო კრებას ქართველ მღვდელთმთავრებთან ერთად ესწრებოდნენ სომხეთისა და ალბანიის მღვდელთმთავრებიც. თუ რა დიდი გავლენით სარგებლობდა ქართულ ეკლესიაში ნინოწმინდელი ეპისკოპოსი გვამცნობს, ცნობილი ქართული თხზულება „განგება დარბაზობისა“, რომელიც გადმოგვცემს მეფის კურთხევის დროს მღვდელთმთავართა დაჯდომის წესს. მეფის კურთხევის დროს ნინოწმინდელი ეპისკოპოსი იკავებდა მეცხრე ადგილს.

როგორც ვთქვით ვახტანგ გორგასალი დიდ ყურადღებას აქცევდა ეკლესია-მონასტრების მშენებლობას, იმიტომ, რომ იმ დროისათვის, ისინი იყვნენ არამარტო საღვთისმსახურო კერები, არამედ სწავლა-განათლებისა და კულტურის დიდი ცენტრები. ეკლესია-მონასტრები ასრულებდნენ არამარტო სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების მაგივრობას, არამედ ისინი ცვლიდნენ აკადემიებსაც.

სამწუხაროდ ვახტანგ გორგასლის ეპოქის ამსახველი ლიტე-

რატურული ნაწარმოებებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“. არ შეიძლება იმდროინდელ ნინოწმინდაშიც არ შექმნილიყო რაიმე ლიტერატურული თუ ისტორიული ნაწარმოები, მაგრამ უამთა სიავის გამო იმდროინდელი ლიტერატურული ნაწარმოებებიდან სხვა არაფერი არ შემორჩენილა. ნინოწმინდის სამწიგნობარო საქმიანობის საკმარის ტრადიცია გააჩნდა ჯერ კიდევ წმ. ნინოს მოღვაწეობის პერიოდიდან.

ნინოწმინდა ამავე დროს წარმოადგენდა ვახტანგ გორგასლის მეფობისდროსვე გაჩაღებული იდეოლოგიური ბრძოლის ერთ-ერთ კერას, რამდენადაც ქრისტიანობისა და ცეცხლთაყვანისმცემლობის კონფორტაციის ხაზი სწორედ აქ გადიოდა.

როგორც ვახტანგ გორგასლის, ისე მისი მემკვიდრე დაჩის დროსაც ბევრი რამ აშენდა კუხეთ-კახეთ-ჰერეთში. თუ საქართველოს ისტორია ღარიბია იმდროინდელი წერილობითი წყაროებით, სამაგიეროდ ის დიდებული მატერიალური კულტურის ძეგლები, როგორცაა უჯარმა, ნინოწმინდა, გომბორი, ივრისპირეთი, კაწარეთი, ჭერემ-ქალაქი, ხორნაბუჯი, და სხვები მნახველებს აჯადოებენ თავისი მონუმენტურობით, და ნათელ წარმოდგენას აძლევენ იმდროინდელი საქართველოს დიდებულ ისტორიაზე.

მრავალჯერ გადაბუჯეს ქართველი ერის მტრებმა ჩვენი სამშობლო, ცეცხლს მისცეს აყვავებული მიწა, მაგრამ ვერ მოსპეს ხალხის უღრმესი რწმენა, სიყვარული სამშობლოსა და რელიგიის მიმართ.

იმ დროს, როდესაც საქართველოში საგრძნობლად შენედა ქრისტიანული ბიზანტიის გავლენა და საქართველო მარტო-მარტო აღმოჩნდა ცეცხლთაყვანისმცემელთა რელიგიის მატარებელი ბუმბერაზი სპარსეთის წინაშე, ქრისტიანულმა რწმენამ მტკიცედ შეადგულა ქართველი ხალხის ნებისყოფა, ქრისტეს რწმენა და სამშობლო ერთ ცნებაზედ იქცა და ერთმა მუჭა ქართველმა ხალხმა თავისი ტიტანური ნებისყოფით და რაინდული შემართებით გზა გადაუღობა ურიცხვ მტერს, შეინარჩუნა თავისი ეროვნული მეობა. საქართველო, როგორც შეუმუსრავი, ციხე-სიმაგრედ ქცეული კუნძული იდგა მარტოდ-მარტო ურიცხვი მტრებით გარემოცული ოკეანეში და ბნელეთის წყვილიდან ანათებდა, რწმენის ჩაუქრობელ ჩირაღდანს წარმოადგენდა ქართველი ხალხის გულში.

მიუხედავად ნგრევა-გაპარტახებისა, მის ლოდებში კვლავ დვიოდა რწმენის ცეცხლ-შეგზნებული შარავანდელი, ხოლო რწმენამოსილი ქართველი კაცი მაგიურ ძალას იძენდა და მკვდრეთით აღადგენდა წმინდა ადგილს, რამე თუ იგი იყო ფუძე, ფესვი მისი არსებობისა და ამ ფუძეფესვიდან ნგრევა-აწიოკების ჩაწყნარებისა და ხანძრის ჩანაგლებისთანავე აღმოცენდებოდა ხოლმე ახალი ყლორტები, მარად უქრობი და მარად უჭკნობი სიცოცხლისა.

# ნინოწმინდა უმეფობის ხანაში



ახტანგ გორგასლის ეპოქით დაიხურა ქართველი ხალხის დიდი ცხოვრების ოქროს ასოებით დაწერილი წიგნის ერთი თავი. ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ ქართლის სამეფოს მძიმე დღეები დაუდგა. რამდენადაც ამიერკავკასია წარმოადგენდა ირანისა და რომ-

ის იმპერიების კონფრონტაციის ცენტრს, სადაც ქრისტიანულ საქართველოს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ირანი ალბანეთსა და სომხეთში მეფობის გაუქმების შემდეგ საქართველოშიც შეეცადა მოესპო ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლება და იქაც მმართველობის ირანული წესი შემოედო, რასაც ქართველმა ხალხმა წინააღმდეგობით უპასუხა.

გურგენ მეფის ცდა აჯანყების გზით (523 წ) გაექვევდინა ირანელები საქართველოდან მარცხით დამთავრდა. ვერც ბიზანტიელებმა გაუწიეს გურგენ მეფეს რეალური სამხედრო დახმარება და საქრისტიანო საქართველოში ირანელთა ბატონობა დამყარდა.

სპარსელებმა საქართველოში მეფობის გაუქმების შემდეგ მოქნილი კოლონიზატორული პოლიტიკის გატარება განიზრახეს. მართალია ქართლი ირანის ხელისუფალს მარზაპანს დაუმორჩილეს, მაგრამ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში ფართოდ მოიზიხილეს ადგილობრივი წარჩინებულებიც. ირანის შაჰები მცდელობას არ აკლებდნენ, რათა ხალხში საიმედო საყრდენები გაეჩინათ. „ევსტათი მცხეთელის“ „მარტვილობით“ კარგად ჩანს თუ ადგილობრივი დიდკაცობის რაწ რეა ირანელი მარზაპანის გარშემო შემოკრებილი. ესენი არიან: „ქართლისა კათალიკოზი“, „ქართლის მამასახლისი“, „ქართლისა პიტიახში“, და სხვანი სეფეწულნი“. ჯუანშერის თხზულებას შემოუნახავს იმის ცნობა, თუ უმეფობის ხანაში როგორ „წარიბირნა ლიქნითა“ (გადაიბირა დაყვავებით) ბარდავს მჯდომმა ირანის მეფის ნაცვალმა (მარზაპარმა) ქართველი ერისთავები: უწყო ზრახვა ერისთავთა ქართლისათა: აღუთქუა კეთილი დიდი და დაუწერა საერისთაოთა მათთამამულობა შვილითი-შვილამდჳ, და ესრეთ წარიბირნა“. ფართო უფლებები და შეღავათები მოიპოვეს ქრისტიანულმა ეკლესია-მონასტრებმაც. მის შემდეგ გასაგებია თუ მეფობის მოსპობას ქართლის აზნაურ წარჩინებულნი ადვილად რატომ შეურიგდნენ. ძირითადი მწარმოებელი მასა გლეხობა კი წელში წყდებოდა იმ მძიმე ხარკის გადახდისაგან, რასაც ადგილობრივი ფეოდალებისა და ირანელი კოლონიზატორების სასარგებლოდ იხდიდნენ..

ირანელმა კოლონიზატორებმა ქრისტიანული ეკლესიისათვის

პრივილეგიების მინიჭებით შორსგამიზნული ამოცანა დაისახეს, მათ უნდოდათ ეკლესიის გახრწნით ხალხისთვის ქრისტიანობისადმი რწმენა დაეკარგათ და ამას ნაწილობრივ მიაღწიეს კიდევ. დაბალი ფენების გარკვეული ნაწილი ქრისტიანობას ნებაყოფლობით ჩამოსცილდა და კვლავ ცეცხლთაყვანისმცემლობაზე მიექცა. იყო დრო, როდესაც ირანელები აღარც კი აიძულებდნენ ხალხს ცეცხლთაყვანისმცემლობაზე მოსაქცევად, თავიანთი მოგვების საშუალებით ნებაყოფლობით ეწეოდნენ ხალხში ზოროასტრიზმის პროპაგანდას.

დამპყრობლების მხრივ მასალების დეზინფორმაციისა და იდეოლოგიური დივერსიის შედეგად ქრისტიანობას, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის იდეოლოგიურ დასაყრდენს სასიშროება ელოდა, ქართველი ხალხის, საღად მოაზროვნე პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ალტერნატივა დაისვა – ან ქართველობა და ქრისტიანობა დაეცვა და შეენარჩუნებინა, ანდა გასპარსელება და მაზდეანობა მიეღო.

სწორედ ამ დროს სხვა ქრისტიანულ ცენტრებთან ერთად ნინოწმინდაშიც კვლავ აგიზგიზდა რწმენის ლამპარი, რომელმაც ქართველ ხალხს გაუღვივა ეროვნული თვითშეგნება და ნათლად დაანახა მოახლოებული საშიშროება. სწორედ ამ დროიდან VI საუკუნიდან ქრისტიანობას მსხნელად მოველინნენ ათცამეტი ასურეელი მამები ანტიოქიიდან. VI საუკუნის 40-იან წლებში ქართველ ხალხში ცხოველი მისიონერული მოღვაწეობა გააჩაღა ე. წ. ათცამეტმა ასურელმა მამამ, რომელნიც სწორედ რომ კრიტიკულ მომენტში მოველინნენ ქართველ ხალხს, მგზნებარე ერისკაცებად, ისინი გაიფანტნენ მთელ ქართლში და ქრისტიანული რელიგიის პროპაგანდასთან ერთად ტიტანური მუშაობა გასწიეს ხალხის ფართო მასებში ეროვნული თვითშეგნების გამოსაფხიზლებლად.

ნინოწმინდის ეპარქიამ თავის სამწყსოში ფართოდ გაუღო კარი ქართველ მისიონერთა ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენელს მამა დავითს, შემდგომში მამა დავით გარეჯელს, რომელსაც ნინოწმინდის ეპარქია ყოველნაირად უწყობდა ხელს ხალხში მიხელელებული ქრისტიანული რწმენის ხელახლა აღდგენას. ის მრავალმხრივი დახმარება, რასაც მაწმინდელი ნინოწმინდელი ეპისკოპოსი უწევდა დავი-გარეჯელს, და მის თანამზრახველთ მარტო რელიგიური მოტივებით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოტივებითაც. რამდენადაც იმდროინდელი გარეჯის უდაბნო უცხო ტომთა სათარემო გარემოდ გადაქცეულიყო და მისი ხელახლა შემომტკიცება იყო საჭირო, რაც საქართველოს პოლიტიკური მესვეურების უპირველეს ამოცანასაც შეადგენდა.

ისიც აღსანიშნავია, რომ ასურელ მამათა მოსვლა დაემთხვა იმ რთული პოლიტიკურ-იდეოლოგიური

ბრძოლის პერიპეტიებს, რასაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ საქართველოში. გარდა იმისა, რომ ერთმანეთს ებრძოდა ორი მოწინააღმდეგე რელიგია (ქრისტიანობა და მაზდეიზმი), თვით ქრისტიანული რელიგიის შიგნითაც გააფთრებული ბრძოლა იყო გაჩაღებული. სომხური მონოფიზიტური ეკლესია ცდილობდა თავისი გავლენისათვის დაემორჩილებინა ქართული ეკლესია და ამ მიზნის მისაღწევად არავითარ საშუალებას არ თაკილობდა. სწორედ ამ გარემოებამაც გამოიწვია ასურელ მამათა მოსვლა საქართველოში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ასურელი მამები, ანუ ქრისტიანობის გამავრცელებელი მისიონერები სრულებითაც არ იყვნენ უცხო ტომისანი, ისინი იყვნენ ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც სწავლის მისაღებად და ქრისტიანობის მოძღვრების შესათვისებლად მივლინებულნი იყვნენ უცხოეთში საქართველოდან.

უკან დაბრუნებისას თვითეული მათგანი სამისიონეროდ წავიდა თავის მშობლიურ მხარეში, ამიტომ გამოირიცხული არ არის, რომ დავიტ გარეჯელი, რომელმაც სამისიონერო ასპარეზად გარეჯის უდაბნო ამოირჩია წარმოშობით კუხეთიდან, ანუ გარე-კახეთიდან ყოფილიყოს, არც ისაა გამოირიცხული, რომ სწავლის გასაგრძელებლად საზღვარგარეთ ანტიოქიაში „მავ მთაზე“ ნინოწმინდელი ეპისკოპოსის რეკომენდაციითა და მატერიალური შემწევობით ყოფილიყოს გაგზავნილი. ასურელმა, ანუ სირიელმა მამებმა დიდად შეუწყვეს ხელი ქართლის ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებას ცეცხლთაყვანისმცემლობა საქართველოში სამონასტრო ცხოვრებების და მისი ორგანიზაციის დაფუძნება-ჩამოყალიბებაში.

ნინოწმინდის კათედრალმა დიდი როლი შეასრულა იმ დიდი რელიგიური შუღლის მოგვარებაში, რასაც ადგილი ჰქონდა სომხურსა და ქართულ ეკლესიებს შორის IV საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში, რასაც მოჰყვა ქართული ეკლესიის გამოყოფა. 608 წელს ქართლის ეკლესია მტკიცედ დადგა დიოფიზიტისმ-ქალვედონიზმის პოზიციებზე და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა მონოფიზიტისმს, რასაც სომხური ეკლესია მისდევდა. იუხედავად ამისა, სომხეთის მაშინდელი კათალიკოსი კომიტასი ცდილობდა ჰერეტიც თავისი გავლენის ქვეშ ყოლოდა, რის გამოც სომხურ ეკლესიას დიდი შეხლა-შემოხლა მოუხდა ქართველ მღვდელმსახურებთან. ნდა ვივარაუდოთ, რომ ნინოწმინდის მღვდელთმთავარს დიდი ჯაფა გადახდებოდა მონოფიზიტური რელიგიის მიმდევრებთან, ვინაიდან მისი ეპარქია ნაწილობრივ უშუალოდ ჰერეთისა და ნინოწმინდა-კუხეთის საზღვრებშიც ეპოტინებოდა და გავლენის მოპოვებას ცდილობდა.

მთელი VII-X საუკუნეების განმავლობაში ჰერეთში და მის მეზობელ სუჯეთში (ნინოწმინდა-კაწარეთის მიდამოები) გააფრ-

თრებული ბრძოლები მიდინარეობდა ანტი-ქალვედონიტთა და ქალვედონიტთა შორის, რაც საბოლოო ანგარიშით სხვა არა იყო რა, თუ არა პოლიტიკური ორიენტაციისთვის ბრძოლის გამოძახილი. X საუკუნის შუა წლებისათვის ამ ბრძოლიდან გამარჯვებული ქალვედონიტები გამოვიდნენ, რაც ჰერეთში და მის მეზობელ სუჯეთში ქართული სახელმწიფოებრიობის გამარჯვებას მოასწავებდა.

ამ დიდ იდეოლოგიურ ბრძოლაში ნინოწმინდელი, კაწარელთან ერთად უდაოდ დიდ როლს ასრულებდა. ნინოწმინდისა და კაწარეთის ეპარქიებში ქართული ტომები სუჯები და მათივე მონათესავე სოჯები კუხები და ჰერები. მღვდელმსახურებას ქართულ ენაზე ისმენდნენ. წირვა-ლოცვებს ქართულ ეპარქიებში ქართულ კულტურას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა, რის გამოც სომხურმა სარწმუნოებამ – მონოფიზიტისმმა ვერ შეძლო სერიოზული ზიანი მიეყენებინა ამ მხარეში ღრმად გამჯდარი ქართული კულტურის გავლენისათვის. ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოს მესვეურები მტკიცედ უჭერდნენ მხარს ქალვედონიზმ-დიოფიზიტისმს და ეს მხარდაჭერა იმაში გამოიხატა, რომ უკვე VI საუკუნის მეორე ნახევრიდანვე ნინოწმინდელ მღვდელთმთავარს განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა: მართლმადიდებლობის გამარჯვებისა და მონოფიზიტური პროპაგანდის თავიდან აცილების მიზნით სადარაჯოდ ზოგმა „ათორმეტთა უდაბნოთა მაკურთხეველ არქიმანდრიტის“ პოსტზე. პროფესორ ლეონ მელიქსეთბეგის მტკიცებით ნინოწმინდელი ეპისკოპოსის იურისდიქცია გავრცელებული იქნა გარეჯის მრავალმთის უდაბნოებზეც.

ინტერესმოკლებული არ იქნება აქვე შევეხოთ იმდროინდელი საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობასაც, რამდენადაც, როგორც ზემოთ მოვისხენიეთ რელიგიური ბრძოლა გამოძახილი იყო იმ დიდი პოლიტიკური ბრძოლისა, რასაც ადგილი ჰქონდა ირანსა და ბიზანტიის იმპერიას შორის. ირანი ყოველნაირად უჭერდა მხარს მონოფიზიტისმს, ვინაიდან აქ ხედავდა თავისი პოლიტიკური ბატონობის მორჩილ იარაღს. რაც შეეხება ბიზანტიის იმპერიასიგი დიოფიზიტისმის, ანუ ქალვედონიზმის მომხრე იყო და ყოველნაირად უჭერდა მხარს მის გაბატონებას იმდროინდელ ქართლში.

VII საუკუნის დამდეგს საქართველო ამ ორი დიდი დამპყრობლის ბრძოლის არენად გადაიქცა, ირანის საჰი ხოსრო II 606-7 წლებში ბიზანტიით გავლენის სფეროებს და მათ შორის ქართლსაც იკავებს, მაგრამ მომდევნო წლებში ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე კეისარი ძლევს სპარსელებს.

**ჰერაკლე კეისარმა** თავის ლაშქრობას ირანელთა წინააღმდეგ სარწმუნებრივი ხასიათი მისცა: კეისარი წარმართთა წინააღმდეგ მებრძოლ ქრისტიან მხედარხელმ-



წიფედ გამოვიდა. როგორც ვიცით ამ დროს საქართველოში სპარსელთა ხელშეწყობით საკმაოდ მომძლავრებული იყო მაზდეიზმი, ამიტომ ქართული მატიახის „მოქცევაი ქართლისაის“ სიტყვით კეისარს იძულებითი დონისძიება უხმარია, რათა ცეცხლთაყვანისცემა დათრგუნვილი, ხოლო ქრისტიანობა ძლევამოსილი ყოფილიყო.

„ჰერაკლე ტფილისს და მცხეთას და უჯარმას განავლინა ქადაგნი, რაიტა ყოველნი ქრისტიანენი ქალაქთა შინა შემოკრებნდა ყოველნი მოგუნი და ცეცხლის მსახურნი ანუ მოინათლნენ, ანუ მოისრნენ, ხოლო მათ ნათლის ღებაი არა ინებეს, ზაკუით თანა აღერინეს ქრისტიანებთა ვიდრემდის ყოველთა ზედა წარჰმართა მახვილი და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლისანი დიოდეს, ხოლო ჰერაკლე განწმინდა სჯული ქრისტესი და წარვიდა“-ო, მოგვითხრობს „მოქცევაი ქართლისაი“.

ნინოწმინდამ ამ დიდ ბრძოლაში თავისი სიტყა თქვა, უტეხი ნებისყოფით დაიცვა მართლმადიდებელი ქრისტიანობა და ქართული კულტურა, კიდევ ერთხელ მოსინჯა თავისი ძალები ძირმომპალი სასანური ირანისა და მისი იდეოლოგიური დასაყრდენის ზოროსტრიზმის წინააღმდეგ, სამხრეთიდან კი ამ დროს ახალი დამპყრობი მოდიოდა, რომელსაც მახვილთან ერთად საქართველოში მოჰქონდა ახალი რელიგია – მუჰამედის მოძღვრება.

## ნინოწმინდა არაბთა ბატონობის ხანაში



არაბთა ბატონობის დროინდელ ნინოწმინდაზე მთელ VII-IX საუკუნეებში თითქმის არაფერი არ ვიცით, თუ არ ჩავთვლით იმ ფრაგმენტულ მასალას, რაც იმდროინდელმა წერილობითმა დოკუმენტურმა, თუ მატერიალური კულტურის ძეგლებმა შემოგვინახეს. ერთი კი ცხადია,

რომ არაბთა შემოსვლა ქართლში ისე უმტკივნეულოდ მომხდარა, რომ ქრისტიანულ ეკლესიას მაინცადა მაინც დიდი შევიწროება არ განუცდია. 654 წელს ქართლის პოლიტიკურმა მესვეურებმა საარაბო ხარკი იკისრეს. საგულისხმოა, რომ ნინოწმინდა და მისი სამწყმსო ერთგვარ მშვიდობიან პირობებში ცხოვრობდა, თუ არ ჩავთვლით არაბთა ცალკეული სარდლებისა და ხაზართა პერიოდულ შემოსევებს.

თუ არაბთა ბატონობის პირველი პერიოდი შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობდა, საქართველომ უდიდესი განადგურება გადაიტანა არაბი სარდლის მურვან ერუს 736-738 წლების ლაშქრობის დროს, დაუნდობელმა დამპყრობმა ცეცხლსა და მახვილს

მისცა ივრის სანახები, სადაც დიდი ზარალი განიცადა ნინოწმინდამაც.

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან არაბი დამპყრობლები სასანური ირანის გაკვალულ გზას დაადგნენ – მხარი დაუჭირეს სომხურ-მონოფიზიტობას და თავისი კოლონიზატორული პოლიტიკის განმტკიცებაში გარკვეული ადგილი მიუჩინეს მას. სომხური ეკლესიის გავლენით არაბებმა საქართველოს მეზობელ ალბანეთშიც მონოფიზიტობა განამტკიცეს და საქართველოშიც შეეცადნენ მონოფიზიტობის წინა პლანზე წამოწევას, მაგრამ ენერგიულ წინააღმდეგობებს წააწყდნენ. ქართველმა ხალხმა VIII საუკუნის მეორე ნახევარში არაბთა ვერავობას მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით უპასუხა, რომელსაც სათავეში ქართლის ერისმთავარი არჩილ სტეფანოზის ძე ჩაუდგა. როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს, იგი ამ დროს მეფის ტიტულს ატარებდა, რომელმაც ჰერეთ-კახეთში მრავალი ციხე და მონასტერყ ააშენა. რამდენადაც ამ დროს თბილისი არაბი მმართველის რეზიდენციას წარმოადგენდა, არჩილ სტეფანოზის ძის სატახტო საჯდომს უჯარმა წარმოადგენდა, ხოლო ნინოწმინდა კვლავ ქართლის პოლიტიკურ მესვეურთა ერთ-ერთი პოლიტიკური დასაყრდენი იყო ქართლის აღმოსავლეთის პროვინციაში, რომელმაც უდაოა დიდი როლი შეასრულა არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართლის აღმოსავლეთ პროვინციების ანუ კახეთ-ჰერეთის დარაზმების საქმეში.

ამ დროს არაბთა ხალიფატში დიდი ძვრები მოხდა. VIII საუკუნის დასასრულს და IX საუკუნის დასაწყისში არაბთა ხალიფატში მკვეთრად გამოიხატა არაბთა სახალიფოს დასუსტებისა და დაშლის სიმპტომები, რასაც დინასტიური ცვლილებებიც კი მოჰყვა. ქართლის აღმოსავლეთ პროვინციებში მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ზუსტად ემთხვევა არაბთა სახალიფოში ომაიანთა დინასტიის დამხობას და აბასიანთა ხელისუფლების დამყარებას, ალბათ, ამ ფაქტორით ისარგებლეს ქართლის პროვინციის კახეთის საერისთაოს გაბატონებულმა წრეებმა და კახეთი დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გამოაცხადეს, რომლის ცენტრად კვლავ უჯარმა გვევლინება. კახეთის მმართველობას ქოროკოზები (მეფის ნაცვლები) ჩაუდგნენ სათავეში, რომელთა სატახტო საჯდომს უჯარმა წარმოადგენდა, მაგრამ შემდგომ VIII საუკუნის დასასრულს და IX საუკუნის დამდეგს, სავაჭრო გზა ინაცვლებს უფრო ჩრდილოეთით და კახეთის ქორიკოზებსაც თავისი საჯდომი რეზიდენცია უჯარმიდან ჯერ თიანეთში, ხოლო უფრო მოგვიანებით ბოჭორმაში გადააქეთ. რაც შეეხება ნინოწმინდას, მისი როლი არამც თუ დაეცა, არამედ ერთგვარად აღმოჩნდა

კიდევ, რამდენადაც ამ დროს თავისი აყვავების ზენიტშია ნინოწმინდის იურისდიქციაში მყოფი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი.



ამ პერიოდის ქართული ეკლესია საგრძნობლად მომძლავრდა და გადაიქცა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად იდეოლოგიურ და ზნეობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის ცენტრად. იმდროინდელმა ეპოქამ ასპარეზზე გამოიყვანა მრავალი გამოჩენილი საერო და საეკლესიო მწვერალი.

ამავე ხანაში დაიწერა არსენ კათალიკოსის თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, რომელშიც მოთხრობილია ქართველ-სომეხთა ეკლესიების განხეთქილებისა და საღვთისმეტყველო პაექრობის ამბავი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ IX საუკუნის დამლევეს, ჩნდება ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ე. წ. „წმინდა ნინოს ცხოვრება“, რომელმაც როგორც ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია ამტკიცებდა იდეოლოგიური საძირკველი ჩაუყარა დიოფიზიტური ეკლესიის საბოლოო გამარჯვებას. „წმინდა ნინოს ცხოვრება“ პირდაპირ აღმოჩენა იყო, ვინაიდან წმინდა ნინოს ქადაგების ღირსეულმა დაფასებამ, იმდროინდელი ქართველები დაარწმუნა, რომ მათს წინაპრებს საკუთარი, სომხეთისა და გრიგოლ პართელი საგან დამოუკიდებელი, განმანათლებელი ჰყავდათ, რომელმაც ქრისტიანული ქადაგება იერუსალიმით მოუტანა, ხოლო ნათლისმცემელი სამღვდელოება საბერძნეთიდან მოიწვია. ამ დედააზრის გამომხატველი იყო შატბერდისეული წმინდა ნინოს ცხოვრება (ივ. ჯავახიშვილი). წმ. ნინოს ცხოვრების პოპულარიზაციამ კიდევ უფრო გაზარდა ნინოწმინდის კათედრალის ავტორიტეტი, რამდენადაც სწორედ იგი წარმოადგენდა წმ. ნინოს სამარხს. სამწუხაროდ იმდროინდელმა ისტორიულმა წყაროებმა კანტი-კუნტი ცნობები შემოგვინახეს ნინოწმინდის შესახებ, მაგრამ ბუნებრივია წმ. ნინოს ხსოვნის უკვდავსაყოფად იმდროინდელ კახეთის პოლიტიკური მესვეურები ყოველნაირად შეეცდებოდნენ ტაძრის აღდგენა-კეთილმოწყობას.

## ახულკასიმის შემოსევები ივრისპირეთში



თელ საქართველოს და კერძოდ უჯარმასა და მთელ ივრის ხეობას დიდი ნგრევა და უბედურება დაატეხა თავს სამხრეთ აზერბაიჯანის მმართველმა არაბმა ამირამსაჯიდების დინასტიის წარმომადგენელმა აბუ კასიმმა 914 წელს არაბმა დამპყრობმა მთელი სისასტიკით მოარბია თბილისი, უჯარმა, ბოჭორმა და კახეთის სხვა ციხე-მონასტრები. უნებრივია ნინოწმინდამაც როგორც ერთ-ერთმა უმსხვილესმა რელიგიურმა ცენტრმა დიდი დარბევა განიცადა. კახეთის ქორიკოხები ნინოწმინ-

დას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აქცევდნენ, ვინაიდან იგი წარმოადგენდა ყველაზე საპასუხისმგებლო ეპარქიას, რომელიც ტერიტორიულად უშუალოდ ესაზღვრებოდა აზერბაიჯანის და თბილისის არაბ ამირების სამფლობელოებს, ამიტომ იყო, რომ კახეთის ყველაზე ცნობილმა ქარიკოზმა კვირიკე II დიდად წოდებულმა (1010-1099 წწ). რომელიც მეფედაც კი იწოდებოდა ნინოწმინდას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა ნინოწმინდაში ეპისკოპოს არსენ ნინოწმინდელის მოღვაწეობა, რომელიც ათონის ლიტერატურული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ათონის მთაწმინდის მონასტერში მოღვაწეობდა X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში, არსენი იყო ექვთიმე მთაწმინდელის უგულითადესი მეგობრის გადმოცემით არსენ ნინოწმინდელის კალამს ეკუთვნის მრავალი საღვთისმეტყველო წიგნის თარგმანი და ზოგიერთი ორიგინალური ნაწარმოებიც. არსენ ნინოწმინდელმა როგორც დიდმა განსწავლულმა და მგზნებარე მამულიწვილმა დიდი ამაგი დასდო ქართულ კულტურას და ნინოწმინდა გადააქცია ქართული მწიგნობრობის კერად.

სავარაუდოა, რომ ნინოწმინდის ტეტრაკონქს არსენ ნინოწმინდელის წინამძღვრობის პერიოდში უნდა გაეკეთებინა პირველი დიდი და საფუძვლიანი რესტავრაცია. ამ დროს აუშენებიათ შირიმის ქვევით მოპირკეთებული გუმბათის ბარაბანი და სხვა ნაგებობანი.

## თურქ-სელჩუკთა შემოსევები ქართლ-კახეთში



ნინოწმინდის ეპარქიამ და ნინოწმინდელებმა დიდი როლი შეასრულეს წვრილ-წვრილი სამეფო-სამთავრობოებად დაქუცმაცებული საქართველოს ერთიან, მძლავრ ფეოდალურ მონარქიად გაერთიანების იდეოლოგიურად უზრუნველყოფის საქმეში, ვინაიდან მხოლოდ გაერთიანება და ერის შეკავშირება იყო ქართველი ხალხის ხსნისა და აღორძინების ერთად-ერთი სწორი გზა.

ნინოწმინდის ეპარქიას როგორც მოვიხსენიეთ მჭიდრო კავშირი ჰქონდა იმდროინდელი საზღვარგარეთული ქართული კულტურის კერებთან – კერძოდ ათონის მთაწმინდის ქართველთა მონასტერთან, რომელიც დიდ როლს ასრულებდა როგორც იმდროინდელი მოწინავე იდეების მქადაგებელი, ქართველთა შორის ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისა და ერის კონსოლიდაციის განმტკიცების საქმეში.

უცხოეთის კულტურის კერებთან მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა

აუცილებლად საჭირო იყო მტრებისაგან გარშემორტყმული საქართველოსთვის, რათა სწორად შეეფასებინათ ის რთული საშინაო და საგარეო გარემოებანი, რომელშიც იმდროინდელი საქართველოს სამეფო სამთავრობოები იმყოფებოდნენ.

## ნინოწმინდა ფეოდალური მონარქიის ზენიტში



ნინოწმინდის, ან ნინოწმინდე-ლის შესახებ თითქმის XIII საუკუნემდე ჩვენ არავითარი დოკუმენტი არ მოგვეპოვება, მხოლოდ ქართული ფეოდალური მონარქიის ზენიტის დროს XIII საუკუნეში ნინოწმინდელს ვხვდავთ საკმაოდ მაღალ რანგში.

შუა საუკუნეების ქართული სამართლის ცნობილი დოკუმენტი „განგება დარბაზობისა“ გვაუწყებს, რომ ნინოწმინდელი მღვდელთმთავარი ფეოდალური საქართველოს იერარქიულ კიბეზე საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. იგი მოხსენიებულია არა მარტო როგორც ნინოწმინდის ეპარქიის მღვდელთმთავარი, არამედ როგორც „არქიმანდრიტიც“ რაც ძველი ქართული ეკლესიის კანონიკურ წყობილებაში ნიშნავდა მრავალი მონასტრის მაკურთხეველის, ანუ მეურვეს, რაც სპეციალურად მინდობილი ჰქონდა საქართველოს უზენაესი სამეფო თუ სასულიერო ხელისუფლების მიერ. „განგება დარბაზობისაში“ ვკითხულობთ „შემოვიდეს ნინოწმინდელი არქიმანდრიტი და დაჯდეს ქისიყელსა ქუემოთ“ (ანუ სამეფო კარზე მე-9 ადგილზე) ამ ძეგლში ნინოწმინდელის „არქიმანდრიტად“ მოხსენიება „განგება დარბაზობისას“ დაწერის პერიოდისათვის გარეჯის მონასტრებზე ნინოწმინდელის არა მხოლოდ მაკურთხეველობას და მათზე მისი იურისდიქციის გავრცელებას ადასტურებს, არამედ სამეფო კარზე მის (ნინოწმინდელის) განსაკუთრებული პატივით სარგებლობასაც, რასაც მეფესთან მისი მბრძანებელი ადგილის მეტისმეტი სიახლოვეც ადასტურებს.

ისე, როგორც მთელმა საქართველომ ნინოწმინდის ეპარქიამაც და მის იურისდიქციაში მყოფმა დავით-გარეჯის მრავალმთის უდაბნოს სამონასტრო კომპლექსებმაც XIII საუკუნეში თავისი აყვავების ზენიტს მიაღწიეს, ეკონომიურად მომძლავრებულ და იდეურად შეკრულ სახელმწიფოში შედარებითი კეთილდღეობა სუფევდა, ფართო გზა ჰქონდა გასსნილი მწიგნობრობას, მწერლობას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რომლის შემწე-მთავრებმაც უპირველეს ყოვლისა სამონას-სტრო ცენტრები წარმოადგენდნენ. ვინ იცის, რამდენი შესანიშნავი ნაწარმოები ნინოწმინდის თუ დავით-გარეჯის

მონასტრების სენაკებში, მაგრამ ჟამთა სიავემ და ისტორიულმა ბედუკუდმართობამ ნაცარტუტად აქცია ყველაფერი და მხოლოდ ბუნდოვანი ხსოვნადა შემოგვინახა წარსულ დიდებაზე.

შუა აზიის ველებიდან მოვარდნილმა მონღოლთა ველურმა ურდოებმა აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს მთელ საქართველოს. მდინარე იორის სანახები და გარეჯის ზეგანი მონღოლთა ურდოების სათარეშო არეალად გადაიქცა, მოისპო ძირითადი მწარმოებელი მშრომელი მასა, იავარქმნილი იქნა აყვავებული სოფლები და დაბები, კოცონებში შთაინთქა აურაცხელი ხელნაწერი ფოლიანტები, ნანგრევებად იქცა ზვიადი ციხე-კოშკები და აეკლესია-მონასტრების ოქროსფრად მოელვარე გუმბათები, ერთხანს დადუმდა შემოქმედი ერის გენიაც. ყოფნა-არყოფნის ჟამი დაუდგა ქართველ ხალხს, მაგრამ სულით არ დაცემულა ცხოველმყოფელი ერი, იგი კვლავ ცოცხლობდა და მომენტს ელოდა, რათა კვლავ აღორძინებულიყო და სამაგიერო მიეზღო გულღბოროტი მტრისათვის.

მონღოლების მიერ წელში გატეხილ საქართველოს რიგრიგობით მუსრავდნენ ურდოები თემურ-ლენგისა, სისხლმოსყურებული თურქმანები, საქრისტიანო საქართველოზე ამხედრებული ოსმალები და ქიზილბაშები, ქვეყნის ბარაქას დახარბებული დაღესტანელი ფეოდალები ათასობით და ათიათასობით ქართველი ეწირებოდა უთანასწორო ომს მოზღვავებულ აგრესორთა წინააღმდეგ.

ომის საშინელებისა და მისი მოლოდინის შიში, ქარიშხალსა და ცეცხლში, შიმშილსა და წყურვილში დაიგეს ჩვენმა წინაპრებმა, ბრძოლებში დაფლეთილი, ეროვნული დროშა თავიანთი არსებობა თუ ეროვნება, ენა და კულტურა, სამშობლო მიწა-წყლის დიდი ნაწილი. ჩვენი მტრები ანგრევდნენ, მიწასთან ასწორებდნენ, ქართველი ხალხი კი თავიდან იქცებდა, ერთხელ უკვე აშენებულს და აწ დახვრეულის მეორედ და მეათედ აგებდა, დაყრუებულ, ფერფლად ქცეულ სოფლებს აღადგენდა, კვლავაც შრომობდა და ისევ თავს იცავდა. ალბათ იმ „სისხლის წვიმების“ დროს იშვა დღემდის ცოცხალი სევდიანი ქართული სიმღერა „...რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“, ნაღვლიან „ურმულისა“ „ოროველას“ აყოლებდა ღრმა გულისტკივილს მინდორ-ველზე სამუდამოდ გასული მეურნე, რომელსაც საომარი იარაღიც ზურგზე ეკიდა.

გართულებულმა საგარეო ურთიერთობამ, დაუსრულებელმა აგრესიულმა ომებმა და ფეოდალურ ურთიერთობაში გაჩენილმა პოლიტიკურმა კრიზისებმა საუკუნეების განმავლობაში მოამწიფეს საქართველოს პოლიტიკური დაშლა, რაც XV საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე იურიდიულადაც გაფორმდა. ერთიანის საქართველოს ნაცვლად მივიღეთ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო, რომელიც ამ

დროისათვის ჩამოყალიბებული ორი უდიდესი აგრესიული სახელმწიფოს – ყიზილბაშური ირანისა და ოსმალეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული კახეთის სამეფო მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილ რთულ საერთაშორისო ურთიერთობაში ცდილობდა წონასწორობა შეენარჩუნებინა და მოქნილი დიპლომატიური ურთიერთობით მშვიდობა გაეხანგრძლივებინა. ისარგებლა რა ერთხანს შექმნილი მშვიდობით კახეთის მეფე ლევანმა (1520-1574წწ) გარკვეული ღონისძიებანი გაატარა გაპარტახებული სამეფოს აღდგენა-აღორძინებისათვის. სამეურნეო მშენებლობებთან ერთად ლევანმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დანგრეული ეკლესია-მონასტრების აღდგენას.

რამდენადაც ჟამთა სიახლოე ნინოწმინდის კათედრალი მოიშალა და ნანგრევებად იქცა, აქ მღვდელთმთავარი კარგახანს აღარც მჯდარა, ამიტომ 1424 წელს ალექსანდრე მეფემ 1412-1446 წწ) შეწირულების სპეციალური აქტით ნინოწმინდის გაუქმებული სამწყსო დავით-გარეჯის უდაბნოებითურთ მცხეთის საკათალიკოსო ტახტს მიაბარა. მცხეთის მამულების სამტკიცის წიგნიდან ირკვევა, რომ გარეჯის უდაბნოები მცხეთის განკარგულებაში დაახლოებით XVI საუკუნის 50-იან წლებამდე უნდა დარჩენილიყო.

ლევან კახთა მეფის არსადგენ ობიექტებიდან განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა ნინოწმინდის კათედრალი. რასაც 1596 წელს გაცემული სიგელი გვაუწყებს: ჟამთა სიგრძისა და ვითარებისაგან...ტაძარი მოშლილი და დაქცეულ იყო. მეფემან პატრონმა ლეონ.. მეორედ აღაშენა და შეამკო ყოველთური და დასუა ეპისკოპოსი და შესწირნა სოფელნი და აგარაკნი“.

ახლა მივყვით და თანმიმდევრულად განვიხილოთ თუ ლევან კახთა მეფეს რა ღვაწლი გაუღია ნ. წმინდის აღსადგენად, 1553 წლის სიგელი ნუსხა №26-დან შემდგომს ვტყობილობთ: „ქ... ჩვენ მეფემან პატრონმან და მეთა ჩუენთა... შემოგწირეთ(ნინოწმინდელს ზაქარიას და ნინოწმინდას) აზამბურის დილა, ასე რომე რასაცა საყდრის ყმა აზამბურშიაც მოხენიდეს, მისი დალა არ ეთხოვოთ... მისი დალა საყდრისათვის აიდებოდეს და საჩუენოდარ ვთხოვოთ...“

ამავე ნინოწმინდელს ზაქარიას მეფე ლევანი აძლევს სიგელს 327 ნუსხა: („ასრე რამე თქუენსა ომში?) დასახლებული კაცი იყოს ნ. წმინდის საყდრისათვისიქით ასაყრელად არც შვილსა და არასახორციელსა კაცსა არა დავანებოთ და არც ავიყაროთ“.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ მეფე ლევანმა არა მარტო აღადგინა დანგრეული ეკლესია, არამედ იზრუნა კიდევ მისი ეკონომიური უზრუნველყოფისათვის, სოფელი ორკოშნი, რომელიც ადრე დავით-გარეჯას ეკუთვნოდა, 1589 წლის საბუთში სანინოწმინდო სოფლადაა მოხსენიებული. აღნიშნული საბუთიდან ირკვევა რომ ეს სოფელიც

მეფე ლევანს გადაუცია ნინოწმინდისათვის. ამ დროს სახოსბიჭალაც ნინოწმინდის ბენეფიციუმს წარმოადგენს.

ლევან მეფემ ნინოწმინდას ერთობ დიდი როლი მიაკუთვნა თავის სამეფოს სამხრეთ-დასავლეთისი ზღუდეების განსამტკიცებლად. პირველ რიგში როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ XVI საუკუნის 50-იან წლებში საფუძვლიანი რესტავრაცია ჩაუტარეს ტაძარს. მთლიანად იქნა აღდგენილი ტაძარი, ანუ როგორც 1596 წლის დოკუმენტი იუწყება, ლევან მეფემ „... მეორედ აღაშენა და შეამკო ყოველთური. იმავე დროს აშენდა სამრეკლო და სხვა ნაგებობანი, მოიხატა საკურთხელების ზღუდე და შეიმკო ფრესკული მხატვრობით.

რაც მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია ლევან კახთა მეფემ მთელი გარეჯა თავისი მონასტრებით სამწყემსოდ გადასცა ნინოწმინდის ეპისკოპოსს ზაქარიას.

ლევანის მეფობის თუ რომელ წელს მოხდა უდაბნოების გადაცემა ნინოწმინდისათვის, აღნიშნავს მკვლევარი ბ. ლომინაძე, ამის განსაზღვრა მხოლოდ მიახლოებით შეიძლებაო.“ ფაქტი დაკავშირებული ყოფილა ნინოწმინდის გაუქმებული კათედრის აღდგენასთან, რომლის კონკრეტული დრო ჩვენთვის უცნობია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლევან მეფის 1553 წლის საბუთით ნ/წმინდელი მოხსენიებულია ტიტულით „თორმეტა უდაბნოთა მაკურთხეველსა არს იმანდით ნინოწმინდელსა ზაქარიას“. რაც იმას გვაუწყებს, რომ ამ დროისათვის კათედრა უკვე აღდგნილია და უდაბნოს მონასტრებიც მის განკარგულებაშია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნინოწმინდელი არა მარტო მაკურთხეველი ეპისკოპოსია, არამედ არხიმანდრიტიც, ეს უკვე ეპისკოპოსზე გაძლიერებული უფლების **მინიჭებას მოასწავებდა თუ მოისწრაფავდა?**, აქვე უნდა დავამატო ის ფაქტიც, რომ თვით წმინდა ნინო 1597 წლის საბუთით დავით-გარეჯის უდაბნოს სავანეების „საჭეთმპყრობელად-აც“ იწოდება: „მოგახსენებთ ჩუენ მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე და სასურველი საყვარელთა მეთა ჩუენმა პატრონმა დავით და პატრონმა კონსტანტინე, თქუენ, ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა, ჩუენსა მცველსა და მფარველსა ათორმეტა უდაბნოთა **საჭერმპყრობელსა წმინდასა ნინოს**“.

ჩვენის აზრით ზემოთთქმულიდან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ნ/ წმინდამ მხოლოდ და მხოლოდ დაიბრუნა თავისი კუთვნილი უფლებები და პრივილეგიები, რაც ჟამთა მოშლილობის დროს დაკარგა და ამის შემდეგ მტკიცედ ეპყრა ხელთ ეს პრივილეგიები მცირეოდენი ცვლილებებით ნ/ წმინდის ეპარქიის გაუქმებამდე.

ამგვარად, ნ/ წმინდამ კახეთის მეფეების ლევანის, ალექსანდრეს და უფლისწულების წყალობით თავისი სიძლიერის ზენიტს მიაღწია. აქ მთელი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის პირველ ათწლეულამდე სიცოცხლე ჩქეფდა. იწერებოდა

ხელნაწერი წიგნები, ზვიადად რეკლენ სამშვიდობო ზარები, მაგრამ სახელმწიფო და ხალხთა კეთილდღეობა კვლავ დაარღვია ვერაგმა მტერმა.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ჩვენს სამშობლოს მოველინა მრისხანე დამპყრობნი თურქ-სელჩუკების სახით. თურქები დასავლეთიდან შემოესივნენ საქართველოს და თავიანთი სისასტიკით ყველა დამპყრობელს აჯობეს. ისინი სპობდნენ ყველაფერს სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, მათმა თარეშმა ფრიად შეაწუხა გიორგი II და აიძულა ქედი მოეხარა თურქთა წინაშე. გიორგი II იძულებული გახდა ხლებოდა მელიქ-შაჰს, ზავი ეთხოვა მისთვის. მელიქ-შაჰმა გიორგი II მოწყალედ მიიღო, დაეზავა და სამაგიეროდ კახეთ-ჰერეთი მისცა. საქმე ისაა, რომ იმდროინდელი კახეთ-ჰერეთი სრულიადაც არ ეკუთვნოდა მელიქ-შაჰს, მაგრამ იგი არაფერს კარგავდა. საქართველოს მეფეს კახეთ-ჰერეთს აძლევდა იმ ხარკის სანაცვლოდ, რასაც ამიერიდან გადაუხდიდა გიორგი II თურქ-სელჩუკებს.

გიორგი II ნაწყალობევი კახეთ-ჰერეთის დასაკავებლად თურქთა ჯარის თანხლებით გაემართა. თურქებმა დაიკავეს ივრის ხეობა და იწყეს მისი გატიალება. თურქთა ჯარებმა მოსპეს და მიწასთან გაასწორეს ივრის ნაყოფიერი ჭალები, იავარყვეს მისი აყვავებული სოფლები და დაბები. კახეთის მეფე **აღსართანმაც იგივე** გზა აირჩია რაც გიორგი II-მ და თავისი ნებით ეახლა მელიქ-შაჰს, აღიარა მისი სიუხერენობა, რითაც ხელ-ფეხი გაუხსნა თურქთა ურდოებს მომთაბარული ცხოვრებების წესები შემოედოთ დაპყრობილ ტერიტორიებზე. თარეშმა მოსპო ივრის ხეობის აყვავებული სოფლები, ბაღე-ვენახები, გაპარტახდა ნინოწმინდის ეპარქია, რომლის ტერიტორიაზეც დაიდეს ბინა თურქსელჩუკებმა.

მიუხედავად ძნელბედობისა ქართველ ხალხს ფარხმალი არ დაუყრია, თურქებს გადარჩენილმა ივრისხეველებმა თავის ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს მთებს მიაშურეს, რათა ძალა მოეკრიბათ ხელსაყრელი მომენტისათვის მოეცადათ, შეკავშირებულიყვნენ და გაძლიერებულნი, ჩვეული შემართებით კვლავ ეკვეთებოდნენ ველურ ურდოებს. მათი დამოძრვრის საქმეში დიდ როლს ასრულებდა ნინოწმინდის, სამება-კაწარეთისა და რუსთავის საეპისკოპოსოები, რომელთა იურისდიქციაში მყოფი მიდამოები თურქსელჩუკთა სათარეშო არენად ქცეულიყო, ისინი უცდიდნენ იმედით გასხივოსნებულნი ლომგულ სარდალს, რომელიც მხსნელ მესიად მოველინებოდა მთლიან საქართველოს.

და მალე გამოჩნდა ისეთი მეფე-სარდალი დავით აღმაშენებლის სახით, რომელმაც თურქსელჩუკებისაგან გაწმინდა საქართველო და სიბრძნით ძლევა-მოსილმა შემოიმტკიცა მთელი საქართველო.

ახლა ქართველი ხალხის ნანატრი

ოცნება სინამდვილედ იქცა. მთელ საქართველოსთან ერთად ნინოწმინდამაც ახალი ცხოვრება დაიწყო, საქართველომ ფეხი შედგა ოქროს ხანაში.

## ნინოწმინდა აღორძინების შუაგზაზე



ვის მომასწავებლად გამოჩნდა საქართველოს სამხრეთ საზღვარზე შაჰ-აბასის მრისხანე ლაშქარი და თან მოიტანა ნგრევა-აწიოკება. მისი ოთხგზის ლაშქრობის დროს (1614-1617წწ) კახეთში უშუალოდ ბრძოლაში მტერს შეაკვდა 100 ათასამდე მეომარი, 200 ათასამდე ტყვედ იქნა წაყვანილი, რომლებიც

ირანის შიდა პროვინციებში (ისპაბანის მახლობლად, ფერეიდანში, ხორასანს, მაზარდანში და სხვაგან გადაასახლეს. მოისპო ივრის ხეობა, მიწასთან გაასწორეს აყვავებული სოფლები და ქალაქები, მათ შორის ნინოწმინდაც. ნინოწმინდელთა ნაწილიც მტერს შეაკვდა, ნაწილი აიყარა და მთას მიაშურა, ხოლო ნაწილი შორეულ ფერეიდანში გადაასახლეს. ნინოწმინდელებმა თან წაიღეს სევდა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და ადგილს, სადაც ისინი დასახლდნენ ფერეიდანში ნინოწმინდა უწოდეს. შაჰ-აბასის ლაშქრობებით გაპარტახებულ და სისხლით დაწრეტილ ქართლ-კახეთს დიდი დრო არ დასჭირდა ღრმა ჭრილობის მოსაშუშებლად.

ჯერ როსტომ მეფის (1632-1658წწ), ხოლო მის შემდეგ ვახტანგ V შაჰნავაზის მეფობის (1658-1676 წწ) ხანაში ერთგვარი მშვიდობა ჩამოვარდა, მაგრამ ნაჭრილობევ, მეფე-სამთავრობობად დაქსაქსულ საქართველოს მტკიცე ხელი და ნიჭირი პატრონი სჭირდებოდა. 1664-1675 წლებში კახეთის განმგებლად შახნავაზის ვაჟიშვილ არჩილს ვხედავთ, რომელმაც თავის მამასთან ერთად ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობისა, ნელ-ნელა გამოცოცხლება იწყო ვაჭრობამ და ხელოსნობამ, სიცოცხლის ნიშანსვეტი დაეტყო ფერფლად ქცეულ სოფლებსაც. არჩილმა სატახტო ქალაქი გრემიდან თელავს გადაიტანა და შეუდგა აღმშენებლობით საქმიანობას.

არჩილ მეფის შემწეობით გამოცოცხლება დაეტყო ნინოწმინდასა და დავით-გარეჯსაც, ფერფლად ქცეულ ნინოწმინდას კვლავ დაუბრუნდნენ ცოცხლად გადარჩენილი და მთაში გახიზნული ნინოწმინდელები, გარეჯის ბარაქიან მიწაზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსახლებულმა ქართველებმა დაჰკრეს ბარი, ჩაფერფლილი კერა აღორძინეს, ბარაქა დაახვავეს მსუყე

მიწაზე.

ნინოწმინდის დიდებული ტაძრის კედლებიც ახმიანდა, კვლავ გაისმა ზარების რეკვა დახაზსებული ნანგრევებიდან. სწორედ ამ პერიოდში ჩაუტარდა ნინოწმინდის ტაძარს საფუძვლიანი რესტავრაცია. ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ ნიკოლოზ ანდრონიკაშვილმა-ნინოწმინდელმა ტაძარს დასავლეთის მხრიდან მიაშენა საყდარი კარიბჭით, რომელიც თავისი არქიტექტურული სტილით ორიგინალურ ნაგებობას წარმოადგენდა. ნინოწმინდის რესტავრაციის ზუსტ თარიღს სწორედ აღნიშნული ნაგებობის კარიბჭის წარწერა გვაუწყებს, რომელიც დათარიღებულია 1671 წლით.



კარიბჭის შიგნით ტაძარში შემავალი კარის თავზე ქვის ჩარჩოში ჩამჯდარია ქვის ფილა, რომელზედაც მხედრული ხლით ამოტვიფრული ქარაგმიანი წარწერა შემდეგს გვაუწყებს: „ნებითა შეწევნითა ღვთისათა ხელყვავ განახლებად ანდრონიკაშვილმა ნიკოლოზ და განვაახლეგარეთ აგურითა დავახატვინე კანკელი და შევაამკე სრულადნე კარის ბჭე: ჰოთი შემწეო ჩემო და შემდგომად ღვთისა და მშობლისა მისისა მემკვიდრებულ წმინდაო ნინო შეიწირე მცირე ესე ნაშრომი და ნაცულად მაგე დღესა მას დიდსა განკითხვისასა ამინ. ქორონიკონსა ცნთ (359+1312-1671).“

აღნიშნული კარიბჭე თავისი სიდიდით ვერ შეედრება ლევანის დროინდელ ნაგებობებს, მაგრამ კარიბჭე როგორც მოვიხსენიეთ გამოირჩევა თავისი ორიგინალობით. კარიბჭის შუა ნაწილი გადახურულია გუმბათის კამარით, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან კარიბჭე გაფართოებულია ორი საკმეველით (ლიბანიტ), თაღის კამარები გამოყვანილია XVI-XVII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი სტილის აგურის წყობით.

წარწერის ტექსტი გარკვევით გვაუწყებს, რომ ეპისკოპოს ნიკოლოზს ნაგებობის შეკეთება გარედან აგურით მოუხდენია, ხოლო შიგნით საკურთხეველის ზღუდე მოუხატავს. წარწერიდან ის დასკვნაც შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ აგურის ზღუდე ამოუყვანიათ ჯერ კიდევ ნიკოლოზ ანდრონიკაშვილამდე, ალბათ ლევან, კახთა მეფის დროს, ხოლო ეპისკოპოსს განკარგულება გაუცია მოეხატათ იგი.

როგორც ჩანს ეკლესია საკმაოდ გამოჩენილი ოსტატების მიერ ყოფილა მოხატული. მელქისედ ბეგის დასკვნით იქ რუს მხატვრებსაც უნდა ემუშავათ. XVI საუკუნის ფრესკების ნაშთი აქა-იქ კიდევ შეინიშნება.

არჩილ მეფეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ნინოწმინდის და მისი შემოგარენის კეთილმოწყობისათვის, მას სანადირო სასახლე დაუდგამს ახლანდელი ყორულის მიდამოებში, შაჰ-აბასის 1615 წლის ლაშქრობის დროს დახოცილი ბერების ნეშტისათვის საძვალე აუშენებია დავით გარეჯაში, სხვა ღვაწლთან ერთად არჩილს ნინოწმინდისათვის შეუწირავეს წმინდა ნინოს სასწაულებრივი ხატი.

XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე ნინოწმინდა ერთგვარ აღორძინებას განიცდის. ეს ის დრო არის, როდესაც დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსები კულტურის უპირველეს კერებს წარმოადგენდნენ მთელს საქართველოში. ეს იყო ხანა ვახტანგ მეექვსისა და მისი სკოლისა, ხანა სულხან საბა ორბელიანისა, კათალიკოსის დომენტისა (1704-1729 წწ), დასაწყისი ხანა ანტონ პირველის მოღვაწეობისა. ამ დიდი საგანმანათლებლო და ლიტერატურული მოძრაობის გამოძახილი საკმაოდ დიდი იყო ნინოწმინდის ეპარქიაში, ვინაიდან იგი იმყოფებოდა ამ დიდ საგანმანათლებლო კულტურული ტალღის უშუალოდ შეხების წერტილში, ხან კი ამ მოძრაობის შუაგულშიც. ამავე პერიოდში მოღვაწეობდა კახეთში ერეკლე პირველის შვილი კახეთის მეფე დავით იმამ ყული ხანი (1703-1722 წწ), რომელმაც თავის სატახტო საჯდომად დროებით მანავი გაიხადა. დავით

იმამყული ხანმა როგორც ლიტერატურის დიდმა მოსიყვარულემ დიდი ღვაწლი დასდო ქართული მწიგნობრობის განვითარებას. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსების წინამძღვრის ონოფრე მაჭუტაძის ინიციატივით და დავით იმამყული ხანის შემწევობით თვალ-საგარეჯოში, ნინოწმინდის ეპარქიაში 1710-1712 წლებში აშენდა პეტრე-პავლეს შესანიშნავი ეკლესია, სადაც მოეწყო საკმაოდ სოლიდური წიგნთსაცავ-სამკითხველო. ამ დროის ნინოწმინდაში შესანიშნავი კალიგრაფების ხელით არაერთი ხელნაწერი წიგნი შეიქმნა. თვითონ ნინოწმინდაში არსდება მაღალი ტიპის სკოლა, სადაც სწავლა-განათლებას იღებენ როგორც საერთო, ისე სასულიერო პირების შვილები, ნინოწმინდა დავით-გარეჯასთან ერთად განათლებულ კადრს უმზადებდა იმდროინდელ საქართველოს. დავით-გარეჯის ლიტერატურულმა სკოლამ ნინოწმინდასთან ერთად დიდი შრომა გასწია ქართველ ხალხში ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვივების საქმეში. მის დადასტურებაა, ერთის მხრივ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში პატრიოტული ელემენტის წინ წამოწევა, მეორეს მხრივ სპეციალური პოლემიკური საკითხების აღძვრა. ამ უკანასკნელის პირველ ნიშნულად უნდა მივიჩნიოთ სულხან საბა-ორბელიანის ერთი ქადაგება, რომელიც მან უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერში წარმოსთქვა. ამავე პერიოდში დაიწერა 1659 წლის აჯანყების ბელადების ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ბიძინა ქსნის ერისთავების გმირობის ამსახველი ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომლითაც ისინი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეური მუხაირახტრობა.

ამ დროის ნინოწმინდის სამწყსო და მათში შემავალი დავით გარეჯის სამონასტრო ცენტრები საქრისტიანო და სამაჰმადიანო სამყაროს წყალგამყოფს წარმოადგენდნენ, ამიტომ იყო, რომ სწორედ მათ ითავეს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეური მუხაირახტრობა.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ნინოწმინდელ მღვდელმთავრებად მოხსენიებულნი არიან მიტროფანე ნინოწმინდელი და იოანე, ხოლო მათ შემდეგ მიტროფანე ტუსიშვილი, იოსებ ვაჩნაძე, იოანე, ხოლო მათ შემდეგ საბა...

### ნინოწმინდა XVIII საუკუნეში

I ნაწილი  
VII საუკუნე ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრალისათვის და საერთოდ ნინოწმინდის მოსახლეობისათვის არასახარბიელო ვითარებაში დაიწყო, ირან ოსმალეთის მმართველი წრეები სულაც არ ფიქრობდნენ ქართლ-კახეთის აწეწილ-დაწეწილი პოლიტიკური ვითარება მოეწესრიგები-

ნათ და ხალხისათვის შვეება მოეცანათ, პირიქით ცდილობდნენ ქვეყნის არე-დარევის და ერთმანეთს ეცილებოდნენ, როგორც „ლეკიანობის“ საშუალებებით ქართლ-კახეთის მოსახლეობისათვის ამოსუსუნთქვის საშუალება არ მიეცათ.

1722 წელს კახეთში გარდაიცვალა ერეკლე მეორის გამუსულმანებული მეფე დავით იმამყული ხანი და ქვეყანა უპატრონოდ დარჩა, ვინამ ირანის შაჰის სულთან სულეიმანი კახეთში ირანისათვის სასურველ ვასალს შეარჩევდა კახეთში გამოსაგზავნად. კახეთში პოლიტიკურმა ქაოსმა დაისადგურა. მხოლოდ 1722 წელს შეარჩიეს კახეთის მეფედ გამუსულმანებული მახმად ყული ხანი, დავით იმამ ყული ხანის ძმა, მაგრამ ქვეყანაში მდგომარეობა უფრო აირია. ახმად ყული ხანი, ანუ ქართულად კონსტანტინე მეორე კახეთის მეფის ერეკლე I-ის უკანონო შვილი იყო, რომელიც ერეკლე I-ს ხარჯისაგან ეყოლა, მოკლებული იყო ქვეყნის მზრუნველობისათვის შესაფერის თვისებებს, სულაც არ ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობისათვის.

1719 წელს ირანიდან ქართლის მეფის მოვალედ (ჯანიშინად) უნიჭიერესი პიროვნება ვახტანგ VI გამოგზავნეს, მაგრამ ვერც მან შეძლო კახეთის მეფე მახმად ყული ხანთან საერთო ენის გამოხატვა. ვახტანგ მეექვსე, იმის ნაცვლად რომ კახეთის მეფესთან მჭიდრო სამოკავშირეო კავშირი შეეკრა, „ლეკიანობის“ წინააღმდეგ საბრძოლველად რუსეთის მეფე პეტრე-I-თან გააბა ურთიერთობა, მტრად გადაიკიდა როგორც ირანი, ისე ოსმალეთი, რის გამოც ქართლ-კახეთმა რუსეთიდან რეალური დახმარება ვერ მიღეს და პირისპირ აღმოჩნდნენ, როგორც ირანის, ისე ოსმალეთის წინაშე, რასაც მოჰყვა ის, რომ ვახტანგ VI მეფობიდან გადააყენეს და ოსმალეთმა ქართლიც მახმად ყული ხანს გადააბარა.

როგორც ქართლს, ისე კახეთს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. ოსმალეთის სულთანმა 1723 წელს თავის ვასალს ახალციხის ფაშას ისიყ ფაშას დაავალა, რომ მთელი ჯარით შეჭრილიყო ქართლში, გარეკახეთში და მოეხდინა ქართლ-კახეთის ანექსია და ოკუპაცია, რამაც გამოუსწორებელი ტრაგედია დაატყდა თავს, როგორც ქართლს, ისე კახეთს.

მახმად ყული ხანი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მას ოსმალეთის ხელისუფლებისაგან ნაბრძანები ჰქონდა თბილისის აღება, რისთვისაც მან დაიქირავა ლეკების ჯარი და თბილისის ასაღებად წავიდა. ლეკის ჯარს ნება მისცეს თბილისის მოსახლეობა მთლიანად გაეძარცვა. მახმად ყული ხანმა თბილისის ციხის გასაღები ოსმალებს გადასცა. ამ უდიდესმა კატასტროფამ ვახტანგ VI იძულებული გახადა ემიგრაციაში წასულიყო რუსეთში.

1724 წელს ვახტანგ VI 1200 ქართველი თანამზრახველის შემადგენლობით რაჭის გზით რუსეთში გაემგზავრა. ქართლ-კახეთი კი ბედის სინაბარა დარჩა.



ოსმალეთის ჯარმა მთელი ქართლ-კახეთი დაიკავა.

კახეთი ამ დროს მთლიანად პოლიტიკური ქაოსის ქვეშ იმყოფებოდა, კახეთის მეფე მასმად ყული ხანი (კონსტანტინე მეორე) 1729 წელს თურქ-ოსმალებმა მოტყუებით, ვითომ მოლაპარაკებისათვის კახეთში ბეჟანბაღში მიიწვიეს და იქ მოკლეს. უმეფოდ დარჩა კახეთი, დედოფალი ანა (ერეკლე I-ის კანონიერი მეუღლე) და მისი შვილი თეიმურაზ ბატონიშვილი უმწეო მდგომარეობაში მყოფნი თავს აფარებდნენ ხან ერწო-თიანეთს და ხან მანავის სიხეს.

კახეთში „ლეკიანობამ“ სახიფათო ფორმა მიიღო, მუსულმანი მოღებები თავისუფლად მოქმედებდნენ და მოსახლეობას ძალით აღებინებდნენ მუსულმანობას.

ეს ტრაგედია დიდმა ქართველმა პოეტმა და მამულშიშვილმა დავით გურამიშვილმა თავის ერთ ლექსში ასე გამოხატა:

„რაც მობახსენე, მობგვარა  
ჩვენ ერთმანეთის ბრძოლაჲ!  
ქართლი ოსმალომ დაიპყრა,  
კახეთი ლეკთა მოლაჲ.  
მით ჩვენმა სისხლმა ნაღვარმან,  
ხევეზი სულ ამოლაჲ  
და სუნიო მოცივსა მთაბარი  
ჩვენის მტკპრის მძორთა ყროლაჲ.“

ოსმალეთის ჯარმა მთელი ივრისპირეთი და გარე-კახეთი დაიკავა, ოსმალთა ჯარის (ახალციხის ჯარის) ერთი ნაწილი დაბანაკდა ახლანდელი სოფელი წყაროსთავის ტერიტორიაზე. ამიტომ, სოფელი „ახბულახი“ უწოდეს, რაც თურქულ ენაზე „თეთრ წყაროს“ ნიშნავდა. ოსმალებმა ეს სახელი ამ სოფელს მიაკუთვნეს იმის გამო, რომ სოფლის ბოლოს გამოდიოდა უგემრიელესი წყარო დიდი მუხის ძირში. ეს წყარო გოგირდის შემადგენლობის გამო მიწაზე ტოვებდა თეთრ ნაკვალევს, რის გამოც წყაროს თურქულად „თეთრი წყარო“ უწოდეს. ახ (ახ) თეთრს ნიშნავს, ხოლო „ბულახ“ წყაროს, ანუ ერთობლივად თეთრ წყაროს ნიშნავს.

ამ პატარა სოფელს „ახბულახად“ იცნობდა მოსახლეობა, მაგრამ 1942 წელს სახელი გადაარქვეს და წყაროსთავი უწოდეს, რასაც ეს უღმაზესი სოფელი ახლაც წყაროსთავის სახელითაა ცნობილი.

ოსმალებმა მაშინ ხაშმის მახლობლად დაიკავეს კიდევ ერთი ისტორიული ნასოფლარი, რომელსაც ახლაც თურქული სახელი „ყარაბულახი“ (შავი წყარო) ჰქვია. ასევე ჩვენს მინდვრებში მრავლადაა შემორჩენილი თურქული, (ოსმალური) ტოპონიმები – „დეშურდაღი“ ნინოწმინდის მინდორში, რაც თურქულად „რკინის მთას“ ნიშნავს. ჩვენს მინდვრებში თურქული ტოპონიმებია „ყარადაღი“, „შაკიმთა პატარქულში“, „ალანდარა“ ყანდაურის მინდორში და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა. ყოველივე ეს იმ შავბნელ წარსულს

გვახსენებს რაც ისტორიამ გვარგუნა ჩვენ ხალხს.

\* \* \*

ფაქტიურად ნინოწმინდა და მთელი გარე კახეთი უპატრონოდ იყო დარჩენილი XVIII საუკუნის დასაწყისში და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. კახელებს პატრონად XVIII საუკუნის პირველ ნახევარამდე არავინ ჰყოლიათ, ვიდრე არ წამოიზრდებოდა ერეკლე I-ის უმცროსი ვაჟიშვილი თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც თავის დედასთან – ანა დედოფალთან თავს აფარებდა ხან ფშავეში, ხან მანავის თარაქში. თეიმურაზ ბატონიშვილს, უკვე მოწიფულობის უამს 1719 წელს ცოლად შერთეს ვახტანგ VI-ის ქალიშვილი თამარი და ქორწილი მანავის ციხეში გადაუხადეს. 1720 წელს თამარ დედოფალს შვილად ეყოლა ვაჟიშვილი, რომელსაც თავისი პაპის ერეკლე პირველის სახელი უწოდეს. იგი იზრდებოდა ხან თელავში, ხან მანავში და თარაქში უბრალო გლეხის ბიჭებთან. ერეკლე ბატონიშვილს ხალხი სიყვარულით „პატარა კახს“ უწოდებდა, რომელმაც განათლება ნინოწმინდის მონასტერში მიიღო. მისი მასწავლებელი იყო ნინოწმინდელი მღვდელმთავარი იოანე ერეკლე ბატონიშვილი. მისი სახით საქართველომ აღზარდა მესიანური პიროვნება, რომელმაც ფიზიკური არსებობისათვის გადაარჩინა მთელი საქართველო.

\* \* \*

ოსმალები, რომლებმაც დაღესტანელი ლეკების დახმარებით მთელი კახეთი დაიკავეს, მეტად ვერაგული გეგმები ჰქონდათ ჩაფიქრებული. მათი მიზანი იყო მთელი კახეთი გაეღვეკებინათ და დაღესტანისათვის შეეერთებინათ. ოსმალეთმა თავისი გეგმის განხორციელება XVI საუკუნიდან დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსმალეთის ბრწყინვალე სულთანმა სულეიმან კანუნმა XVI საუკუნიდან მთლიანად გაამუსულმანა ჩრდილო კავკასიის ქართველების მონათესავე ჩეჩნები, უბიხები, აფხაზები, ყაბარდო-ჩეჩენ-ინგუშები, დაღესტანელები და ახლა სულთან სულეიმან კანუნის მიზანს შეადგენდა მთელი კახეთის ქართული მოსახლეობა გაემუსულმანებინა და ისე შეეერთებინა ოსმალეთისათვის. ოსმალებს მთელი საქართველოს ხელში ჩაგდება ჰქონდათ მიზნად დასახული და საქართველოს გათათრება (გათურქება) XV საუკუნიდან დაიწვეს მაშინ, როცა მესხეთ-ჯავახეთისდა მთელი ტაოკლარჯეთი დაიპყრეს.

ოსმალეთის ბრწყინვალე სულთანმა სულთან სულეიმან კანუნმა მიზნად დაისახა მთელი ევროპის დაპყრობაც და ამ მიზანს მიაღწევდა კიდევ, თუ მისი ჯარები ავსტრიის დედაქალაქ ვენასთან არ დამარცხდებოდნენ 1671 წელს.

ოსმალთა პანთურქისტებს თავისი დიდპყრობელები მიზნების განხორციელებაში ხელს უშლიდნენ

ირანელი პანისლამისტები, რომელნიც სათავისოდ ოცნებობდნენ მსოფლიო ბატონობისათვის. სწორედ ამ მიზნისმიხედვით იყვნენ დაპირისპირებულნი საქართველოში ერთმანეთთან ირანელი და ოსმალთა დამპყრობნი.

„ოსმალთა“ საქართველოში 1734 წლამდე გაგრძელდა. მართალია მახმად ყული ხანმა მოსახვედრებლად თურქული ორიენტაცია არჩია და ოსმალებს თბილისის ციხის გასაღები თავისი ხელით გადასცა, მაგრამ იგი საიდუმლოდ ისევ სპარსული ორიენტაციის მომხრედ რჩებოდა. ეს კარგად იცოდა ახალციხის ოსმალთა მმართველმა ისიყ ფაშამ, ამიტომ ოსმალეთის სულთანის დავალებით თავის შვილს უსუფ ფაშას საიდუმლო დავალება მისცა, მახმად ყული ხანი თავის ბანაკში შეეტყუა და იქ მოეკლა, რაც ოსმალთა უსუფ ფაშამ შეასრულა და 1729 წელს დალატით მოკლა კახეთის გამუსულმანებული მეფე მახმად ყული ხანი (კონსტანტინე II).

წყარო: ვახუშტი ბაგრატიონი, ქართლის ცხოვრება. IV ტომი, გვ. 624. ზოგიერთი არასრული მონაცემებით მახმად ყული ხანის მკვლელობა მოხდა 1732 წელს არა ბეჟან ბაღში, არამედ დამპალას (ყორულში) 1729 წელს.

წყარო: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თ. IV 1973 წ. გვ. 444.

1734 წელს კახეთის სამეფო ვითარება იცვლება, შიდაპოლიტიკური ვითარება თანდათან მოწესრიგდა, ირანში 1734 წელს ერთმანეთს შეეჯახნენ ირან-ოსმალეთის ძალები და გამარჯვების ისარმა ირანელებისკენ გადაიხარა. ამ ომში ქართ-კახეთის შეიარაღებული ძალები ირანელებს მიემხრნენ და ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, ყიზილბაშთა ჯარების სარდალი თამაზ ყული ხანი (შემდგომში ნადირშახი) ეჭვის თვალთ უყურებდა ქართველებს. მან ერევანში თავის ბანაკში დაიბარა თეიმურაზ ბატონიშვილი, სხვა დიდებულები და ბევრი მათგანი დააპატიმრა. კახეთის მმართველად თეიმურაზის ძმის დავით იმამყულის ძე ალექსანდრე დაინიშნა, ქართლი და კახეთი მძიმე გადასახადებით დაბეგრა.

1736 წელს თებერვალში ნადირმა იხმო მთელი ამიერკავკასიის დიდებულები და თავისი თავი ირანის შაჰად გამოაცხადა.

1737 წელს სეფი ხანმა (შახის ნაცვალმა საქართველოში) დალატითა და მოტყუებით შეიპყრო თეიმურაზი და წარგზავნა წინაშე ნადირისა ისპაჰანს, შაჰნადირმა ეს არ იკმარა, მან გამოიხმო საქართველოდან თეიმურაზის შვილები ერეკლე და ქეთევანი. ნადირ შახმა ერეკლე ინდოეთში სალაშქროდ წაიყვანა, ხოლო ქეთევანი თავის ძმისწულს მიათხოვა ცოლად.

ამის მერე მოვლენები ისე განვითარდა, რომ კახეთმა ცოტა ამოისუნთქა, ერეკლე ირანის

შახმა საქართველოში გამოისტუმრა.

ერეკლე ბატონიშვილმა ინდოეთის ლაშქრობაში მიიღო მონაწილეობა, ირანის შახმა იგი დიდი საჩუქრებით გამოისტუმრა საქართველოში. ირანის შახი დარწმუნდა რა მამა-შვილის ერეკლესა და თეიმურაზ ბატონიშვილების ერთგულებაში 1744 წელს თეიმურაზი ქართლის მეფედ, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დაამტკიცა.

ეს პოლიტიკური აქტი დიდი წარმატება იყო ქართველი ხალხისათვის. დასრულდა საქართველოს ისტორიის დიდებული ეტაპი, რამაც გადააარჩინა ქართველი ხალხი სრული მოსპობა-განადგურებისაგან.

\* წყარო: 1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973 წ. გვ. 447; 2. ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა.

ნინოწმინდამ ზემოაღნიშნულ ძნელბედობის ხანაში დიდი ნგრევა-გაპარტახება განიცადა, მაგრამ ამ გაუსაძლის გასაჭირს გაუძლომის ნახანძრალ ფერფლში გახვეული იმედის ნაპერწკალი ჯერ კიდევ ღვიოდა და მომენტს ელოდა დიდ ხანძრად გადაქცეულიყო. დიდ განსაცდელში მყოფი ნინოწმინდელები მომენტს ელოდნენ კვლავ შემოეკრათ დედო ზარისათვის და გამარჯვების რწმენა ჩაენერგათ ქართველი ხალხისათვის.

ამ ძნელბედობის ხანაში ნინოწმინდელებს იმედად მოეწონინენ ქართლ-კახეთის მეფეები – მამა-შვილი თეიმურაზი და ერეკლე II, „პატარა კახი“.

ნინოწმინდის ეპარქიაში თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე სათავეში ედგნენ ისეთი წმინდა მამები და მღვდელმთავრები, როგორებიც იყვნენ: ზაქარია მაყაშვილი, (XVII საუკუნე). ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი (VIII საუკუნე), იოანე ჯანდიერიშვილი ((XVIII საუკუნის დასაწყისი), იოსებ ვაჩნაძე XVIII საუკუნის I ნახევარი), საბა ტუსიშვილი (1744-1784 წწ), და სხვები, რომლებიც გვერდში ედგნენ ნინოწმინდის ეპარქიის წევრებს, ყველა ნინოწმინდელს, ზრუნავდნენ მათი სულიერი და მატერიალური კეთილდღეობისათვის.

ამ მღვდელმთავრებმა, წმინდა მამებმა ფასდაუდებელი ღვაწლი მიაგეს მთელ გარე კახეთის გადაშენებული სოფლების აღდგენა-განაშენიანების საქმეს, რომელთა შესახებ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ.

საარქივო მასალების სიმცირის გამო ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მასალას გავაცნობთ მკითხველებს.

ჩვენს მკითხველებს ზოგიერთ მათგანს დაებადება კითხვა: რატომ არ გაგვანია საარქივო მასალები, სად გაქრა ისინი? მე კი მათ მოკლედ ვუპასუხებ: როცა ჩვენი ქვეყნის მტრები გვიპყრობდნენ და გვიპარტახავდნენ, რაც ფასეულობები გაგვანდა ადამიანებთან ერთად გვტაცებდნენ და თან მიჰქონდათ, ხოლო რაც უმნიშვნელოდ მიაჩნდათ, ცეცხლში წვავენ...





ინოწმინდამ  
X V I I I  
საუკუნეში  
თ ა ვ ი ს ი  
განვითარე-  
ბის უმაღლ-  
ლეს და  
უკანასკნელ  
საფეხურს

მიადწია. ნინოწმინდის დაწინაურებას პირველ რიგში ხელი შეუწყო ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოში შედარებითმა მშვიდობიანობის დამყარებამ, თეიმურაზ II-სა და ერეკლე მე-2-ის ზრუნვამ ნინოწმინდის ეპარქიის გაძლიერებისადმი და თვითონ ნინოწმინდის მღვდელთმთავრის საბა ტუსიშვილის დიდმა ორგანიზატორულმა ნიჭმა და მცდელობამ.

საბა ნინოწმინდელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თეიმურაზ II-სა და ერეკლე მეორესთან, მან დიდი როლი შეასრულა კათალიკოს ანტონ I-ის გადაყენებაში 1755 წელს, რის შემდეგ მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო მაღლდება. გაითვალისწინეს რა საბა ნინოწმინდელის დიდი დამსახურება სამეფო კარზე 1757 წელს ნინოწმინდის ეპარქიას მიუმატეს ჭერემის გაუქმებული ეპარქიის საკმაოდ დიდი ნაწილი. ერეკლე მეორის 1758 წლის განჩინებაში ვკითხულობთ: „ჩვენ კახთა მეფემან პატრონმან ირაკლი, ვიგულისხმოდგინეთ და განვაჩინეთ და უშენი ჭერემის ქალაქეკლესია და საჭერემლო მთა და ბაღნარი ყოვლად სამღვდელოს ნინოწმინდელ მიტროპოლიტს საბას მიუწყალობეთ“...

1760 წელს 29 მარტის საბუთით თეიმურაზ მეორე და იოსებ კათალიკოზი საბა ტუსიშვილს გადასცემენ სამწყმოსოდ ერთხანს ჩამორთმეულ იოანე ნათლისმცემლის მონასტერს და ამიერიდან მიტროპოლიტი საბა დოდოს და დავით-გარეჯელის მონასტრებთან ერთად უდაბნოს სავანეების სრული ბატონ-პატრონი ხდება.

ნინოწმინდის ავტორიტეტი თანდათან ზენიტში აღის. 1765 წლის 29 აგვისტოს საბუთით სამება-კაწარეთის გაუქმებული ეპარქიის დიდ ნაწილს ნინოწმინდელს აბარებენ, რის შემდეგაც ნინოწმინდის ეპარქიას თავისი სიდიდითა და სიძლიერით ბადალი არა ჰყავს, მთელ საქართველოში.

ახლა მივხედოთ თვით ნინოწმინდის ტეტრაკონქს თუ რა მდგომარეობაში იყო იგი. ნიკოლოზ ანდრონიკაშვილის 1671 წლის სარესტავრაციო სამუშაოებმა ვერ მოიცვეს მთლიანად ნინოწმინდის დიდებული



ტაძარი, ის, რაც ნინოწმინდელ ნიკოლოზ ანდრონიკაშვილს დარჩა გასაკეთებელი, საბა ტუსიშვილს უნდა მოემთავრებინა. რაც მთავარია აღსადგენი იყო ნინოწმინდის დიდებული ტაძრის გუმბათი, რომლის შეკეთებისთვის ენერგიულად მოუკიდია ხელი მიტროპოლიტ საბას. იმის გამო, რომ ამ პერიოდში აღარ მოიპოვებოდნენ ხურთმოდურების გამოცდილი ეროვნული კადრები, საბა ტუსიშვილს თვითონ მოუკიდია ხელი ტაძრის აღდგენისათვის, საბას „ანდერძისებრნი ღუწანი“-დან ჩანს, რომ ტაძრის გვირგვინ-გუმბათი ორჯერ აუგიათ და ორჯერვე მოუნგრევიათ, ვინაიდან გუმბათი წყალს ატარებდა, მესამედაც დიდი წვალებით აუგიათ და ზემოდან ჯვრით შეუშკიათ. ტექსტიდან ჩანს თუ რამდენი წვალება და დრტვინვა გადაუტანიათ ტაძრის აღმდგენელებს, ვინაიდან მათ შრომა უხდებოდათ რთულ, ლეკთა ბანდების თარეშობის პირობებში. პლატონ იოსელიანი გვაწვდის ცნობას თუ როგორ დაათვალიერა ერეკლე II-ემ წარდგენილი ტაძარი და როგორ დაუწუნა საბა ტუსიშვილს განახლებული გუმბათი. ერეკლეს უთქვამს საბასთვის: „მერწმუნე, მღვდელთმთავარო, რომ ეკლესია შენ დაგინგრევია და არ ავიშენებია, საპალნე დიდი დაგიდგამს, ფეხები გამოგიცლია“.

გუმბათის შემდეგ საბას ფანჯრები შეუშინია, საკურთხეველი შეუკეთებია, იატაკი ახლად დაუგია, ძველი კანკელი აუღია და ახალი გაუკეთებია, ახალი კარები შეუბამს ეკლესიისათვის და კარიბჭისათვის, ეკლესია ახალი ინვენტარით მოუკაზმავს, სიწმინდის ჭურჭლით შეუშკია, წიგნები გადაუწერინებია და ვერცხლის ყდებით შეუშკია.

შემდეგ „ანდერძში“ ვკითხულობთ,

რომ საბა ტუსიშვილმა დიდი ჯაფა შეაღია ტაძრისათვის გალავნისა და სიმაგრეების აშენებას. ამ დიდ შრომატევად სამუშაოს შესრულებაში საბას დიდი დახმარება აღმოუჩინა საგარეჯოს მოსახლეობამაც. თვითონ საბა ნინოწმინდელი ამის შესახებ შემდეგსა წერს: „ეკლესიასა ამას გალავანი ფრიად მცირე და ავადქმნილი აქ უნდა და მე ვევედრე ყოვლად უმაღლესსა მათესა თვით ხელმწიფესა ჩემსა ირაკლის, – რადგან საგარეჯოსა შინა მკვიდრთათვის სიმაგრისა შენებასა იღუწიდა, ვინაიდგან დრონი და ჟამნი მტერთა ბრძოლისაგან ყოვლად აღრეულ იყუნეს, რათამცა ესე სიმაგრე და გალავანი ეკლესიასა ჩემსა ქმნილიყო, რომლისათვისაც ბრძანა მეფემან, თუ თვით გარესჯელთ სახასოთ კაცთ, და ეკლესიისა ჩემისა ყმათ, და მონასტერთ ყმათ აღაშენეს“.

გალავნისა და სიმაგრეების აგების შემდეგ საბა ტუსიშვილს დიდი შრომა დაუხარჯავს მარნის აშენებისა და ტაძრის ეზოში ჭების დათხრისათვის. ერთი ჭა შიგ მარანში ამოუთხრია, მეორე კი მარნის გარეთ კარების წინ, ამით საბამ სასმელი და სამეურნეო წყლით უზრუნველყო როგორც ტაძრის, მომსახურე პერსონალი, ისე ახლო-მახლო მცხოვრები მოსახლეობაც.

საბა ნინოწმინდელი გვევლინება როგორც დისციპლინის მოყვარე ადმინისტრატორი, რომელმაც ყველა ღონისძიება გაატარა ნინოწმინდის შემდგომი ძლიერების განმტკიცებისათვის. ან პირველ რიგში თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს დაამტკიცებინა ძველი სიგელ-გუჯარები, რითაც რიცხოვრივად კიდევ უფრო გაამრავლა თავისი სამწყსო. საბამ საფუძვლიანად შემოიმტკიცა ძველი შენაწირი მამულები, უკან დააბრუნა აყრილი ხიზნები, ტყვეობიდან გაანთავისუფლა თავისი ყმები, ბევრიც ახალი შეიძინა და დაასახლა ტაძრის მიწაზე. საბა დიდ გულისყურს იჩენს როგორც ყმა-ობლებზე, ისე უპატრონო ბავშვებზე მზრუნველობისათვის. ანდერძიდან მაგალითად ვიგებთ, რომ აბასის შვილისაგან უყიდია ორნი ძმანი გარისელნი ასრათას შვილები, ძმის წულეები აზა და ამილბარ, შეუწირავს ისინი ნინოწმინდის ეკლესიისათვის და დაუსახლებია ისინი ნინოწმინდის მამულებზე.

მიტროპოლიტი საბა მხარში ედგა ერეკლე II-ს მის საგლეხო პოლიტიკაში, რომელიც „მიმართული იყო აყრილ-დაკარგულთა, ხიზან ბოგანოთა რიცხვის შემცირებისაკენ და სამშობლოს დამცველ მემკვიდრე გლეხთა, შეძლებულ გამომღებ მიწის მუშათა გამრავლებისაკენ“ (ნ. ბერძენიშვილი).

ამრიგად სახელმწიფოში შემაჯავლი დიდი საგამგეო ერთეულის, საეპისკოპოსოს ხელმძღვანელი საბა არის ერეკლე მეორეს თანამძრახველი და ასეცაა წოდებული თვით ერეკლეს მიერვე დიდ „როარტაგ-გუჯარში“, „თანაზრდილი და თანაგანმზრახი, კარისა ჩუენისა ეპისკოპოსი... ტუსიშვილი.“

საბა ტუსიშვილი დიდ ყურა-

დლებას აქცევდა სწავლა-აღზრდას, რაც მისი „ანდერძისაგანაც“ ჩანს. ნინოწმინდის ტაძარში მის დროს არსებობდა სკოლა, რომელიც ერს უზრდიდა განათლებულ და განსწავლულ მამულიშვილებს.

ნინოწმინდის კათედრალი საქართველოში იმითაც არის ცნობილი, რომ აქ XVIII საუკუნის 70-იან წლებში საბა ტუსიშვილის მცდელობით აგებული იქნა საცხოვრებელი სასახლე, რომელიც ევროპული არქიტექტურის გავლენით იყო დაპროექტებული და შესრულებული (ირ. ციციშვილი). საბა ტუსიშვილისეული სასახლე წარმოადგენს ქართული საცხოვრებელი სახლის არქიტექტურის ერთად-ერთ შემორჩენილ უიშვიათეს ნიმუშს. თვითონ მშენებლობის ინიციატორი თავის „ანდერძის იძლევა სასახლის მდებარეობის ორიენტირებს „ვიღვაწე კვალად და აღვაშენე სასახლე ეკლესიისა ამის გალავანსა შინა, ზღუდის, კერძოდ სამრეკლოსა და ბურჯს შუა, მარნის გვერდზედ“, საბა ტუსიშვილი საგულისხმო ცნობებს გვაწვდის. თვით შენობის შესახებაც: „სასახლე ესე არს ქვითკირისა, ძირს არს სამი სახლი: ორი საწოლი და ერთი დიდი და ზედედ სახლი სამი: თავსა და ბოლოს საწოლი და საშუალო აივანი ყოველითა და სრულითა თვისითა განწყობილებითა, და სასახლისა ამის წინარე, დაბლა და მაღლა აივნები“,... უფრო ქვევით იგი მოგვითხრობს: „ყოველნივე ესე სახლნი დაფინენ აგურითა და კირითაო.“

საბა ტუსიშვილი ნინოწმინდელთა შორის საკმაოდ გამოჩენილი პიროვნებაა, რომელმაც, როგორც განათლებულმა, ენერგიულმა და ადმინისტრაციული ნიჭით დაჯილდოებულმა პიროვნებამ უდიდესი კვალი დაამჩნია ნინოწმინდის ისტორიას. როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი იყო არა მარტო საეკლესიო მოღვაწე, არამედ ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეც, რომელიც მტკიცედ ედგა გვერდით თეიმურაზ მეორესა და ერეკლე მეორეს. მისი მღვდელმთავრობა მიახლოებითა და ეტევა 1743-1780 წლებში. საბა ტუსიშვილის შემდეგ ნინოწმინდელად ვხვდებით იოანეს, რომელიც მოხსენიებულია 1789 და 1792 წლების საბუთებში.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ 1817 წლამდე ქართული ეკლესია ერთგვარ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ მალე რუსეთის მთავრობამ საქართველოს ეკლესია რუსეთის ეკლესიის ცენტრს – სინოდს დაუმორჩილა. 1817 წელს გააუქმეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა რუსეთის სინოდის განყოფილება-დიკანსტერია. ამავე პერიოდში გაუქმებული იქნა ნინოწმინდის ეპარქია ნინოწმინდის ეპარქია \*1 და იგი შეუერთდა კახეთში ერთად-ერთ ალავერდის ეპარქიას. ნინოწმინდის ყველა უძრავ-მოძრავი ქონების მკვატრონედ კათალიკოსის მაგიერ დანიშნული რუსეთის ეგზარხოსი გახდა. ნინოწმინდის დიდებულ ტაძარში თანდათან მიხელდა



ფოტო ეკუთვნის საქართველოში პირველ პროფესიონალ ფოტოგრაფს ალ. როინაშვილის. (1846-1898 წწ). ფოტო მოკოვებულია ფოტოფრაფიის მუზეუმიდან და რომლის გადაღების თარიღი დადგენილი არ არის

კულტურული ცხოვრების მაჯისცემა. ნინოწმინდის დიდებული ტაძარი 1824 წელს მომხდარმა მიწისძვრამ და უდიდესმა ქარიშხალმა შეძრა. ათასწლოვანმა კედლებმა ვეღარ შეიმაგრა დიდი ტვირთი და თალი და გუმბათი ჩამოიქცა ზათქითა და გრიალით. 1848 წელს კი სტიქიამ სხვა კედლებიც დაანგრია.

\*1. ნინოწმინდის უკანასკნელი მიტროპოლიტი იყო სტეფანე, მისით იხურება ნინოწმინდის ეპარქია (იხ. ძვ. არტ. სტატები, გვ. 228).

დარჩა გუმბათმონგრეული ტაძარი ჟამთა სიავით დაჩეხილი. დარჩა, როგორც სიმბოლო ჩვენი ერის გმირული წარსულისა, რომელიც ჭაღარა საუკუნეების სიღრმიდან გვეჩურჩულება, მაღლიერმა ერმაც არ დაივიწყა წინაპართა ეს დიდებული ნაშთი და ხარაჩოებში ჩამჯდარ, ხავსმოდებულ თექვსმეტსაუკუნოვან კედლებს, ახალ სიცოცხლეს უბრუნებს.

IV დან XXI საუკუნემდე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის. 1884 წლის გაზეთ „დროებაში“ ნინოწმინდის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ალექსი გულისაშვილი წერდა: „ნინოწმინდაში სახლების მომეტებული ნაწილი მიწურია და ახლო ხედ მიყრილი“ დაეცა სწავლა განათლების საქმეც ეპარქიის გაუქმების შემდეგ ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების დიდი ნაწილი თბილისში წაიღეს. იმავე ალექსი გულისაშვილის ცნობით 1884 წლისათვის „ქართველები ნინოწმინდაში 100 კომლზე მომეტებული იქნებიან და ერთ კაცს ვერ იპოვით მასში, რომელმაც წერა-კითხვა იცოდესო“ წერილის ავტორი ასკვნის, რომ სოფელი ძლიერ საჭიროებს სკოლას, მაგრამ სოფლის საზოგადოების მოთხოვნისა, საქმე წინ არ მიდისო. იქვე ნათქვამია, რომ იქნებ, როგორმე მთავრობამ მასწავლებელი მოგვცეს და მის ხელფასს ხალხი გაიღებსო, სკოლისათვის კი ბინის აშენება საჭირო არ იქნება, რადგან ეკლესიის ეზოში ორი ოთახი ცარიელია და იქ შეიძლება სკოლის მოთავსებაო, თუმცა, მცირე ქირის გამოღებითო. ამ საქმის მოსაგვარებლად სოფლის საზოგადოებრიობას მოთავედ გამოუყვია დიდი ქართველი მოღვაწის აკაკი წერეთლის მეგობარი, ნინოწმინდაში მცხოვრები მეწარმე-საქმოსანი ანდრია კაპანაძე, რომელსაც ეს საქმე დადებითად გადაუწყვეტია და ნინოწმინდის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ ოროთახიან შენობაში 1895 წელს დაწყებითი ტიპის სამრევლო სკოლა დაუარსებია.

ნინოწმინდის ეკლესიის წინამძღვარი ალექსი გულისაშვილი გვევლინება არამარტო სოფელ ნინოწმინდის საზოგადოებრივი ცხოვრების მემატანედ, არამედ იგი მთელი გარე-კახეთის იმდროინდელი ვითარების აღმწერიცაა. იგი ყოველი ზომით ცდილობს რუსეთის კოლონიური უღლისაგან დადღასმული თანამემამულეების ხვედრის გაუმჯობესებას, თანამშრომლობს იმდროინდელ ქართველ პროგრესულ პრესაში. გლეხობის ხვედრი მართლაც აუტანელი იყო. ცარიზმის კოლონიური უღლის სიმძიმეს ზედ ემთხვეოდა ბუნების კაპრიზებიც, გვალვა და სეტყვა ანადგურებდა სოფლის მცხოვრებთა შრომით შექმნილ ჭირნახულს. უტანელი იყო მათი საყოფაცხოვრებო პირობები. იმ დროს, როცა სოფლის თავში არსებული ტყეები მთის წყაროებით იყო

სავსე, გვალვის დროს სოფელი უწყლობით იტანჯებოდა. ილაჯგაწყვეტილ ნინოწმინდელებს ხსნის გზად ესახებოდათ მდინარე იორის სიახლოვეს, მის სანაპიროზე ჩასახლებულიყვნენ წყლის გულისათვის, მაგრამ ის აღარ იცოდნენ, რომ მდინარე იორს სიკეთესთან ერთად დიდი უბედურების მოტანაც შეეძლო, ახლა

მაღარია დარევედა ხალხს ხელს მათ ჯანმრთელობას.

ნინოწმინდელთა ამ გადაწყვეტილებას ისევ საღად მოაზროვნე ადამიანები აღუდგნენ წინ. 1878 წლის №36-ში გაზეთი „ივერია“ გვაძლევს ამის ცნობებს. იმ მომენტში როგორც ჩანს, ანდრია კაპანაძეს სტუმრად სწვევია გზად მიმავალი ვინმე დიმიტრი ქრისტესიას ძე ჩიქოვანი, რომელსაც ხალხისათვის აუხსნია: იქ (ე. ი. ივრის პირას) გადასახლება თქვენ კარგს არაფერს მოგიტანთ და შეპირებია დახმარებოდა წყლის გაყვანაში. სოფელში შეუკრებიანთ ფული, შეუძენიათ გერმანული წარმოების მილები და სხვა მასალები და პრაქტიკულადაც დაუწყიათ წყლის გაყვანა. ამ საქმის ორგანიზება უკისრია ანდრია კაპანაძეს წყაროს სათავე-ნაგებობა „დრეიქს“ მახლობლად მოუწყიათ, რომელშიც ძირითადად „თუმის წყლის“ წყაროებით მარაგდებოდა სათავე-ნაგებობა. ნინოწმინდაში სულ ხუთი საუბნო წყარო მოუწყვიათ და ოთხი თვის თავზე 1878 წლის 25 აგვისტოს საზეიმოდ გაუშვიათ სასმელი წყალი. სოფელი ჭეშმარიტად ზეიმობდა ამ დიდ ღირსსახსოვარ დღეს. ახლად გამოყვანილი წყაროს წყალი ნინოწმინდის მღვდელს სპეციალური პარაკლისით უკურთხებია.

სოფელში სულ ხუთი წყარო (კრანი) დაუყენებიათ თავისი ნაგებით პირიცივის დასარწყურებლად. ეს წყაროები იყო: 1. ღვინიაანთ წყარო, 2. ღვედლიაანთ წყარო, (ალექსი გულისაშვილის სახლთან), 3. ალაუნის წყარო (მონასტრის კარებთან), 4. მაღალაანთ წყარო (გზის პირას ნინოწმინდის შემოსასვლელთან) და 5. მღებრიაანთ წყარო (გზის პირას ნინოწმინდის დასასრულს ქანანას ხევის მახლობლად).

აღნიშნულმა წყაროებმა თითქმის 100 წელიწადს იარსება – 1978 წლამდე.

როგორც უძველესმა, თითქმის 50 საუკუნოვანმა სოფელმა ჯერ ბოდებოდისმა, ხოლო V საუკუნიდან ნინოწმინდამ უდიდესი ქარტეხილები გამოიარა და როგორც რელიგიურმა ცენტრმა, ჯერ კერპთაყვანისმცემელთა სატაძრო ცენტრმა, ხოლო IV საუკუნიდან ქრისტიანობის გამავრცელებელმა ეპარქიამ სახელოვნად განვლო პოლიტიკური ქარტეხილებითა და სისხლიმღვრელი ომებით გამოვლა უძლო ათას ჭირსა და ვარამს და XXI საუკუნეში გაბედულად შემოაბიჯა.

**ამოვარდა სიტყვა** ნინოწმინდა ტიპური ქართული სოფელია, რომელიც ამაყობს თავისი სახელოვანნი ტაძრითა და ისტორიით. ნინოწმინდა ამავე დროს სამხედრო-თავდაცვითი, საფორტიფიკაციო ნაგებობაა, სადაც ომიანობის დროს თავს აფარებდა და მედგრად ებრძოდა მტერს, არამარტო ნინოწმინდის, არამედ ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობაც. ნინოწმინდა ამავე დროს იყო მოძმე ერების სომხებისა და ებრაელების მყუდრო და საიმედო თავშესაფარიც, მაგრამ სტუმართმოყვარე, მაღლმოსილი ქართველი ხალხის ძმუ-

რი და გულთბილი მოპყრობის შედეგად მოხდა ამ ხალხის შერწყმა ქართულ მოსახლეობასთან და ახლა ისინი წმინდა ქართველები არიან. თუმცა, სიავისა და ურიცხვი შემოსევების შედეგად მასობრივად ისპობოდა ნინოწმინდის მოსახლეობა. მისი ერთი ნაწილი სპარსეთში, ფერეიდანის პროვინციაში გადაასახლეს. ნინოწმინდელებმა თან გაიყოლეს სევდა დაკარგული სამშობლოს გამო და უცხო მიწაწყალზე შექმნილ სოფელს ნინოწმინდა შეარქვეს. ახლა ფერეიდანის ნინოწმინდაში, როგორც მის ადგილობრივ ენაზე, სპარსულად ქუდუბანაქი, ანუ ქუდუ-უნაქი ჰქვია, 80 კომლი ცხოვრობს 400 სული ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველით. ამგვარად ისტორიული სოფელი

ნინოწმინდა ორია, ერთი საქართველოში, მეორე კი დღევანდელ ირანში. თუმცა ბოლო მონაცემებით ფერეიდანში არსებულ ნინოწმინდაში ქართულად აღარ ლაპარაკობენ.

ნინოწმინდამ ირანელ დამპყრობთა 1614-1617 წლების გამაპარტახებელი შემოსევების შედეგად დაჰკარგა თითქმის მოსახლეობის 90% მოკლულთა და ირანში გადასახლებულთა სახით, ხოლო უმნიშვნელო ნაწილმა დააღწია თავი განსაცდელს და ტყესა და მთას შეაფარა თავი. ნინოწმინდამ მოშენება ხელახლა XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო, შედარებითი მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ ქართველი მეფეები ყოველნაირად ცდილობდნენ ნინოწმინდის ეპარქიის აღდგენას, ემა-მამულებს სწირავდნენ ეკლესიას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ასახლებდნენ მოსახლეობას ნინოწმინდაში.

ნინოწმინდაში ძირითადად შემდეგი გვარების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ: ივანიაშვილები, როსტომაშვილები, მანძულაშვილები, სამხთუაშვილები შიოშვილები, სუხიაშვილები, სიღამაშვილები, მღებრიშვილები, დეკანოზიშვილები, თამაზაშვილები, ლალიძეები, ასრათაშვილები, ნასყიდაშვილები, კონიაშვილები, ბერიძეები, ტოპეშაშვილები, ფეიქრიშვილები, ორკოშნელები, ბენაშვილები, გულისაშვილები და სხვა.

1979 წელს გადამდგარი გენერალ-მაიორი პანტელეიმონ შიოშვილისაგან ჩავიწერე ის ზოგიერთი მონაცემი ნინოწმინდელთა შესახებ, რომელთა შორის ბევრი საგულისხმოა და საჭირო მათი ამ შრომაში აღნიშვნა. გენერლის ნაამბობის მიხედვით ადგილ „გოგინაძელებზე“ უცხოვრიათ კონიაშვილების გვარის წარმომადგენლებს, ღვთისმშობლის ეკლესიის ზემოთ, ზენაანში ბენაშვილებს უცხოვრიათ, დრეიქეში ბერიძეებს, თუმისწყალზე მანძულაშვილებს და ტოპეშაშვილებს „მძივის გორაზე“ – როსტომაშვილებს, ფეიქრიშვილებსა და ივანიაშვილებს.

# წმინდა ნინოს წესტი ბოდბეში გი ატხა ნინოწმინდაშია დბკრძხლუ- ლი



აგარეჯოს რაიონი სოფელი ნინოწმინდა, ანუ კუხეთის ქალაქის ტიპის „დიდი დაბა ბოდი“ (ბოდისი) უფრო დიდი ხნის მქონეა, ვიდრე დიდი ქალაქები, მოსკოვი, ლონდონი, ბერლინი, მადრიდი თუ ვენა.

ნინოწმინდა ანუ ძველი ბოდი, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში, როცა ძველმა ბერძენმა მოგზაურმა და გეოგრაფმა სტრაბონმა ქართლის (იბერიის) დელაქალაქ მცხეთიდან კავკასიის ალბანეთში (თანამედროვე აზერბაიჯანში) მიმავალმა მდინარე ივრისპირეთში, გვერდით აუარა უდიდეს წარმართულ, კერპთაყვანისმცემლურ მთვარის უდიდეს ტაძარს, თავის დღიურში ჩაწერა, რომ იხილა უდიდესი მთვარის ტაძარი, სადაც ადამიანებს მსხვერპლად სწირავენ. როგორც იბერიელები, ისე მეზობელი ალბანეთის მცხოვრებნი ერთობლივად ზეიმობენ 14 იანვარს, დიდ დღესასწაულს. ამ ტაძრიდან გზა ალბანეთისაკენ გადიოდა უწყლო და ხრიოკ უდაბნოზე.

მართალია სტრაბონს თავის „გეოგრაფიაში“ არ დაუკონკრეტებია არც მთვარის დიდი ტაძრისა და არც იქიდან ალბანეთში მიმავალი უწყლო და ხრიოკი, ხორშაკიანი უდაბნოს მაშინდელი ტოპონიმების გეოგრაფიული სახელწოდებები, მაგრამ მცხეთიდან ალბანეთში მიმავალი გზა, სწორედ ახლანდელი საგარეჯოს რაიონის, (მაშინდელი კუხეთის) მარშრუტი სოფელ ნინოწმინდაზე უნდა ვივარაუდოთ და არა ქიზიყის ბოდბეზე. შემდეგი ცნობა ბოდბე-ნინოწმინდის შესახებ მოგვეპოვება ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან, რომელიც შემოგვინახა ქართულმა დელა-ისტორიამ – „ქართლის ცხოვრებაში“.

ნინოწმინდა, ანუ ძველი დაბა ბოდი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ფიგურირებს მაშინდელი მსოფლიო ისტორიის მოვლენების ასახვისას, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკულტო ცენტრი. იესო ქრისტეს ჯვარცმას ისრაელში ქართველ ებრაელთა შორის დიდი მწუხარება გამოუწვევია, მათ შორის ყოფილან კუხეთის დაბა ბოდში მცხოვრები ებრაელი, იუდეას მიმდევარი მღვდლებიც („ქართლის ცხოვრება“ გვ. 98).

შემდეგი ცნობა ნინოწმინდა-ბოდის შესახებ ეხება ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურად განმტკიცებას საქართველოში, წმინდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად. ქართლის სამეფო კარმა სცნო ქრისტიანობა და მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის მახლობლად აღმართეს ჯვარი, რომლისგანაც „აღმობრწყინდა“ ორი ვარსკვ-

ლავი, „ერთი წარვიდა დასავლეთით და დაარდგა თხოთს“, ხოლო მეორე წასულა აღმოსავლეთისაკენ „და დაარდგა დაბა ბოდს“ (ქართლის ცხოვრება გვ. 121).

მცხეთის შემდეგ ქრისტიანული რელიგიის გამიზნული აქტივაცია კუხეთის დაბა ბოდის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

„ვიხილეთ ვარსკვლავი აქით მომავალი და და დადრგა დაბასა ბოდესა კუხეთისასა“ („ქართლის ცხოვრება“ გვ. 121).

მიუხედავად იმისა, რომ ვარსკვლავი „დაადგრა“ ბოდს ჯვარი აღმართეს ქალაქ უჯარმაში, როცა ქართლის ცხოვრებაში შემდეგნაირად არის ახსნილი. წმინდა ნინო ამბობს: „წარისუენით ორნი ჯვარნი და აღმართეთ ერთი თხოთს... და ერთი მიეც სალომეს მხევალს ქრისტესსა და აღმართოს უჯარმას ქალაქსა, რამე თუ ბოდი, დაბა კუხეთისა, არა არა წინაღუდგეს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მას შინა“ (იქვე, ქ. ცხოვრება, გვ. 121).

პირველ წყაროს „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით წმინდა ნინომ უპირატესობა მისცა მცხეთის შემდეგ ქართლის სამეფოს მეორე ქალაქს უჯარმას, რომელიც ხალხმრავალიც იყო და ამავე დროს საუფლისწულო, მეფის შემდეგ ტახტის მემკვიდრე რევის რეზიდენციასაც წარმოადგენდა, ხოლო კუხეთის დაბა ბოდი წარმართული, კერპთაყვანისმცემელთა საკულტო ცენტრს წარმოადგენდა და წმინდა ნინოს სამომავლო გეგმაში ჯერ წარმართული კერპების მსხვერვა ჰქონდა ჩაფიქრებული, ამავე დროს დაბა ბოდში ქრისტიანული რელიგიის ოპოზიციის დამარცხება ჰქონდა გამიზნული. დაბა ბოდში მდებარეობდა მთვარის დიდი ტაძარი და ამ ტაძრის ქურუმთა რეზიდენცია, რომელთა ხელში თავმოყრილი იყო ვენახების დიდი ზურები და სხვა მატერიალური ფასეულობანი.

რაც შეეხება უფლისწულ რევის, მეუღლე სალომეს, რომელიც ისტორიულ წყაროებში შალომე უჯარმელის სახელით არის მოხსენიებული სომხეთის მეფე დრდატის ასული იყო და კუხეთის დაბა ბოდის ძირითადი მოსახლეობის სოჯების ტომის დედოფლადაც ითვლებოდა.

ქართლის სამეფო კარიარ ჩქარობდა შთურმით აელო წარმართული სარწმუნოების ცენტრები, ვინაიდან კუხეთში ჯერ კიდევ ძლიერი იყო სპარსეთის გავლენა, რომელიც მხარს უჭერდა წარმართული სარწმუნოების შენარჩუნებას.

ამგვარად, როგორც წყაროებიდან დავინახეთ ჯვრის აღმართვის უპირატესობა სამეფო ქალაქ უჯარმას მიაკუთვნეს და ჯვარი პატიოსანი უჯარმაში აღმართეს, რასაც მოჰყვა უჯარმის მახლობლად მეორე დიდ წარმართულ საკულტო ცენტრ კაწარეთში წმინდა ნინოს მიერ ქართული მოსახლეობის მონათვლა ქრისტიანობაზე.

როგორც პირველი წყაროებიდან ხდება ცნობილი, წმინდა ნინო

ქართლის მეფე მირიანის დაავლებით ქართლში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადების შემდეგ მთიულეთში იყო ქართული ტომებით – სოჯებით, კუხებით და ნაწილობრივ ფხოველებით. წინ ამ რეგიონს სოჯეთსაც უწოდებდნენ, რომლიდს ყველაზე ხალხმრავალ ქალაქის ტიპის დასახლებასა და ადმინისტრაციულ ცენტრსაც წარმოადგენდა დიდი დაბა ბოდი (ბოდისი), ეს ვრცელი დაბა ტერიტორიულად მოიცავდა თანამედროვე ქალაქ საგარეჯოს, გიორგიწმინდასა და ანთოკ-მარიამჯვრის ტერიტორიასაც. ეს მხარე იმდენად მჭიდროდ იყო დასახლებული, რომ უბან-უბან დასახლებული მოსახლეობა რამდენიმე სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ქალაქის ტიპის დასახლება დაბა ბოდი რამდენიმე კილომეტრიც რადიუსზე იყო გადაჭიმული და ეს დიდი დასახლება იყო უდიდესი წარმართული სატაძრო ცენტრიც, სადაც მდებარეობდა მთელი იბერიისა და (ქართლის) და კავკასიის ალბანეთის ერთობლივ მძლავრი წარმართულ კერპთაყვანისმცემელთა – მთვარის დიდი სალოცავი. სადაც ადამიანიც შეიწირებოდა და დიდი დღეობა იმართებოდა ყოველი წლის 14 იანვარს.

ამ საკერპო, მთვარის სალოცავში დამედგომით ჩამოდიოდნენ, როგორც იბერიის (ქართლის წარმართი მლოცველები), ისე ალბანეთის, ჰერეთის, რანის, კუხეთისა და მათი მოსაზღვრე მოსახლეობის დიდი ჯგუფები, რომლებიც საზეიმოდ ესწრებოდნენ ადამიანების მსხვერპლთშეწირვებს.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, სწავლული ბერძენი მოგზაური და გეოგრაფოსი სტრაბონი საინტერესო ცნობებს გვაწვდის იბერიელთა და ალბანელთა სარწმუნოებისა და ადათ წესების ერთობლიობის შესახებ. აი, რას ვკითხულობთ სტრაბონის „გეოგრაფიის“ მეთერთმეტე წიგნში (თავი IV, მე-7 მუხლი): „იბერიის მახლობლად მდებარეობს მთვარის ტაძარი, სადაც ამ ტაძრის მთავარი ქურუმის მოვალეობას ასრულებს მეფის შემდეგ ყველაზე პატივცემული კაცი, იგი არის დიდი და მჭიდროდ დასახლებული წმინდა მამულის მფლობელი და იგივე განაგებს ტაძრის მონებსაც, რომელთაგან მრავალნი ქადაგად არიან დაცემულნი და წინასწარმეტყველებენ, სამსხვერპლოდ შეთქმულ ადამიანს, მირონს სცხებენ და სხვა საღმთოებთან ერთად მსხვერპლად სწირავდენ (იხ სტრაბონის „გეოგრაფია“ წიგნი II).

ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ მთვარის კულტისადმი თაყვანისცემა ქრისტიანობის ხანაშიც იქცა წმინდა გიორგის დღესასწაულად. იგი წერს: „თეთრი გიორგის“ ხატობის წვეულება მთვარის ძველი წარმართობის დრიონდელი დღესასწაულის ნაშთიაო (ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, 1960წ. გვ. 53).

თუ აქსიომად მივიღებთ სტრაბონის თხზულებაში აღწერილი მთვარის დიდ ტაძარს, იბერია-ალბანეთის საზიარო საზღვრის მახლობლად,



I საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაშინდელი იბერიის (ქართლის) სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი სადაც ახლანდელი საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე გადიოდა, მაგრამ 298 წლის ნიზიბინის ზავის მიხედვით, მთელი ჰერეთიც, რანის საერისთაოს ჩათვლით და სომხეთის მთელი ტერიტორიით იბერიის იურისდიქციაში გადადიოდა, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდა IV საუკუნის დასაწყისისთვის, როცა მთელ მაშინდელ ახლობელ აღმოსავლეთში სპარსეთის პოლიტიკური გავლენა შესუსტდა, ხოლო აღმოსავლეთ რომის ინტერესები მგანმტკიცდა. როგორც მაშინდელი ქართული პირველწყაროები გვაუწყებენ, მოციქულთა სწორმა წმინდა ნინომ კუხეთის დაბა ბოდში ჩამოსვლისთანავე სოჯთა დედოფალ სალომე უჯარმელის და მისი სეფექალების დახმარებით წმინდა ნინოს ხელი შეეწყო გადაელახა ის დიდი წინააღმდეგობანი, რასაც უქმნიდა დიდი ბოდის მთვარის დიდ ტაძარში გაბატონებული წარმართული ოპოზიცია-ქურუმთა სახით.

წმინდა ნინომ სალომე უჯარმელის დახმარებით შეძლო წარმართული კერპების მსხვერვეა და მოსანათლი ხალხის შემზადება ნათელღებისათვის.

კუხეთის დაბა ბოდის და მისი მიმდებარე სოფლების მოსახლეობა შედარებით იოლად, დიდი წინააღმდეგობის გარეშე მოინათლნენ, მაგრამ წმინდა ნინომ ველარ შეძლო რანში გამგზავრება და მეფე მირიანის სიძის ფრონის გაქრისტიანება, თავისი ქვეშევრდომებიანად. წმინდა ნინო ბოდში დასწავლდა და უეცრად გარდაიცვალა. მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ ვერ შეძლეს წმინდა ნინოს მცხეთაში გადაყვანა და წმინდა ნინოს ანდერძი-თხოვნის შესაბამისად აქვე კუხეთის მთავარ დიდ დაბის მიწას მიაბარეს მისი ნეშტი.

წმინდა ნინოს ღვაწლი უაღრესად დიდი იყო ქართველი ხალხისა და საქართველოს ისტორიაში. წმინდა ნინოს სახელის უკვდავსაყოფად კუხეთის ქალაქის ტიპის დიდ დაბას ბოდეს (ბოდავს) მეფე მირიანის ბრძანებით წმინდა ნინოს დაკრძალვისთანავე გადაერქვა სახელი და IV საუკუნეშივე ეწოდა ნინოწმინდა. აქვე დაარსდა წმინდა ნინოს სახელობის პირველი საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსად აღსაყრდა იაკობი, წმინდა ნინოს თანამგზავრი და ქართველთა უპირველესი მოძღვარი.

თვითონ მეფე მირიანმა დიდად დააფასა წმინდა ნინოს ღვაწლი და მის საფლავზე აღაშენა წმინდა ნინოს სახელობის პირველი ქრისტიანული ეკლესია, რასაც ადასტურებენ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების მაუწყებელი პირველწყაროები „მოქცევაი ქართლისაი“ და დედა ისტორია „ქართლის ცხოვრება“.

წმინდა ნინოს ღვაწლი ასევე დიდად დააფასა მის მიერ ნათელცემულმა ქართველმა ხალხმა, ხოლო წმინდა ნინოს თანამედროვეებმა და თანა-

მოაზრებებმა სალომე უჯარმელმა და პეროჟავრ სივნიელმა მომაკვდავ მოციქულთა სწორის ბაგეთაგან ნაამბობი საინტერესო ცხოვრება ეტრატზე ჩაიწერეს და ქართველ ხალხს შემოუნახეს მისი საინტერესო ცხოვრების დაწვრილებითი ეპიზოდები. „მოქცევაი ქართლისაის“ გახდა პირველი ქართული წიგნი და პირველი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამების“ შექმნის ერთი საუკუნის წინ შეიქმნა კუხეთის დიდებული დაბა ბოდის-ნინოწმინდაში, რომელიც კანონიერად ითვლება პირველ ქართულ სამწიგნობრო ცენტრად.

მაინც სად განისვენებს წმინდა ნინოს ნეშტი?

წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის მეცნიერული დადგენისათვის აუარებელმა საარქივო და მეცნიერულმა გამოკვლევებმა მოიყარა თავი. მიუხედავად ამისა დღემდე გადაუწყვეტელია, როგორც წმინდა ნინოს სამისიონერო (ქრისტიანობის) მოღვაწეობის ბოლო წლების გეოგრაფიული ადგილი, ისე მისი სამარხის იდუმალებით მოცული გარემო. აღრეულია და მის მეცნიერულ დაზუსტებას მოითხოვს წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ბოლო პუნქტის ბოდისა და ბოდის იდენტურობის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 20-იან წლებში ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა სერგის კაკაბაძემ გამოიკვლია და დაადგინა, რომ წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობა დასრულდა კუხეთის დაბა ბოდში და არა ქიზიყის (კამბეჩოვანის) სოფელ ბოდბეში და, რომ თვითონ წმინდა ნინოს ანდერძის მიხედვით და თვით ქართლის მეფე მირიანის თანხმობისა და დასტურით წმინდა ნინოს ნეშტი დაკრძალულია იმავე კუხეთის დაბა ბოდში (ბოდისში), დიდი ისტორიული გაუგებრობით კვლავ უგულველყოფილია ისტორიული სინამდვილე და წმინდა ნინოს სამარხად დასახელებულია სიღნაღის რაიონის სოფელი ბოდბე, აქვეა მოწყობილი წმინდა ნინოს იმიტირებული სამარხი და მოწყობილია წმინდა ნინოს, ასევე იმიტირებული კეთილმოწყობილი მემორიალური მუზეუმი და მომლოცველთა საყურადღებოდ „წმინდა ნინოს წყაროც“.

ჩემს მიერ ამ ნარკვევის პირველ ნაწილში თვალნათლივ მაქვს დასაბუთებული, რომ ბოდი და ბოდბე სულ სხვადასხვა ტოპონიმებია და გეოგრაფიულად სულ ცოტა 100 კილომეტრით მაინც არიან დაცილებულნი ერთმანეთისაგან. კუხეთის დიდი დაბა ბოდი უჯარმის მახლობლად დიდი, ქალაქის ტიპის დაბა იყო და აქ დაასრულა თავისი სიცოცხლის ბოლო დღეები მოციქულთა სწორმა წმ. ნინომ და აქვე დაიკრძალა.

დაბა ბოდს წმინდა ნინოს დაკრძალვისთანავე მეფე მირიანის წინადადებით, წმინდა ნინოს სახელის უკვდავსაყოფად დაბა ბოდს ნინოწმინდა შეარქვეს და მის სამარხზე ჯერ კიდევ მეფე მირიანის და დედოფალ ნანას

ღვაწლით ეკლესია აუშენეს, აქვე დააფუძნეს პირველი საეპისკოპოსო კათედრალი და ეპისკოპოსად დასვეს მთავარეპისკოპოსი იაკობი.

რაც შეეხება მომდევნო საუკუნეებს, ვახტანგ გორგასალმა, როცა საქართველოში დააფუძნა ქართული მართლმადიდებლური ავტოკეფალია და ჩაატარა პირველი საეკლესიო რეფორმა, მის მიერ დაარსებული 12 საეპისკოპოსო კათედრალიდან ერთ-ერთი უპირველესი საეპისკოპოსო კათედრალი ნინოწმინდის ეპარქია აქ დააარსა, „უჯარმის კარსა“ და არა ბოდბეში. გადიოდა საუკუნეები და ნინოწმინდის საეპისკოპოსო ცენტრი და ნინოწმინდელი ეპისკოპოსი უდიდეს როლს ასრულებდა საქართველოს, როგორც ქართული მოსახლეობის სულიერი აღზრდის, ასევე ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერების საქმეში.

ნინოწმინდელი ეპისკოპოსები და მიტროპოლიტები ყოველთვის გვერდში ედგნენ ქართველ მეფეებს და დიდი პატივითაც სარგებლობდნენ, ნინოწმინდელი ღმერთთაგანები ამავე დროს იყვნენ დავით-გარეჯის უდიდესი სამონასტრო კომპლექსების მაკურთხეველ-არქიმანდრიტელები იყვნენ და „სასასხლის კარის გარიგების“ რანგით სამეფო კარის სხდომებზე ყველაზე საპატიო ადგილზე ჯდომის პატივში იყვნენ. რაც შეეხება ნინოწმინდის კატედრალის ზონას, იგი თავისი გრანდიოზულობით ყოველთვის გამოირჩეოდა მთელს აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კათედრალებისაგან.

„მოქცევაი ქართლისაის“, „მატბერდის კრებულის“ მიხედვით ჩვენ დავინახეთ გამოძახილი უჯარმისა და ბოდის ურთიერთობისა, რასაც ნინოს მცხეთაში მოღვაწეობის პერიოდში ჩაეყარა საფუძველი (იხ. ჯვრების აღმართვის ეპიზოდი). ხოლო ვახტანგ გორგასალის ხანაში გამყარდა და ახალ საფეხურზე ავიდა ეს ურთიერთობა, ოღონდ, ამჟამად დაბა ბოდი გვევლინება ნინოწმინდის სახელით. თუ გავითვალისწინებთ, რომ განმანათლებელის სამარხზე აგებული ეკლესია ნინოს სახელზე იქნებოდა ნაკურთხი და მთელს დაბას ნინოს სახელს დაანათლავდა. ამ ადგილის განსაკუთრებული პატივი მეფე მირიანის ანდერძიდან მომდინარეობს და განსაზღვრა კიდევ მისი მომავალი.

„ქართლის ცხოვრებაში“, თუ რას უნდა ნიშნავდეს – „ნინოწმინდას უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღემენა“, გვეხმარება შემდეგი ცნობა ამავე ძეგლიდან: „...და უბრძანა (გორგასალმა) აღშენება უჯარმისა...“ (იხ. „ქართლის ცხოვრება, გვ. 120.) ამ კონტექსტში „უჯარმის კარს...“ სამეფო კარს უნდა ნიშნავდეს, ასე, რომ ნინოწმინდის ეპისკოპოსი ვახტანგ გორგასალის მიერ სამეფო კარის ეპისკოპოსად იქნა განწესებული. ასე იყო განწესებული საუკუნეების მანძილზე XVIII საუკუნემდე, მაგრამ მოხდა მეტად უცნაური და გაუგებელი რამ, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში წმინდა

ნინოს ნეშტი უცებ გაქრა ნინოწმინდიდან და აღმოჩნდა ქიზიყის ბოდბის საკათედრო ეკლესიაში. ჩვენი მოსაზრებით ესეც სიცრუეა. დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში და თვით საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს აღიარებითაც წმინდა ნინოს ნეშტი განისვენებს არა ნინოწმინდის საკათედრო დიდი ტაძრის ნანგრევებში, არამედ ისტორიული ბედუკუდმართობის წყალობით ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ეკლესიაში.

რა მოხდა? ნუთუ სულ ტყუილად შეიქმნა ის უძველესი ქართული დოკუმენტური საარქივო მასალები, ის ქართული ხალხური ტრადიცია და ის უზარმაზარი ლიტერატურა, რითაც მტკიცდება, რომ მოციქულთა სწორმა წმინდა ნინომ მცხეთის შემდეგ ქრისტიანობა მეფე მირიანის დავალებით ქიზიყის ბოდბეში კი არ გაავრცელა, არამედ ქართლის სახელმწიფოს მაშინდელ მიმდებარე ტერიტორიაზე, მცხეთისავე მეზობელ კუხეთის პროვინციაში ქალაქ უჯარმის მეზობლად დაბა კაწარეთში (სოფელი ხაშმის მახლობლად), დაბა ქველ-დაბაში (გომბორის გადასასვლელთან), კუხეთის ადმინისტრაციულ ცენტრში, დიდ დაბა ბოდში, აქ დასნეულდა და აქვე სოჯთა დედოფალ სალომე უჯარმელისა და მისი მეუღლის უფლისწულ რევის ხელში დალია სული. მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ღვაწლით წმინდა ნინოს ანდერძის თანახმად მისი ნეშტი მიაბარეს დაბა ბოდის მიწას და მის საფლავს ზედ დაადგეს ეკლესია, ხოლო წმინდა ნინოს დიდი დამსახურებისა და მისი სახელის უკვდავსაყოფად დააბაბა ბოდს სახელი გადაარქვეს და ნინოწმინდა უწოდეს., ხოლო V საუკუნის 50-იან წლებში ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალმა ქართლის სახელმწიფოში შექმნა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია, მოახდინა საეკლესიო რეფორმა და შექმნა 12 საეპისკოპოსო კათედრალი, რომელთაგან ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ნინოწმინდის უდიდესი საეპისკოპოსო კათედრალი უჯარმის კარის მახლობლად წმინდა ნინოს საფლავზე ააშენა დიდი ტაძარი და დასვა მთავარეპისკოპოზი, რომელსაც ერთ-ერთი უპირატესი პატივი მიანიჭა სამეფო კარის სხდომებზე დასწრებისა.

მიუხედავად იმისა, არსებული ქართული პირველწყაროები და ჩვენი დედა ისტორია „ქართლის ცხოვრება“ უტყუარად, გასაგები ქართული ენა თვალნათლივ და უპირობოდ ამტკიცებს წმინდა ნინოს ნინოწმინდაში დაკრძალვის ფაქტს. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, ქართული ენციკლოპედია და ქართველ ისტორიკოსთა დიდი ჯგუფი წმინდა ნინოს ნეშტის დასაფლავების ადგილად ბოდბის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ეკლესიას აცხადებს და არა ნინოწმინდას. მესწავლული ისტორიკოსი თითქმის 60 წელზე მეტია ვიკვლევ წმინდა ნინოდ სამისიონერო მოღვაწეობის

თვითეულ ნატერფალს, ერთხელ კიდევ, ჩემი 86 წლის ცხოვრების მანძილზე მივაქცევ ქართველი საზოგადოებრიობის და პირველ რიგში საგარეჯოს რაიონის პატრიოტების ყურადღებას, რომ პატივი მივაგოთ ჩვენს უდიდეს ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას, სათანადო ადგილი მიჩინოთ საქართველოს ისტორიაში ნინოწმინდას და წმინდა ნინოს ნეშტს.

დავიწყოთ იმით, თუ საიდან მომდინარეობს ეს გაუგონარი ისტორიული სიცრუე, თუ სამარცხვინო ცთომილება. ჩვენდა სამწუხაროდ ამ დიდი ისტორიული ცთომილების სათავეში დგას საქართველოს დიდი მეისტორიე ვახუშტი ბატონიშვილი.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში ერთგან ას ეწერს ნინოს გარდაცვალების ადგილისა და დაკრძალვის შესახებ: „ხოლო ინება მეფემან მიღება მისი მცხეთას, არამედ ვინაითგან ეთქუ, წმიდასა ნინოს მუნ დაფლვა თვისისა სიმდაბლისათვის დაფლეს დაბასა ჰერეთისასა ბოდას,“ ამ შრომის სქოლიოში კი ვახუშტი ამბობს, „ქართლის ცხოვრებაში“ სხვა სწერიაო“.

ახლა ვნახოთ რას ნიშნავს ვახუშტის სხვა ადგილას, რას ამბობს თავის „ქართლის ცხოვრებაში:

„...ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბის ხევი, პირველ-წოდებულ ბოდა, გამომდინარე ცივის მთისა, მოდის ჩრდილოეთიდან სამხრით და ვერ მდინარებს ველსა ზედა სიმცირით, ამ ხევისა ზედა არს ბოდბის ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი შეენიერი, აქ მიიცვალა წმინდა ნინო და დაეფლა იქვე. აღაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია კე\* მეფემან ბაქარ...“ („ქართლის ცხოვრება“ IV ტომი, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973 წ. გვ. 541-542).

\*ქარაგმა „კე“ ციფრებში გადაყვანით ნიშნავს 25-ს ე.ი. ბაქარი ყოფილა 25-ე მეფე როგორც ვხედავთ ვახუშტი ბატონიშვილს „ქართლის ცხოვრების“ მემატთანე ლეონტი მროველის ცნობა – წმინდა ნინოს გარდაცვალების ადგილი... კუხეთის დიდი დაბა ბოდი“, თავისი „ქართლის ცხოვრების“ IV ტომში ჰერეტიცს ტერიტორიაზე, ხორნაბუჯის დასავლეთით, ბოდბის ხევის პირველწოდებულ ბოდად მიუღია, სადაც ვახუშტის მტკიცებით „...არს ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, შეენიერი“, აქ მიიცვალაო წმ. ნინო“ – ამბობს ვახუშტი ბატონიშვილი.

მე პირადად ამ ნარკვევის ავტორს, რამდენჯერმე მაქვს ნახული ბოდბის ეკლესია და ვამტკიცებ, რომ ეს ეკლესია არც „დიდშენი“ არც „გუმბათიანი“ და არც „შეენიერია“, იგი ვერაფრით შეედრება ნინოწმინდის გრანდიოზულ სამონასტრო კომპლექსს. როგორც ჩანს დიდ მეისტორიეს ვახუშტი ბატონიშვილს თავისი თვალთ არ უნახავს ბოდბის ეკლესია, თორემ ასეთ ლაფსუსს არ დაუშვებდა.

თუ როგორ გამოიყენეს ვახუშტის



უნებლიე შეცდომა და როგორ გახადეს ქიზიყის ბოღბე წმინდა ნინოს სამარხად, ამას სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს:

დიდი ისტორიკოსის ცდომილების ცოდო მისი შრომების გადამწერის დავით ინაშვილის კისერზეა, რომელმაც ვახუშტის შრომების გადაწერისას 1816 წელს თავისებური „შესწორება“ შეიტანა და ასე „შეასწორა“ მისი შრომა: „ამ ხევისა ზედა (ლაპარაკია ბოღბის ხეზე ა.ე.) არს დაბა დიდი ბოღბე, პირველწოდებული ბოღა. ამ ხევის ჩრდილოეთით და ბოღბეს აღმოსავლეთით არს ეკლესია წმინდა გიორგისა, უგუმბათო, კეთილ-მშვენიერი, აქ მიიცვალა წმინდა ნინო და დაფლულ არს იქვე (ვახუშტი, გვ. 542. სქოლიო).

წმინდა გიორგის სახელობის ბოღბის ეკლესიას აკადემიკოსი გიორგი ჩუბინაშვილიც VI საუკუნით ათარიღებს (იხ. „არხიტექტურა კახეთი“ გვ. 84 და ამასთან წმინდა ნინოს ეკლესიად მიიჩნევს. წმინდა გიორგის სახელობის გარემოებაც, გასათვალისწინებელია რომ ბოღბის საკათედრო ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა, იმაზე მიუთითებს, რომ წმინდა ნინოს გადმოსვენების მითი უფრო გვიან უნდა მომხდარიყო. ამ შემთხვევაში საყურადღებოა აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის მიერ შემონახული ერთი საინტერესო გადმოცემა. ბოღბის ქალთა მონასტრის 90 წლის იღუმენიას გასული XIX საუკუნის ბოლოს აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილისათვის მოუყვლია, რომ ვინმე მღვდელს თავის მხრივ ამ იღუმენიასათვის მოუყვლია, რომ წმინდა ნინოს ნეშტის გადმოსვენების ამბავი ნინოწმინდიდან ბოღბეში, რაც XVIII საუკუნის 40-იან წლებში მომხდარა ვითომ ეს გადმოსვენება. თუ ეს ვერსია სინამდვილეს სეეფურება, ამ ფაქტს ხომ მაშინდელი ნინოწმინდელი მღვდელმსახურებიც დაფიქსირებდნენ?

მე, როგორც განათლებითა და მოწოდებითაც ისტორიკოსი 60 წელზე მეტია დაინტერესებული ვარ და ვიკვლევ წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანობის გავრცელების საკითხებს ისტორიულ პროვინცია კუხეთში (ახლანდელ საგარეჯოს რაიონში) და ერთმანეთში არ მერევა კუხეთი და ჰერეთიც, შეუსწავლელი არ დამრჩენია არც ერთი მტკაველი მიწა, სოფელი, ნასოფლარი, თუ რაიმე ისტორიული ძეგლი, ამიტომ ვერსად ვერ ვიპოვე წმინდა ნინოს ნეშტის ნინოწმინდიდან ქიზიყის ბოღბეში გადასვენების აუცილებლობის ფაქტი. ვითომ ლეკიანობის საშიშროებით იყო ნაკარნახევი წმინდა ნინოს ნეშტის გადასვენება ბოღბეში. კრიტიკას ვერ უძლებს „ლეკიანობა ქიზიყში“ უფრო საშიში ფორმით მიმდინარეობდა, ვინაიდან ბოღბე უფრო ახლოს იყო დაღესტანთან, ვიდრე ნინოწმინდა.

კიდევ ერთი ვერსია ჩავიწერე ბოღბეში წმინდა ნინოს გარდაცვალებისა და დაკრძალვის გამართლების მცდარი ვერსიის შესახებ.



ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში გადმოძვეს ნინოწმინდის უკანასკნელი მოძღვრის, დეკანოზ ალექსი გულისაშვილის ნაამბობი, რომელიც აბსურდს უწოდებდა ნინოწმინდიდან ბოღბეში წმინდა ნინოს გადასვენების ფაქტს. ეს ფაქტი გოგლა ლეონიძისაგან მსმენია.

წმინდა ნინო რომ ბოღბეში ყოფილიყო დაკრძალული, ბოღბეში VI საუკუნეში აშენებული საკათედრო სამნავიანი ბაზილიკა წმინდა გიორგის სახელზე კი არ იქნებოდა აშენებული, არამედ წმინდა ნინოს სახელზე. მითი წმინდა ნინოს ბოღბეში გადასვენების შესახებ მას შემდეგ გავრცელდა, რაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ბოღბეში დაარსდა წმინდა ნინოს სახელობის კეთილმოწყობილი ქალთა სასწავლებელი-პანსიონატი რუსულ ენაზე და ამ სასწავლებელ პანსიონატის მზრუნველ მეურვედ (ახლანდელი გაგებით მენეჯრად თავადის ქალი ნინო ვაჩნაძე დასვეს. ამ თავადის ქალს შეუქმნია ვერსია წმინდა ნინოს ბოღბეში გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ. მომხრე თანამძრახველებიც გვერდში ამოსდგომიან, ადგილიც შეურჩევიათ მისი სამარხის იმიტაციისათვის, სადღაც შეუგროვებიათ ადამიანის ძვლები და იმიტირებული სამარხი შეუქმნიათ წმინდა ნინოს სახელზე.

რაც შეეხება უძველეს კახეთის დაბა ბოღში (ბოღისში) აშენებულ გრანდიოზულ ჯვრის ტიპის ტაძარს, იგი თავისი ასაკით უფრო უხნესია, ვიდრე ბოღბის კათედრალი. რაც შეეხება ნინოწმინდის კათედრალს, მას თავისი ბედუკუდმართობა თავიდანვე დაჰყვა, იგი მრავალჯერ იქნა იავარქმნილი და დანგრეული, ჯერ ხაზარებისა და კიმერიელ-ალანების (ოსების) მიერ, შემდეგ სპარსელების, არაბების, თურქსელჩუკების, ხვარაზმელების, თურქ-მონღოლების, თემურლენგების, შაჰ-აბასების და სხვათა მიერ. ათასჯერვე იქნა მკვდრეთით აღდგენილი და დამშვენებული ქართველ მეფეთა მიერ, მაგრამ არც ბუნების სტიქიას დაუკვლია ხელი. 1824 და 1848 წლებში ძლიერმა მიწისძვრებმა, რომელსაც ცუნამის მსგავსი ქარიშხლები და კოკისპირული წარღვნაც მოჰყვა. რაც შეეხება ნინოწმინდის ძირძველ მოსახლეობას, ისიც მრავალჯერ იქნა ფიზიკურად განადგურებული. სხვას რომ თავი დაუვანებოთ, მარტო შაჰ-აბასმა მთელი ნინოწმინდის მოსახლეობა 1616 წელს პირწმინდად ირანში, ფერეიდანში გადაასახლა, რომელთა შთამომავლობა ახლაც იქ ცხოვრობენ და ნინოწმინდას სპარსულად ქუდუბანაქს უწოდებენ (იხ. დ. შარაშიძე „ფერეიდნელი გურჯები“ გვ. 116).

ნინოწმინდის მონასტერმა არანაკლები ნგრევა განიცადა საბჭოთა ათეიზმის პერიოდში. XX საუკუნის 30-40-იან წლებში ნინოწმინდის დიდ ოთხსართულიან სამრეკლოს ჯერ ჯვარი მოაძრეს, მერე კი მისი ნახევარტონი-ანი სპილენძის დიდი ზარი გუმბათიდან ძირს ჩამოაგდეს და ჯართში ჩააბარეს, მერე მისი წიგნთსაცავი და არქივი გადაწვეს

და ვისღა გაახსენდებოდა წმინდა ნინოს სამარხი?

1966 წლის გაზაფხულზე დიდი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გოგლა ლეონიძის ინიციატივით ნინოწმინდაში საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალი მოვაწყო, მაგრამ იგი გოგლა ლეონიძის გარდაცვალებისთანავე გაუქმდა, ხოლო იქ მიტანილი ექსპონატები უკვალოდ გაქრა.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ნინოწმინდის ტაძრის კომპლექსში ჩაატარა სარესტავრაციო სამუშაოები, ხოლო მომდევნო წლებში საქართველოს საპატრიარქომ თავის 2003 წლის 18 აგვისტოს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა სინოდმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია-II-ის ლოცვა-კურთხევით აღადგინა ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრა და ნინოწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხა დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსების წინამძღვარი, არქიმანდრიტი მეუფე ლუკა ლომიძე.



### წმინდა ნინოს ჯვარი ვაზისა



თბილისიდან საგარეჯოსკენ მიმავალ მგზავრებს ორმოციოდე კილომეტრში აუცილებლად მოსტაცებს თვალს უღამაზესი ციხე-კოშკებით დამშვენებული ნინოწმინდის გრანდიოზული სამონასტრო კომპლექსის ნაგებობანი, რომელიც ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა

სწორის წმინდა ნინოს სახელს ატარებს.

ამ მადლმოსილ, წმინდა მიწაში დედა ისტორია „ქართლის ცხოვრებისა“ და უძველესი მატრიანე „მოქცევაი ქართლისაის“ წყაროების ცნობით 335 წელს აქ დაასრულა თავისი მისიონერული მოღვაწეობა და აქვე დაასრულა სიცოცხლე მოციქულთა სწორმა, თავისივე ანდერძით აქვე დაიკრძალა წმინდა ნინო. მაშინ, ამ დიდებულ ქალაქის ტიპისდაბას ზემოთ დასახელებული ისტორიული წყაროების გადმოცემის „კუხეთის დიდი დაბა ბოდი“ ერქვა მაგრამ წმინდა ნინოს გარდაცვალებისა და წმინდა მიწაში მისი დაკრძალვის დღიდან ქართლის, (საქართველოს) მაშინდელი მეფის მირიანის ბრძანებით წმინდა ნინოს სახელის სამარადისო უკვდავებისათვის ისტორიულ ბოდს სახელი შეეცვალა და ნინოწმინდა ეწოდა, ხოლო წმინდა ნინოს საფლავზე მეფე მირიანის მიერ ქრისტიანული პირველი ეკლესია აიგო.

მას შემდეგ 16 საუკუნეზე მეტი გავიდა. საქართველომ და ნინოწმინდამაც მრავალი ჭირვარამი გადაიტანა. თექვსმეტჯერ დაინგრა და თექვსმეტჯერვე აღორძინდა ნინოწმინდის წმინდა

მიწა, მაგრამ დღეს კვლავ ძალუმად გაისმის ზარების რეკვა. წირვა-ლოცვა და წმინდა ნინოს ვაზის ჯვრით მონათლულ ნინოწმინდელთა შთამომავალნი პატივს მიაგებენ მის ხსოვნას.

ნინოწმინდაში დღეს იესო ქრისტეს მოძრვრებას ქადაგებენ. აქ არსებული ნინოწმინდის საეპისკოპოსო კატედრალის მღვდელთმსახურები მთავარეპისკოპოს მეუფე ლუკას და აქვე არსებული წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის მსახურნი.

ნინოწმინდის წმინდა მიწას და აქ არსებულ საეპისკოპოსო კათედრალს უფალმა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში დიდი მისია დააკისრა, ქრისტიანული ცივილიზაციის დაცვისა და განვითარება-გავრცობის საქმეში. ნინოწმინდის ეპარქიის იურიდიქციაში შედიოდა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში უდიდესი ქრისტიანული სავანეები. VI საუკუნეში მამა დავითის (შემდგომში დავით გარეჯელის) მიერ შექმნილი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომლის წინამძღვრების მაკურთხევლები და არქიმანდრიტელები იყვნენ ნინოწმინდელი ეპისკოპოსები.

თუ რა პატივს მიაგებდნენ ნინოწმინდელები წმინდა ნინოს ხსოვნას და მისი მოძღვრების ძლევა მოსილებას, ამას ქვემოთ დავინახავთ. წმინდა ნინოს შემოსვლას მცხეთაში ძველი წყაროების მიხედვით 313 წელს მიიხნევენ. როგორც ვარაუდობენ რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა მილანის ედიქტით, რაც ქრისტიანულთა დევნას კრძალავდა, დამათმფარველობას გულისხმობდა,

ასევე 363 წელს მოხდა მის მიერ ზეცად ჯვრის ხილვაც, რაც სახარებასთან ერთად ჯვრის ქადაგების დასაწყისსაც მოასწავებდა. ამ პერიოდში მთელს რომის იმპერიაში მოხდა ქრისტიანობის ლეგალიზაცია.

მართალია ქართლში, მცხეთაში მოსვლის დროს წარმართული კერპთაყვანისმცემლობა და მასთან ერთადმ აზღვიანობა გაციისა და გაიმის ღმერთები კრძალავდნენ ქრისტიანობას, მაგრამ ქართლისა და სომხეთის სამეფოები სპარსეთსა და რომს შორის დადებული 298 წლის ნიზიზის ზავით სპარსეთის გავლენის სფეროებს აღარ წარმოადგენდნენ, რის გამოც ქრისტიანობა ისე მკაცრად აღარ იდევნებოდა.

წმინდა ნინო სამ წელს მცხეთაში მალულად ცხოვრობდა „მაყვლოვანში“ და გარულად ეწეოდა ქრისტეს მცნების პროპაგანდას ვაზის ჯვრით ხელში. წმინდა ნინოსთვის მცხეთის „მაყვლოვანში“ მოღვაწეობა ერთგვარ სულიერ განსაწმენდელსაც წარმოადგენდა, აქ იყო მისი „ტაძარიც“, სადაც სასწაულებს ახდენდა, ქრისტეს მცნებაზე გადმოჰყავდა წარმართი მცხეთელები.

სასწაულმოქმედი ვაზის ნასხლავისგან გაკეთებული „ჯვარი ვაზისა“ წმინდა ნინოს ხელში დიდ საიდუმლო ძალასაც წარმოადგენდა. ვაზი ხომ წმინდა მცენარეა და ნინოს ხელში დიდ შემეცნების ძალად იქცეოდა, მასებში ქრისტეს მცნების შესათვისებლად.

როცა ქრისტიანობა მომძლავრდა, და მცხეთაში სახელმწიფო აღიარება ჰპოვა, იმ ადგილზე სადაც ადრე ორი ჯვარი აღმობრწყინდა, არაგვის პირას მაღალ გორაკზე პირველი ჯვრის ტიპის ეკლესია აშენდა, ნინოწმიდაშიც VI საუკუნეში წმინდა ნინოს საფლავზედაც ჯვრის ტიპის გრანდიოზული ტეტრაქონქი აშენდა. ქართველების მიერ იერუსალიმში V საუკუნის მეორე ნახევარშიც ვახტანგ გორგასალის მიერ ჯვრის ტიპის მონასტერი აშენდა, რაც იმას ადასტურებს, რომ „ჯვარი ვაზისა“ არქიტექტურულ აუცილებლობად იქცა ქრისტიანულ ხელოვნებაში. წმინდა ნინოს ვაზის ჯვრის მისტერია, ანუ საიდუმლო უპირველეს ყოვლისა ვაზის, როგორც მცენარეული კულტურის იმ თავისებურებებში მდგომარეობს, რაც მას ბუნების ერთ-ერთ შედევრად წარმოაჩენს.

„ვაზის ჯვრის“ მისტერია, ანუ საიდუმლო კლასიკურად წარმოაჩინა და გადმოხატა კოსმოსური ველის (ჯვრის ფენომენის) ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რასაც სიცოცხლე და აღდგომა შემოაქვს ხილულ სამყაროში. ჯვრის ფენომენი, რასაც კოსმოსის ფენომენი შეიძლება ვუწოდოთ, ასახულია ძველ ებრაულ სიმბოლოში, ექვსქიმიანი ვარსკვლავის სახით, რაც ორი სამკუთხედის კომბინაციაა და, ჩვენი აზრით, გარკვეულ პერიოდში კოსმოსში მზე, დედამიწა მთვარის სამკუთხოვან განლაგებას უკავშირდება, სადაც მთვარის ორსახოვნება, მისი ძველი და ახალი სახით ამ სამკუთხედის ორი ვარიანტის საფუძველს წარ-

მოადგენს.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში სამკუთხედის ეს უძველესი ტრადიცია დადასტურებულია და იგი წმინდა სამების იკონოგრაფიულ გამოსახვას უკავშირდება, რომლის შუაგულში ყოვლისმხილველი თვალია ჩახატული.

როგორც მიტროპოლიტეოფილი, ჩვენი დიდი თანამემამულე ბიძინა კერატიშვილი გადმოგვცემს ზემოთმოყვანილ ნარკვევში „კოსმოსური ფაქტიარის წარმოჩენამა და სხვა მსგავს საკითხებზე მორწმუნე მკითხველი არ უნდა დააბნოს. სოფლიოს მრავალი ახალი და ძველი რელიგია თავისი „ვიზუალური მხარის“ წარმოჩენაში მეტწილად კოსმოსურ სინამდვილეზე იყო ორიენტირებული, ხოლო ამ შემთხვევაში ქრისტიანული ეკლესია ამ გზით უფრო მისაწვდომს და აღსაქმელს ხდიდ ადამიანებისათვის უხილავი ღმერთის სიღრმეს, სიბრძნესა და სიდიადეს...

უკვე ვთქვით, რომ აღდგომა საეკლესიო კალენდარში მთვარის კალენდრის პრინციპზეა ორიენტირებული, ხოლო აღდგომიდან სულთმოფენობამდე ეს მთელი სააღდგომო და ასტრონომიული ციკლია, რომელიც 50 დღეს (ანუ ერგასს) გრძელდება – ასევე კოსმოსურ ფაქტორთანაა დაკავშირებული და მთელი ამ ხნის განმავლობაში მუხლმოდრეკა და მიწაზე დაჩოქება არ შეიძლება.

როგორც ძველი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, იესო ქრისტეს შობის დღე ძველად 6 იანვარს, ნათლისღებასთან ერთად იდგესასწაულებოდა, მაგრამ, როგორც ეს გადმოგვცა შესანიშნავად ბიძინა კერატიშვილმა თავის ცნობილ ნარკვევში „ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო, მისი უძველესი ქართული ხატება და ვაზის ჯვრის მისტერია“ (იხ. ზეპარტიული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 2005 წლის 25 თებერვალი – 6 მარტი, №9).

როგორც ბიძინა კერატიშვილმა წარმოგვიდგინა ნინოს „ჯვარი ვაზისა, მატერიალურად არსებული ფენომენია, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ მოიპოვება და მხოლოდ IV საუკუნის ქართლის და იმჟამად მიმდინარე პროცესების კონტექსტში იწერებოდა. მისი შემომტანი და შემომქმედი წმინდა ნინო იყო და თავად „ჯვარი ვაზისა“ ვითარცა ნივთიერი მტკიცება ამ წმინდანისა – როგორც ისტორიული პიროვნებისა და მისტიკოს-განმანათლებლისა, არსებობის ერთ-ერთი უტყუარი დადასტურებაა.

როგორც ზემოთ მოვისხენიეთ ვაზში მისი სიცოცხლის უდიდესი ძალა და ენერჯიაა განვითარებული, მას აქვს უფაქიზესი მგრძნობელობა და ბიოლოგიური ველი, რომელსაც ვერცერთი მცენარე ვერ შეედრება. იგი იმ მცენარეთა რიგს ეკუთვნის, რომელიც უფესვოდ, ნასხლავის სახით ირგვება და ისე მრავლდება. ამ მცენარეს უძველესი დროიდან გარკვეული წესების დაცვით მიწაში წყლის მოპოვების საშუალებადაც იყენებდნენ.

ადამიანების დაკვირვებით, ზოგადად ჯვრის ფენომენი გამოიხატება იმიტაც, რომ ვერტიკალისა და

ჰორიზონტალურის გადაკვეთაში გამოიხატება პირველი და ყველაზე მარტივი ფიზიკური მდგომარეობა (ჯვარედინი გადაკვეთა). რაშიც ღვთის ძალა, ანუ ღვთის ძლიერება ვლინდება. ქრისტიანული ჯვრის ეს ფენომენი, რომელსაც ცხოველმყოფელი ეწოდება ძველ ქართულ ტექსტებში, კოსმოსის სინამდვილეში, გაზაფხულზე, მთვარის ძველ ფაზაში ყოფნისას ვლინდება, როცა უძველესი ხალხების და მათ შორის ქართველების რწმენით სიცოცხლის ძალაა მოზღვავებული და ხეხილის გასხვლა და გადარგვა შეიძლება.

მუსლიმანთა მთავარი სიმბოლო (ნახევარ-მთვარე ძველ ფაზაში) და ქრისტიანული ჯვრის ქვეშნახევარსფეროს გამოსახვის ტრადიცია, რასაც არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით, იმ ფენომენს უნდა უკავშირდებოდეს.

იკეის 325 წლის დადგენილებით, „ღღესასწაულთა ღღესასწაული“ აღდგომა, მხოლოდ გაზაფხულის მთვარის შევსების შემდგომ პირველსავე კვირას უნდა იღღესასწაულებოდეს. ამ დადგენილებაში მთელი სიღრმით და სიზუსტითაა ასახული იმ დროის სწავლულთა გამოკვლევებით, რის თანახმადაც შობა 25 დეკემბერს მოხდა და იოანე ოქროპირმა ნიანვრიდან ამ ღღეს გადმოიტანა. ეს ღღესასწაული, სწორედ იმ ღღეს, როდესაც მზე და დედამიწა იწყებენ ერთმანეთთან დაახლოებას. მზე მეტ სინათლეს უგზავნის დედამიწას, დღის ხანგრძლივობა მატულობს, ხოლო ღამისა კლებულობს და ქვეყანას ეფინება სიცოცხლე და სიხარული“ ამიტომ შობის ტროპარში ქრისტეს „მზე სიმართლისა“ და ნათელი მეცნიერებისა“ ეწოდა. რაც ასეა ღღევანდლამდე და ასე იქნება მუდამ. იმდენად, ჯვარი, ის „ფიზიკური წერტილი“, ანუ მდგომარეობაა რეალობაში, რაც სივრცის „გაღებას“, „გახსნას“ ახდენს და მეტაფიზიკური სივრციდან ღვთის ძალა მუდმივად შემოაქვს. ეს ძალაუძველესი ტექსტების და სხვა გამოსახულებებში „სიცოცხლის ძალად მოიაზრება, რომლის დადასტურება უნდა იყოს ადრეული ხანის, როგორც ქართული, ისე სომხურ არქიტექტურაში ფართოდ გავრცელებული დეკორის – აყვავებული ჯვრის კომპოზიციაში, რასაც ცოცხალი ჯვრის მნიშვნელობა ენიჭებოდა. ნინოს ჯვრის მისტერია, როგორც მაცოცხლებელი ჯვრის არსებობა, რომელიც ავადმყოფებს კურნავს, აღნიშნულ კონტექსტში გარკვეულ ახსნას ექვემდებარება. ხოლო თუ ღრმად გავადევნებთ თვალს ძველი აღქმისეულია არონის ღვთაებრივი ძალის მქონე კვერთხს, რომელიც გველად გადაიქცა და ძველი საეკლესიო გამოთქმით – განელდა, (იხ. გამოსვლათა, 7), ახალი აღქმისეულ ეპოქაში ეს ღვთაებრივი ძალა ცხოველმყოფელ და მაცოცხლებელ, განედლებულ ჯვარში და იგივე წმინდა ნინოს ვაზის ჯვარში-მკურნალის, მფარველის მხსნელის და ძღვევის სასწაულად ვლინდება. ქართულ სინამდვილეში დადასტურებული, განედლებული და მაცოცხლებელი ჯვარი, როგორც

მოვლენა და როგორც ფენომენი, შეიძლება ითქვას – ნინოს ვაზის ჯვარიდან იღებს სათავეს.

ქრისტიანულ სიმბოლიკაში აარონის განედლებული კვერთხი შემორჩენილი და ნაჩვენებია ეპისკოპოსის მანდილიან კვერთხზე, რომლის თავზე ორ გველს შუა ყოველთვის ჯვარია გამოსახული. (იხ. ზეპარტიული გაზეთი „ასავალ-დასავალი“ 2005 №9). საინტერესოა აგრეთვე ტერმინების „ვენახისა და „ვაზის“ ეტიმოლოგია ჩვენის გაგებით ვენახი იგივეა, რაც ხეივანი, ოღონდ ფუძეთა განადაცვლებას აქვს ადგილი და არქაულ ფორმად „ვენახი“ უნდა ვიგულისხმოთ, სადაც „ვენა“ იგივეა, რაც ძველ ქართულში „ვანი“, ანუ საჩრდილობელი („დასასვენებელი“), ხოლო ამ შემთხვევაში ხშირფოთლოვანი, ან ფოთლებით დაბურული „ხი“, ანუ ვაზე (მღრ-„მტვეანი“, სადაც „მტე“ -ძველქართულის მტილს, ბაღს უკავშირდება).

საინტერესოა ამ ტერმინის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის მეორე ვარიანტიც, ვენახი, სადაც „ვე“ სიდაბლოს (მიწის) მანიშნებელია, ხოლო „ნახი“ (შეადარ. კარდა-ნახი) სახილველის (ადგილის). ამ შემთხვევაში (გაშენებულის) და დედამიწიდან დაბალზე, ჭიგოზე, ან სარზე გაშენებული ვენახის აღმნიშვნელი, განსხვავებით მალნარი, მაღლა წასული ვაზისაგან, რასაც ხეივანი ეწოდება, ხოლო „ვა-ზი“ მიწაში ჩასმულს, ჩაყრილს, ჩარჭობილს (ამაზე „ზი“- მიანიშნებს), ანუ ჩანერგილს უნდა მიანიშნებდეს.

საინტერესო დაკვირვებას იძლევა მ. საბინინი, რომელიც მეფის სამოთხეს მცხეთაში, რაც ტრადიციულად ბაღსა და ყვავილნარს გულისხმობს, განმარტავს, როგორც ვენახს (საქართველოს სამოთხე, გვ 74)...

გარეკახურ მეტყველებაში დღემდე შემორჩენილია ღვინის სახელწოდების უძველესი ფორმა „ნუნუა“, რაც წარმართულ ღვთაებათა პანთეონიდან ერთ-ერთი ღვთაების სახელთან და ვაზის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ვაზსა და ვენახთან შემდგომი პერიოდის უძველესი ქრისტიანული ჰიმნები და საგალობლები მრავლადაა დაკავშირებული. გავიხსენოთ მეფე დემეტრეს იამბიკო „შენ ხარ ვენახი“, ახლად აყვავებული, რომელიც ღვთისმშობელს მიუძღვნა მეფემ და ხალხური გადმოცემის ტრადიციით ეს იამბიკო მეფე დემეტრემ ნინოწმინდაში დაწერა. ვენახის მისტიკური აღქმა და არა, როგორც ალევორია თავად მაცხოვრიდან, იესო ქრისტედან მოდის, როცა თავის თავზე ამბობს:

„მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და მამაი ჩემი მოქმედი არს (იოანე.15, 1), ხოლო მას შემდეგ, რაც იესო ქრისტემ კანას გალილეისას წყალი ღვინოდ შეცვალა, თავისი ჯვარცმის წინ საიდუმლო სერობაზე შეკრებილ თავის მოციქულებთან – უდიდეს ლიტურგიულ მისტერიას დაუდო სათავე, როცა პური მის ხორცად, ხოლო ღვინო მის სისხლად გამოაცხადა, რომელთა მიღებით ადამიანები ცოდვებისაგან განიწმინდებიან.

წმინდა ნინოს დამოკიდებულება ვაზთან და მისი ნასხლევისაგან შექმნილი ჯვრისადამი ერთდროულად არის მისტიკური და ემპირიული, ვინაიდან იქ, სადაც ცდა მთავრდება (საგნის მპირიული შემეცნება), იქ იწყება მისტიკია. როგორც წყაროები გადმოგვცემენ, ვაზის ჯვარი ნინომ ღვთისმშობლისაგან გამოცხადებით მიიღო და ამის შემდეგ მცხეთის მაყვლოვანში შექმნა იგი და შეკრა საკუთარი თმით. მაყვლოვანში თავისი სასწაულმოქმედი ვაზის ჯვრით განკურნა ნინომ დედოფალი ნანა.

დედოფლის სახელი „ნანა“ რომელიც ეტიმოლოგიურად ნინოს უკავშირდება წმინდა ნინოს პატივსაცემად უნდა დარქმეოდა ეს სახელი და ამ სახელით შემორჩა ისტორიას, შემდგომი საუკუნეების ისტორიულ წყაროებს. ქალის სახელი „ნანა“ წარმართული პერიოდიდან, საუკუნეების სიღრმიდან მოდის და იგი უცხო არ ყოფილა ქართული სინამდვილისათვის. ქართველ ხალხში სახელების „ნანასა“ და „ნინოს“ უდიდეს პოპულარობაზე მეტყველებს მათი უამრავი ვარიაცია, რომლებიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ცოცხლობა დღევანდლამდე, ასეთებია: ნანი, ნანული, ნინა, ნუნუ, ნონა, ნუნე, ნენა, ნენე, ნინო, მანანა, ანა, ანიკო, და მრავალი სხვა.

წმინდა ნინოს სახელი, მისი მოციქულებრივი ღვაწლის აღსრულებისას საქართველოს მრავალ კუთხესა და ადგილთანაა დაკავშირებული, რომელთაგან სიამოვნებით გამოვყოფდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ნინოწმინდას, რომელიც მარტო გარეკახეთის (ისტორიული კუხეთის ჩვეულებრივი, რიგითი სოფელი კი არ არის, არამედ აქ არსებული გრანდიოზული ქრისტიანულ-საგანმანათლებლო ცენტრია, სადაც თავისი სიცოცხლე დაასრულა და მისი ნეშტიც აქ განისვენებს, უკვე 16 საუკუნეზე მეტხანს. ამ სოფლის თუ ქალაქის ტიპის დაბას 334 წელს მეფე მირიანის ბრძანებით, წმინდა ნინოს სახელის საუკუნოვანი უკვდავყოფისათვის ნინოწმინდა ეწოდა.

\* \* \*

ის, რც ხდება დღეს ქართულ ისტორიოგრაფიაში – წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის ბოლო წლების ადგილისა და მისი დასაფლავების ადგილმდებარეობის გაორების შესახებ, კუროსს წარმოადგენს და ჩვენი დიდი სირცხვილია.

ნუთუ საქართველოს ისტორიაში არ აღმოჩნდა ისეთი ფუნდამენტური ცოდნის მქონე ისტორიკოსი, რომელიც ობიექტურად შეისწავლიდა წმინდა ნინოს მოღვაწეობის ბოლო წლების ამსახველ საარქივო მასალებს, იმდროინდელ ისტორიულ გეოგრაფიას და დაადგენდა ტოპონიმების ბოლისა და ბოღბის ერთმანეთისაგან განსხვავებულობას. მით უმეტეს, რომ მეფე მირიანის დროს კუხეთი, როგორც IV საუკუნის მეტად სტრატეგიული რეგიონი (ქართლის მეფეთა

უშუალო საკუთრება) მაშინდელი ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთის უშუალო მეტოქედაც გვევლინება.

წმინდა ნინოს საკითხზე მსჯელობის დროს, თავს იჩენს ისეთი სპეციფიკური საკითხი, როგორცაა მისი კანონიზაცია ქართლის და სხვა ქვეყნების ეკლესიების მიერ. მართალია წმ. ნინო გარდაცვალებისთანავე წმინდანად და განმანათლებლად იქნა აღიარებული ქართლში, ხოლო მისი მოციქულთა დასში აღრიცხვა მოხდა ვახტანგ გორგასლის მიერ ქართლის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისთანავე, ვინაიდან წმინდა ნინოს ბოდის მიწაში დაკრძალვისთანავე დაბა ბოდს, ანუ შემდგომში ამ დაბა ქალაქში ნინოწმინდას განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნა.

ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასაც ქრისტიანობის მკვლევარები საქართველოში სხვადასხვა თარიღით ასახელებენ.

ქართლის მოქცევასზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ეს თარიღი 330 წელს არ უნდა გადმოსცდენოდეს, ვინაიდან 330 წელს იმპერატორ კონსტანტინეს მიერ სამეფო რეზიდენციის გადმოტანა ბალკანეთის ბოსფორზე, ახალშენ ბიზანტიონზე, რასაც კონსტანტინეპოლი (თანამედროვე სტამბოლი) ეწოდა, მოასწავებდა ბიზანტიის პოლიტიკური და რელიგიური გავლენის ზრდას, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა სომხეთსა და საქართველოზედაც ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიის გამოცხადებაზე, ქალაქ ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ უნდა მომხდარიყო, რომელიც ასევე იმპერატორ კონსტანტინეს ინიციატივით ჩატარდა ქალაქ ნიკეიში 325 წელს.

ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი ეროვნებით ბერძენი, რაც არ ნიშნავს საეპისკოპოსო ერთეულის არსებობას საქართველოში. მიუხედავად ამისა, წმინდა ნინოს მიერ კუხეთის დიდი დაბა ბოდის მოსახლეობის გაქრისტიანება ფაქტიურად დასრულდა მთელი ქართლის მოსახლეობის გაქრისტიანება წმ. ნინოს გარდაცვალების დროისათვის 334 წელს და ამ დროისათვის წმ. ნინოზე ქართლში და სრულიად საქართველოში იმდენი ხოტბა-დიდება იყო გავრცელებული, რომ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქართლის სახელმწიფოში ქრისტიანობა უკვე 335 წლისთვის მეფე მირიანის გარდაცვალების ქართლი და სრულიად საქართველო ქრისტიანულ სახელმწიფოდ ჩაითვალოს.

თვით წმინდა ნინოს გარდაცვალების თარიღი 14 იანვარი საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, სახელმწიფო რელიგიის გავრცელების სიმბოლოდ იქცა, რასაც მთელი საქართველო, მართლმადიდებელი ერი დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავს, დღესასწაულ „ნინობაზე“ რომელიც თავდაპირველად კუხეთის დიდ დაბა ბოდ-ნინოწმინდაში დაფუძნდა.

# კაპადოკიის ქართული ცნობიერებაში



აპადოკია ქართული ქვეყანა იყო და მას იცნობდა ქართველი ხალხი უხსოვარი დროიდან: კაპადოკია XIV საუკუნემდე წარმოადგენდა ჯერ რომის იმპერიას,, ხოლო IV საუკუნის შემდეგ მე-XV საუკუნემდე ბიზანტიის იმპერიის სამფლობელო იყო.

მას შემდეგ, რაც მცირე აზიაში, (ანატოლიაში) შეიქმნა ოსმალთა, ანუ ოსმალეთის, თურქული იმპერია

კაპადოკია დაიპყრეს თურქ-ოსმალებმა და დღემდე კაპადოკია დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია.

კაცობრიობის ტექნიკის ისტორიიდან ცნობილია, რომ ლითონი (რკინა) პირველად გამოადნეს კაპადოკიელებმა, მოსინიკებმა, ანუ ხალიბებმა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე და აქედან ისწავლეს ლითონის გამოდნობა დანარჩენმა მსოფლიომ.

ჩვენთვის, ქართველებისათვის კაპადოკია იმითაც არის ცნობილი, და საბამაყო, რომ საქართველოში ქრისტიანობა კაპადოკიიდან შემოიტანეს იესო ქრისტეს უახლოესმა მოციქულებმა – ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა, ხოლო შემდეგ იესო ქრისტეს მოძღვრება ფართოდ შემოიტანეს და გაავრცელეს იესო ქრისტეს მთავარ მოწამემ გიორგი კაპადოკიელმა და მისმა ნათესავმა ნინო კაპადოკიელმა.

საქართველოში ქრისტიანობის რელიგიის გავრცელებას საფუძველი მოუშადა კაპადოკიელმა მისიონერ ბერებმა, რომლებიც არაღვთაურად შემოდირდნენ ქართლის სახელმწიფოში ქრისტიანობის გავრცელების მე-2, – მე-3 საუკუნეში და IV საუკუნის 20-იანი წლებიდან.

როცა იეროსალიმში ჯვარს აცვეს, სიკვდილით დასაჯეს იესო ქრისტე, ამ სიკვდილით განსასკელზე მოიწვიეს მთელ მსოფლიოში გაბნეული ებრაელები, მათ შორის იყვნენ მცხეთელი, ბოდელი, (ნინოწმინდელი) ებრაელებიც, რომელთაგან, როცა სიკვდილით დასჯილი იესო ქრისტე ჩამოსხნეს ჯვრიდან და მისი ტანსაცმელი და პირადი ნივთები გაანაწილეს იესო ქრისტეს კვართი(ხელით მოქსოვილი პურანგი) წილში ერგო მცხეთელ ებრაელს, აბიატარს, რომელიც მცხეთაში ჩამოიტანეს და სიდონიამ თავის სხეულთან ერთად სვეტიცხოვლის ეკლესიაში საფლავში ჩაიყოლა, (იხ. წყარო: ქართული დედა ისტორია – „ქართლის ცხოვრება“ ხოლო კაპადოკიელ მოღვაწეებს ქართველებად. ტრადიცია კარგადაა ასახული ნინოს ცხოვრების როგორც ქართული, ისე უცხოური მეცნიერების მიერ.

მართლაც კაპადოკიელი ხალხის ტრადიცია, როგორც ძველი შატბერდული, ისე არსენ ბეროსეულ ვარიანტში.

ქართლის სამეფოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, არმაზის მთაზე მღვთმნი გაცისა და გას კერპების (ეს კერპები, როგორც ცნობილია ალ. მაკედონელის თანამედროვე აზომ შემოიტანა ქართლში) აღწერისას ნინო ამბობს, რომ ისინი თქვენმა (ქართველთა) წინაპრებმა შემოიტანესო.

აპადოკიელ საეკლესიო მოღვაწეთა შორის მთელ ბიზანტიელ იმპერიაში თავი გამოიჩინეს კაპადოკიის დედაქალაქ კესარიის ეკლესიის ფუძემდებელმა რომში იმპერატორ დიოკლიტიანეს მიერ სიკვდილით დასჯის დროს რომში არაღვთაურად იმყოფებოდნენ კაპადოკიელი ცნობილი სასულიერო მოღვაწეები გრიგოლ სასწაულმოქმედის ხელმძღვანელობით, რომელთაც გადაწყვიტეს წმინდა გიორგის ნეშტის საქართველოში ჩამოსვენება და აქ მისი საიდუმლოდ დაკრძალვა. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოც ნიზიბინის ზავის მიხედვით რომის იმპერიაში შედიოდა. იმის გამო, რომ შეუძლებელი იყო წმინდა გიორგი კაპადოკიელის საქართველოში ჩამოსვენება, გადაწყვიტეს კაპადოკიელმა ბერებმა თავი მოეკვითათ და მსოფლიო თავი ჩამოესვენებინათ საქართველოში და დაეკრძალათ იმ ადგილას, სადაც წმინდა გიორგის სახელი ყველაზე პოპულარული იყო. ასეთ ადგილად სწორედ ძველი საგარეჯო (თვალი) მოინიშნებოდა.

აპადოკიელმა ბერებმა გრიგოლ სასწაულმოქმედის ხელმძღვანელობით, რომელიც იმ დროს იყო კაპადოკიის მთავარი ქალაქის კესარიის მთავარეპისკოპოსი თავისი ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანა, გიორგი კაპადოკიეკს, რომელიც რომის იმპერიის ჯარების ერთი ნაწილის მხედართმთავარი იყო, კაპადოკიელებმა ერთ უმთვარო რამეს თავი მოკვეთეს და რომიდან საიდუმლოდ გამოემგზავრნენ კაპადოკიელ წმინდა გიორგის თავის დასამარხად ადგილიც საგულდაგულოდ ქონდათ შერჩეული. საგარეჯოს (თვალის) ჩდდილო-აღმოსავლეთით მთიანი, ტყით შეზღუდული შესანიშნავი გადმოსახელი და რომელსაც ახლაც საგარეჯოელი და გიორგიწმინდელები „თავწმინდაგიორგის“ მთას უწოდებენ. აქ, ამ წმინდა ადგილზე მალე ახალი სოფელი აშენდა, რომელსაც წმინდა გიორგი დაარქვეს, ხოლო კაპადოკიელი ბერების პატივსაცემად და მათი სახელის უკვდავსაყოფად ამ მთის საპირისპიროდ ულამაზეს „ვაკე ტყეში“ მეორე ეკლესია ააშენეს წმინდა გრიგოლის სახელის უკვდავსაყოფად და ამ ეკლესიას წმინდა გრიგოლი უწოდეს. ამავე ეკლესიის მახლობლად მეორე ეკლესიაც ააშენეს, რომელსაც ასევე წმინდა გიორგის ხსენების უკვდავსაყოფად „მთავარმოწამე,“ უწოდეს. იმის გამო, რომ სახელწოდებას გაემართლებინა შინაარსი, წმინდა გიორგის სიკვდილით დასჯა იმპერატორ დიოკლიტიანეს მიერ

მართლაც იყო მოწამებრივი სიკვდილით მთავარი დასჯა.

## ზოგი რამ წმინდა ნინოს ცხოვრებიდან



წმინდა ნინო ეროვნებით ქართველია, კაპადოკიელი, ლაზურ-ჭანური ეთნიკური წარმოშობის ქართველი, რომლის პირველად მშობლიური ენა იყო ლაზური (მეგრული). ხოლო თანამედროვე ქართული შეისწავლა მცხეთაში ჩამოსვლის შემდეგ და ქართულ ტომებში ქრისტეს მოძღვრებას

ქადაგებდა ქართულ (მესხურ) ენაზე.

წმინდა ნინო დაიბადა კაპადოკიაში, მისი მშობლები იყვნენ ზაბილონი და სუსანა, რომელთაც 275 წელს შეეძინათ ნინო.

ბავშვობიდანვე დედა სუსანა ნინოს ზრდიდა „მსახურებასა შინა გლახაკთასა“ ანუ ღარიბთა მოსიყვარულედ და შემწედ. რაც პატარა ნინოს თვისება გახდა სიკვდილმდებროცა ნინო 12 წლის გახდა, მისმა მშობლებმა გაყიდეს, რაც სარჩო-საბადებელი გააჩნდათ და იერუსალიმში გადასახლდნენ, მაგრამ დიდხანს არ უცხოვრიათ ერთად. ნინოს მშობლები ზაბილონი, ნინოს მამა ბერად ეკურთხა, ხოლო დედა სუსანა, რომელიც იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის და იყო მონაზონად გაამწესა თავისი და სუსანა, რომელსაც ევალებოდა „დედათა უძღურთა“ მოვლა.

რაც შეეხება ნინოს, რომელიც მაშინ 12 წლისა იყო, ბიძამ იუბენალმა აღსაზრდელად მიაბარა ერთ ღვთისმოსავ ქალს, სარას, რომელსაც იესო ქრისტეს საფლავის მოვლა ევალებოდა.

პატარა ნინომ ამ ღვთისმოსავ ქალისაგან ბევრი რამ გაიგო იესო ქრისტეს ცხოვრებიდან და გულმხურვალედ შეიყვარა ქრისტიანობის მოძღვრება. ნინომ ამ აღმზრდელ ქალისგანვე გაიგო, რომ ქრისტეს ჯვარცმის დროს, როცა ქრისტეს ტანსაცმელი გაანაწილეს, მისი ხელით ნაქსოვი პერანგი (კვართი) წილად ხვდათ ქართველ (მცხეთელ) ებრაელებს, რომელიც საქართველოში წამოიღეს და იქ დაფლეს, მცხეთელ ებრაელ ქალ სიდონიასთან ერთად სვეტიცხოვლის ტაძართან.

(იხილეთ „მოქცევაი ქართლისაი“ ქართლის მოქცევა, თბილისი, 2009 წ. გვ 196. ელგუჯა გიუნაშვილი).

სწორედ აწ, იერუსალიმში დაინტერესდა პატარა ნინო ქრისტეს კვართის საკითხით და მიზნად დაისახა საქართველოში ჩასლისათვის და ქრისტეს კვართის მოძებნისათვის ეზრუნა.

ნინო დაინტერესდა, თუ სად მდებარეობდა ჩრდილოეთის ქვეყანა საქართველო. მას აუხსნეს, რომ იმდროინდელი საქართველო „საწარმართო ქვეყანა იყო“.

ქართლით ნინოს დაინტერესებაში დიდი როლი შეასრულა მისმა ბიძამ – იერუსალიმის პატრიარქმა იობენალმა. იერუსალიმიდან წამოსვლის წინ სწორედ მან აკურთხა ნინო, მისცა მას „ჯვარი და კურთხევა საგზლად“ და „წარმოავლინა საქადაგებლად“ (ე. გიუნაშვილი).

იერუსალიმიდან წამოსვლის შემდეგ ნინომ რამდენიმე წელი ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) იმპერიაში გაატარა. იერუსალიმიდან ქალაქ ეფესოში ჩავიდა იქ მონათლლა სომეხ მეფეთა ნათესავი რიფსიმე და სხვანი).

იმპერიაში ნინოს ყოფნისას დაიწყო ქრისტიანობის დევნა. 303 წელს იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელდა რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს ედიქტი ქრისტიანთა დევნის შესახებ, რომლის გამოქვეყნების შემდეგ 303 წლის 15 აპრილს დააპატიმრეს და 23 აპრილს – პარასკევ დღეს წამებით მოკლეს ქრისტიანობის დიდი გამავრცელებელი გიორგი კაპადოკიელი (წმინდა გიორგი).

## წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლა



წმინდა ნინო და მისი თანამძრახველნი სიკვდილით დასჯის შიშით არაღუგაღურად მოქმედებდნენ, რომის იმპერიის დაპყრობილ ტერიტორიებზე. ნინო თავის მეგობარ დაქალ-ებთან სომხეთში აფარებდა ავს, რომლის მეფე დრდატი

სიტყვა შეუბრუნებლად ასრულებდა იმპერატორ დიოკლიტიანეს ედიქტის მუხლებს ქრისტიანების სიკვდილით დასჯის შესახებ. წმინდა ნინო სასწაულად გადაურჩა სიკვდილით დასჯას და სომხეთიდან ქართლში შემოვიდა ჯავახეთის მხრიდან, ფარავნის ტბასთან მცხეთელ და ურბნელ მწყემსებთან „დადგა მუნ ორ დღეს“ იქ ნახა მცხეთაში მიმავალი მგზავრები და მათ დაემგზავრა. ნინო ურბნისში დარჩა ერთი თვე და ივნისში მცხეთისაკენ გამოემგზავრა, სადაც წარმმართთა დიდი დღესასწაული უნდა გამართულიყო.

ეს დღესასწაული ტრადიციულად ივნისის ბოლო რიცხვებში იმართებოდა და მას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. დღესასწაული არმაზის მთაზე იმართებოდა, სადაც იდგა გაიმისა და გაცის კერპები, რომელთა ირგვლივ დიდძალი ხალხი იყო შეკრებილი. სამეფო ოჯახი, დედაქალაქის მცხოვრებნი და ქალაქის სტუმრები „ქართველთა ღმერთთა ღმერთის“ არმაზის დღეს აღნიშნავდნენ.

ნინოც გაემართა არმაზის დღესასწაულზე და ნინო ტიროდა – ვინაიდან „ქვეყანა ჩრდილოეთისაი“ ბნელში იყო ჩაძირული, ცრემლმორეული ნინო მხურვალედ ღოცულობდა და ღმერთს შესთხოვდა ქვეყანა ქართლისა ამ სიბნელიდან

გამოსულიყო. ისმინა ღმერთმა ნინოს ლოცვა-ვედრება და ამოვარდა ძლიერი ქარი და ჭექა-ქუხილი, რასაც მოჰყვა ძლიერი სეტყვა. ხალხი დაიშალა თავშესაფრის საძებნელად გაიფანტა, ქარიშხალმა და ძლიერმა სეტყვამ სულ ერთიანად „დაღეწა კერპნი“, ხალხს ვაჭრობისა და ზეიმის სურვილი დაუკარგა, ძლიერმა სტიქიამ. „ნინოს ცხოვრების“ ავტორმა ეს მოვლენა წმინდა ნინოს დიდ გამარჯვებად ჩათვალა.

მცხეთაში წმინდა ნინო ერთ მაცვლოვანში დასახლდა და „სამ წელს ილოცვიდა ფარულად“. 298 წლიდან ნიზიბინის ზავის დადების შემდეგ საქართველოც და სომხეთიც რომის იმპერიის პროტექტორატში მოექცნენ და როგორც ქართლის მეფე, ისე სომხეთის მეფეც იძულებულნი იყვნენ რომის იმპერატორ დიოკლიტიანეს ედიქტს დამორჩილებოდნენ, რის გამოც იდევნებოდა იმპერიის ქვეშევრდომ ქვეყნებში ქრისტიანობის მოძღვრების პროპაგანდა. ამიტომ წმინდა ნინო მცხეთაში ჩამოსვლის შემდეგ ფარულად აწარმოებდა იესო ქრისტეს მოძღვრების ქადაგებას. ეს პროცესი გრძელდებოდა იმპერატორ დიოკლიტიანეს გადადგომამდე – 305 წლამდე, ხოლო 305 წლის მაისის შემდეგ წმ. ნინოს შედარებითი თავისუფლება მიეცა.

ნინოს ცხოვრების „ჭელიშურ“ ვარიანტში აღნიშნულია, რომ მცხეთაში ნინოს მოსვლიდან „მეოთხე წელსაიწყო ქადაგება და მეექვსესა წელსა არწმუნა ნანანმდებლოფალი... მეშვიდესა წელსა არწმუნა მირიან მეფესა“. როგორც ამ ცანაწერებიდან ჩანს წმინდა ნინოს სამეფო კარიდან ოფიციალური ნებართვა „რწმუნება“ დედოფალ ნანასაგან 309 წელს, ხოლო მეფე მირიანისაგან მიუღია 310 წელს. რაც იმას გვაუწყებს, რომ ქართლის მეფე-დედოფალმა ქრისტიანობა ირწმუნეს 309-310 წლებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ აქამდე წმინდა ნინო მცხეთაში ფარულად ეწეოდა ქრისტეს მოძღვრების პროპაგანდას, ახლა მას გზა გაეხსნა თავისუფლად წარემართა მასებში ქრისტიანობის პროპაგანდა.

წმინდა ნინომ კიდევ უფრო გააძლიერა ქრისტეს მოძღვრების პროპაგანდა მე-4 საუკუნის 20-იან წლებში და გზა გაუკაფა მთელი ქართლის ბარის მოსახლეობის დიდ ნაწილში ქრისტიანობაზე გადასასვლელად.

იმპერატორის 313 წლის ედიქტით ქრისტიანობა სამართლებრივად გაუთანაბრდა წარმართული რწმენის რელიგიებს, ხოლო 313 წლის შემდეგ ქვეყნის მმართველი წრეები არა მარტო იწყნარებდნენ ქრისტიანულ რწმენას, არამედ ზოგიერთები ქრისტიანობის რწმენაზედაც კი გადადიოდნენ. ამიტომ იყო, რომ წმინდა ნინოს მისიონერულმა მოღვაწეობამ ფართოდ გამოიღო ნაყოფი, მაგრამ ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებას ის უშლიდა ხელს, რომ აღმოსავლეთ რომის ნაწილში ხელისუფლების სათავეში იღვა იმპერატორის დიდი მოხელე ლიციინუსი, რომელიც 324 წელს სექტემბერში კონსტანტინე დიდმა დაამარცხა და თვითონ

გახდა აღმოსავლეთ რომის მმართველი.

ბიზანტიელი ავტორის თეოფანე ჟამთაღმწერელის გადმოცემით კონსტანტინე გახდა რა აღმოსავლეთ რომის იმპერიის ნაწილის ერთმმართველი, მთელი ყურადღებით მოეკიდა ღვთაებრივი რწმენის საქმეს და ქრისტიანობის ფართოდ გავრცელებასაც ფართო გზა მიეცა.

ნიკეის საეკლესიო კრების დამთავრების შემდეგ (325 წ. 6 ივნისი) ისტორიკოს რუფინუსის ცნობით, წმინდა ნინოს რჩევით ელჩები გაგზავნეს კონსტანტინესთან, რათა მღვდლები გამოეგზავნა ხალხის მოსანათვლად. როგორც ბიზანტიური საეკლესიო ისტორიკოსი თეოდორიკე კვირელი წერს, კონსტანტინემ ქართველთა თხოვნით „ქართლში გამოგზავნა „კაცი შემკული, როგორც მორწმუნეობითა და გონიერებით, ისე პატიოსანი ცხოვრებით და მღვდელმთავრობის პატივის მქონე“ როგორც „ნინოს ცხოვრების“ ცნობებიდან ირკვევა, ეს პიროვნება იყო ქართლის პირველი ეპისკოპოსი იოანე.

ქართლის პირველმა ეპისკოპოსმა და მასთან ერთად მღვდელმა იაკობმა წმინდა ნინოსთან ერთად დიდი როლი შესარულეს ქართლის მოქცევაში (გაქრისტიანებაში).

ქართული ეკლესია ვინემ დამოუკიდებელ ავტოკეფალიად ჩამოყალიბდებოდა (V საუკუნემდე) ემორჩილებოდა ანტიოქიის ეკლესიას. ამიტომ ქართლის ეკლესიის მეთაურად იოანეს ხელლდასხმა მოხდა ევსტათი ანტიოქიელის მიერ, ეს მოხდა 324 წელს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის ედიქტის შემდეგ. პისკოპოს იოანეს კურთხევა მოხდა 1224 წელს ანტიოქიაში (სირიაში) „შავ მთაზე“, ქრისტიანობა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

## მონოგრაფიის „ნინოწმინდას“ დასასრული

### ბოლოთქმა



ემი მშობლიური რაიონის გარეკახეთის საგარეჯოს დიდი კულტურული მემკვიდრეობის საფუძვლიან შესწავლას ბარემ ჩემი შეგნებული ცხოვრების თითქმის 70 წელი შევალიე. საქართველოს ისტორიული ცხოვრების, მისი კულტურული მემკვიდრეობის თითოეულ

კუთხეს დიდი და სახელოვანი ისტორია აქვს. აწეებული წინარე ისტორიული ხანიდან, რომელიც 5 ათას წელზე მეტს ითვლის, ხდებოდა ისეთი ისტორიული პროცესები, რომელმაც თავიდანვე განსაზღვრა მისი თანამედროვე ბედ-იღბალი, რომლის საფუძვლიანი შესწავლა



ადრე ბავშვობის წლებიდანვე განვიზრახე. მამაჩემი წლების მანძილზე მუშაობდა გარეკახეთის სოფლების ნინოწმინდისა და პატარძეულის სატყეო მეურნეობის ტყის მცველად და მეც სასკოლო არდადეგების დროს ხშირად დავეყვებოდი ტყეებში და ისე შემეყვარდა ტყე, რომ ხშირად თავისუფალ დროს ჩემი ინიციატივითაც ჩემს ცოლსა და ბიჭუნებთან ერთად ვაწყობდი ექსკურსიებს. ჩემს დიდ გაკვირვებას იწვევდა ის გარემოება, რომ ჩვენი ტყეებიც სავსე იყო ნასახლარ-ნატაძრალეებით, ნამარხალებით, ეკლესიებისა და ციხე-კოშკების ნაშთებით. ხშირი წვიმების დროს წარმოშობილი ხევეებისა დაღვლეების ადიდების დროს თქვენს გამოჰქონდა დაშლილი სამაროვნებიდან ადამიანის ძვლები, სამარეში ჩატანებული სამეურნეო და სამხედრო იარაღები და სამკაულები.

1940 წელს პატარძეულის კოლმეურნეობამ საკოლმეურნეო ხეხილისბაღისგასაშენებლად საპლანტაჟე გუთნით ღრმად გადააბრუნა ტყე-ბუჩქნარი, სადაც აღმოჩნდა უამრავი ქვაყუთის სამარხები. გუთანმა საფლავეებიდან ამოყარა საბრძოლო იარაღები, არქეოლოგებს ჩემი თანატოლი მეგობარი ბიჭებიც ეხმარებოდნენ სამარხების გაწმენდაში. ჩვენს მიერ შეგროვილი არქეოლოგიური მასალა სკოლაში დავაბინავეთ, საიდანაც არქეოლოგებმა თბილისის მუზეუმებში გადაიტანეს.

არქეოლოგებმა ნინოწმინდასა და პატარძეულში დიდძალი არქეოლოგიური მასალა შეაგროვეს და მისი შესწავლის შემდეგ დაადგინეს, რომ მთელი გარეკახეთი წინა საუკუნეებში მჭიდროდ ყოფილა დასახლებული მეომარი და დიდი სამეურნეო კულტურის მქონე ქართული ტომებით-კუხებით, სოჯებით, ფხოველებით და პერუსული ტომებით.

პატარძეულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად 1949 წელს შევედი თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ისტორიის განხრაზე, სადაც აქტიურად მოვკიდე ხელი საქართველოს ისტორიის შესწავლას.

გარდა საუნივერსიტეო პროგრამის შესწავლისა, პირველი კურსიდანვე აქტიურად ჩავები მუზეუმების, საჯარო ბიბლიოთეკისა და სახელმწიფო ისტორიული არქივების ფონდების შესწავლის საქმეში და დიდი ცოდნა დავაგროვე. მასთანავე აქტიურად ვთანამშრომლობდი სტუდენტთა სამეცნიერო წრეებსა და კონფერენციებში. არ მაგიწყდება ის პროფესორ-მასწავლებლები და ცნობილი მეცნიერები, რომლებიც დიდ დახმარებას მიწევდნენ ცნობილი სამუზეუმო და საარქივო ფონდების მიგნებასა და შესწავლაში.

ჩემს ხსოვნიდან არ ამოიშლება თბილისის მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დამსახურებული ბიბლიოფილი ქალბატონი თამარ მაჭავარიანი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართველი

ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში, იგი იყო ამ დიდ საქმეში ჩემთვის დიდი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საქმეში დამხმარე და დამკვალიანებელი.

უნივერსიტეტში ჩემი სწავლის 5 წლის განმავლობაში დიდი ცოდნა შევიძინე. ხუთი წლის განმავლობაში ვიყავი რა წარჩინებული, ფრიადოსანი სტუდენტი და საზოგადო მოღვაწე ერთი წუთითაც არ ვტოვებდი, რათა ჩემი დრო რაციონალურად გამომეყენებინა. აქტიურად ვმონაწილეობდი სპორტს, ტურიზმში, უნივერსიტეტში სწავლის დროს შემოვიარე მთელი საბჭოთა კავშირი, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, მათი მუზეუმები, დამიგროვდა დიდი გამოცდილება. გატაცებული ვიყავი წიგნით, შექმნილი მქონდა იშვიათი ბიბლიოთეკა, დიდი არქივი, რომელიც 5000 ტომს შეადგენდა. ვიყავი აქტიური კოლექციონერი და ჩემს პირად ბიბლიოთეკაზე დაიბეჭდა ბიბლიოფილის ბუკლეტი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დაგბრუნდი ჩემს რაიონში და პირველი, რაც გავაკეთე შემოქმედებითი მუშაობა დავიწყე, რაიონის ხელმძღვანელობამ დამნიშნა რაიონის მრავალტირაჟიანი გაზეთის „სტალინური სიტყვის“ რედაქტორის მოადგილედ, ძალიან მალე დამაწინაურეს საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე, წლების განმავლობაში ვიმუშავე პარტიის საგარეჯოს რაიკომის ლექტორ-კონსულტანტად, პარტიული ბიბლიოთეკის გამგედ, შეთავსებით ვმუშაობდი ქალაქ საგარეჯოს №2, №3 საშუალო სკოლებში ისტორიის, საზოგადოებამცოდნეობის საგნის მასწავლებლად, ვიყავი ქ. საგარეჯოში არსებული ტექნიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის ლექტორი, რაიონის განათლების განყოფილების გამგე, რაიონული გაზეთის „ივრის განთიადის“ მთავარი რედაქტორი, დავით-გარეჯოს მუზეუმ-ნაკრძალის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

საგარეჯოს რაიონში აქტიურ-საზოგადოებრივ პოლიტიკური მუშაობის გამო 1979 წლის ოქტომბერში საქართველოს უზენაესი საბჭოს ბრძანებულებით მომენიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის, საზოგადო მოღვაწის წოდება. მთავრობის მიერ დაჯილდოებული ვარ 4 მედლითა და ათეულობით საპატიო სიგელით. ვარ 7 სტამბური წესით დაბეჭდილი წიგნისა და ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი 200-ზე მეტი ჟურნალისტური და სამეცნიერო გამოკვლევის ავტორი, გამოკვლეული და დასაბეჭდად მზადა მაქვს 40-მდე სოფლისა და ნასოფლარის, გარეკახეთში გავრცელებული საგვარეულო გვარის გენეალოგია და ამჯერად წიგნი-მონოგრაფია – „ნინოწმინდა“, რომელზედაც ვიმედოვნებ, რომ კეთილი ადამიანების დახმარებით მოაღწევს თქვენამდე. ამ მონოგრაფიის მომზადებას თითქმის 50 წელი მოვანდომე, მაგრამ ვერ

ვბეჭდავ წიგნად წიგნად უსახსრობის გამო. წიგნში განთავსებული მასალები დაბეჭდილი მაქვს 40 წლის მანძილზე რესპუბლიკურ და რაიონული პრესის ფურცლებზე, რასაც დიდი შეფასება მისცეს რესპუბლიკის სამეცნიერო და საზოგადოებრივმა მუშაკებმა. იმ მრავალთაგან ერთი მათგანი, რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ.

„ბატონო ალექსანდრე!

გულდასმით წავიკითხე თქვენი „ნინოწმინდა“. თქვენს გაზეთს რომ არაფერი დაეწერა მთელი წლის განმავლობაში, ამ წერილითაც მადლიერებით მოიხსენიებს მომავალი, ხოლო თანამედროვენი, ჩემი ჩათვლით, თავს ვიხრით მისი ავტორის წინაშე. დღეისათვის ეს გმირობაა, გააცნო შენს თანამედროვეს, და არა მედროვეს, საკუთარი კულტურის, კულტურის ძეგლის ისტორია. ყოჩაღ, ჩემო „ნინოწმინდელო!“

დღეს არაფერი არ გვაკლია ისე, როგორც განმანათლებელნი, მოძღვარნი, მოძღვართ-მოძღვარნი, ერის გუთნის დედანი, მწყემსნი და ერის ქურუმნი, აი, ვინა ხარ, შენ ჩემო ძვირფასო ალექსანდრე!

მართალია, ჩვენი ამხანაგებიდან მრავლად იქცნენ პროფესორებად, ზოგი აკადემიკოსებად, მაგრამ შენ ათჯერ მეტს აკეთებ ერისთვის, ამიტომ ფრინველებში ყველაზე მეტ პატივს ვცემ ბელურას, რომელიც ყველაზე დიდ ყინვაშიც კი არ მიატოვებს თავის სამშობლოს და არ მიფრინავს თბილი სამხრეთისაკენ!

დიდება მათ მსგავს – ჩვენს თანამემამულეებს!!! პატივისცემით, – ვახტანგ გურგენიძე, ცენტრალური სახელმწიფო არქივის ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების დირექტორი, დოცენტი, კულტურის დამსახურებული მოღვაწე. 1992 წელი.

**ალექსანდრე ელჩილაშვილი.**

# სახელოვანი ნინოწმინდელები

## ბენეკალ-მაიორი პანტელაიმონ შიოშვილი



ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ე ლ ი მხედართმთავარი დიდი სამამულო ომის – ფაშისტური გერმანიის და იმპერიალისტური იაპონიის ძლევამოსილი არმიების დამარცხების და კაპიტულაციების ერთ-ერთი სახელოვანი გმირი გარე-

კახეთის სახელოვანი შვილი პანტელეიმონ შიოს ძე შიოშვილი დაიბადა გარეკახეთის დიდი ისტორიის მქონე ქალაქის ტიპის სოფელ ნინოწმინდაში 1906 წელს გლეხის, შიო შიოშვილის ოჯახში. შაგარეჯოს. შაგარეჯოს მუშა-ახალგაზრდობის 9 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო საქმის შესასწავლად მოხალისედ ჩაეწერა წითელი არმიის რიგებში და ჩაირიცხა თბილისის ოფიცერთა სწავლებლის ორწლიან კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ბესარაბიაში წითელი არმიის ჯერ ოცეულის, შემდეგ კი ასეულის მეთაურად.

ახალგაზრდა ოფიცერმა თავიდანვე გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა და სამხედრო საქმის ბრწყინვალე ოფიცერმა და სამხედრო საქმის სრულყოფისათვის მალევე ჩაირიცხა მ. კ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში.

პანტელეიმონის სამხედრო კარიერა ელვისებურად მიიწვედა წინ და სამხედრო აკადემიის დასრულების შემდეგ 1937 წელს აწინაურებენ სამთო დივიზიის შტაბის ერთ-ერთ წამყვან თანამდებობაზე. პანტელეიმონ შიოშვილი მონაწილეა 1941 წლის დასაწყისიდანვე მოსკოვის დაცვისა და მოსკოვიდან გერმანელთა ჯარების განადგურებისა.

ნიჭიერი ოფიცერი მონაწილეა ყველა იმ დიდი ბრძოლებისა, რომელსაც მოჰყვა გერმანელთა საუკეთესო ჯარების კაპიტულაცია და ბერლინში ჩვენი ჯარების ძლევამოსილი გამარჯვება.

ანტელეიმონ შიოშვილი როგორც ნიჭიერი მხედართმთავარი ფაშისტური გერმანიის განადგურების შემდეგ გაიგზავნა იმპერიალისტური იაპონიის ბრძოლებში და იგია ავტორი იაპონიის ძლევამოსილი მილიონიანი კვანტუნის არმიის უსიტყვო კაპიტულაციისა, როცა გენერალი პ.

შიოშვილი თავისი ნაწილის საუკეთესო მეომრებით გადასხდა მანჯურიაში ქალაქ ხარბინში და ჩაიბარა იაპონელთა მილიონიანი არმიის

კაპიტულაცია. ასეთია ნინოწმინდელი მხედართმთავრის პანტელეიმონ შიოშვილის საბრძოლო ეპიზოდების ბრწყინვალე ფურცლები.



# სახელმწიფო ნიმუშები

## პროფესორი არჩილ გულისაშვილი



რჩილ ალექსის ძე გულისაშვილი დაიბადა 1888 წელს სოფელ ნინოწმინდაში, ნინოწმინდის საკათედრო ეკლესიის მოძღვარ, დეკანოზ ალექსი გულისაშვილის ოჯახში.

ნინოწმინდის დაწყებითი სკოლის შემდეგ იგი სწავლის გასაგრძელებლად ჩაირიცხა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, პატარა არჩილის ნიჭი მალე გამოჩნდა და იგი ამავე გიმნაზიის დამთვრების შემდეგ ჩაირიცხა პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიულ ფაკულტეტზე. მან ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მუშაობა დაიწყო პუტილოვის ქარხანაში ჯერ მუშად, შემდეგ კი ობუსოვის ქარხანაში ოსტატად. 1914 წელს დაინიშნა რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს სამთო დეპარტამენტში უმცროს ინჟინრად. 1915 წელს ამავე სამინისტროს დავალებით შეუდგა სპეციალური შენადნობის დამზადებას. 1916 წელს ხელმძღვანელობდა ეკატერინბურგის მაზრის სოფელ ბოევკაში ვოლფრამიტის საბადოებზე ელექტრო მეტალურგიული ქარხნის მშენებლობას და ორგანიზაციას უწევდა ახალი შენადნობის დამზადებას ურალის საბადოებზე, აქვე კითხულობდა ლექციებს სპეციალობის მიხედვით. იგი ბავშვობიდანვე

გატაცებული იყო ლიტერატურით. იყო გოგლა ლეონიდის მკვიდრი ბიძაშვილი, ჯერ კიდევ 8 წლის ასაკიდან ლექსებს აქვეყნებდა ჟურნალ „ჯეჯილში“, პეტერბურგში ყოფნისას კი სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „ნივაში“ მისი, როგორც ნიჭიერი ქართველი სტუდენტის კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე. მის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო თარგმნად, იყო ინსტიტუტთან ჩამოყალიბებული დრამატული წრის აქტიური წევრი.

შემდეგ სამშობლოს სიყვარულის წყურვილმა არჩილ გულისაშვილი სამშობლოში ჩამოიყვანა, სადაც დაინიშნა სპეციალისტ კონსულტანტად, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას მაშინდელ პოლიტექნიკურ სასწავლებელში, როგორც დირექტორი და მასწავლებელი. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოებისა და ტექნიკური ტერმინოლოგიის თარგმნის საქმეში. მალე არჩილ გულისაშვილი მთლიანად გადაერთო თბილისის უნივერსიტეტიდან პოლიტექნიკურ (ინდუსტრიულ) ინსტიტუტის გამოყოფის საქმეში. მან დიდი ორგანიზატორული მუშაობა გასწია თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტისა შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში, 1921 წელს გამოიგონა ყურძნის საწნეხი მანქანა, რის გამოც დაჯილდოებული იქნა სახელმწიფო საპატიო სიგელით.

1928 წელს ა. გულისაშვილის უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტს გამოეყო და ცალკე ინსტიტუტად გაფორმდა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1930 წლიდან იგი არის ამ ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე, ხოლო წლების მანძილზე დირექტორის მოადგილე, პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში.

ა. გულისაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ტექნიკური ლიტერატურის შექმნასა და განვითარების საქმეში, კერძოდ მას ეკუთვნის პირველი წიგნი ქართულად მხაზველობით გეომეტრიაში (1927 წ.) „პირველი სახელმძღვანელო მეტალურგიული პროცესების თეორიაში, „მანქანათა ნაწილები“ (ორ წიგნად). ამ და სხვა ნაშრომებმა მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს შემდგომში ქართული ტექნიკური ლიტერატურის განვითარებას. იგი სულ ასამდე ნაბეჭდი შრომის ავტორია.

არჩილ გულისაშვილი იყო მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის დაუცხრომელი პროპაგანდისტი და ახალგაზრდების გულისხმიერი აღმზრდელი. 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრას. მისი ხელმძღვანელობით არაერთი სახელოვანი სპეციალისტი აღიზარდა. გატაცებული იყო ალპინიზმით. მთასვლელობაში მინიჭებული

და ტექნიკური ცოდნის დაუცხრომელი პროპაგანდისტი და ახალგაზრდების გულისხმიერი აღმზრდელი. 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრას. მისი ხელმძღვანელობით არაერთი სახელოვანი სპეციალისტი აღიზარდა. გატაცებული იყო ალპინიზმით. მთასვლელობაში მინიჭებული

ჰქონდა პირველი თანრიგი.

მეცნიერის დიდი ღვაწლი აღინიშნა ლენინის, ორი შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

არჩილ გულისაშვილს 1944 წელს მიენიჭა მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება. გარდაიცვალა 1971 წლის დეკემბერში, დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.



ისტორიულმა სოფელმა ნინოწმინდამ თავისი 5 ათას წლოვანი ისტორიის მანძილზე თავისი დაწერილი თუ დაუწერელი ისტორიის მანძილზე მრავალი ღირსეული მამულიშვილი გამოზარდა, მაგრამ მისმა გაცრეცილმა ხანძარში ჩაყრილმა ფურცლებმა მათი სახელები წაშალა, მაგრამ შემოინახა ისეთთა სახელები, რომელთაც გაუძღეს ისტორიუ მუხთა ტეხას და სისხლის კალოს. ერთ-ერთი ასეთი უსახელო გმირი იყო დუხჭირი ცხოვრების აღმნიშვნელ ცხოვრების გადამრჩენელი უღარიბესი გლეხის შვილი

## რევოლუციონერი დავით როსტომაშვილი



დავით მიხეილის ძე როსტომაშვილი დაიბადა 1871 წელს უღარიბესი გლეხის ოჯახში და ცხოვრების მღვრიე ტალღებმა, ლუკმა პურის საძიებლად საგარეჯოდან ჩასულ ამიერ კავკასიის რკინიგზის სახელოსნოების მუშებს არავიაშვილებს არავიაშვილებს და თარიმანიშვილებთან დაამეგობრა.

ცარიზმის რეაქციულ და მშრომელი ხალხის სისხლისმწოვი რეჟიმის საწინააღმდეგოდ დავით როსტომაშვილს ისეთი საქმე გააკეთებინა, რომ მთელი რუსეთის იმპერია აალაპარაკა. ვითომ მან ამიერკავკასიის ბოლშევიკების ი. სტალინისა და სხვათა დავალებით ავლაბარში საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად იჯარით მიწის ნაკვეთი აიღო და საცხოვრებელი სახლის ნაცვლად იქ მიწისქვეშა არალეგალური სტამბა ააშენა, სადაც წლების მანძილზე იბეჭდებოდა არალეგალური ბოლშევიკური გაზეთები და იოსებ სტალინისა და სხვა რევოლუციონერების შემოქმედება.

იოსებ სტალინს გარდა დავით როსტომაშვილისა და სხვა გარეკახელი რევოლუციურად განწყობილი მრავალი გლეხი და მუშა რევოლუციონერების ცარიზმის წინააღმდეგ

მეფის რუსეთის პოლიციას და ჟანდარმერიას. აი, ასეთ მამაც რევოლუციონერებს ზრდიდა გარეკახეთი.

ცარიზმის პოლიცია და ჟანდარმერია 6 წელს გაფაციცებით ეძებდა ავლაბრის არალეგალურ მიწისქვეშა სტამბას, რომელიც ნინოწმინდელ დავით როსტომაშვილს ეკუთვნოდა. ბოლოს მიაგნეს და დავით როსტომაშვილს ციმბირში კატორღაში უკრეს თავი, საიდანაც დავით როსტომაშვილი გაიქცა და სხვისი პასპორტით აფარებდა თავს არალეგალურად.

ნინოწმინდელი გლეხი რევოლუციონერი იღებდა ი. სტალინის მიერ დანიშნულ საკავშირო პერსონალურ პენსიას. აი, ასეთი ლეგენდარული პიროვნება იყო დავით როსტომაშვილი, რომელიც ლექსებსა და მოთხრობებსაც წერდა.

მებრძოლთა შეიარაღებული „წითელი რაზმი“ კი ყავდათ ჩამოყალიბებული, რომელიც შიშის ზარს სცემდა

